გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად



# ილორი



www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№219 (278) 14-21 მაისი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი და რა შესაძლებლობები უნდა გააჩნდეს მას?!

არა მგონია, რომ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში ოდნავ ჩახედულ ადამიანსაც კი ეს დილემად ქცეული შეკითხვა არ აწუხებდეს. დიახ, სწორედაც რომ **"დილემად ქცეული"**, რადგან ნახევრად შეურაცხადმა მიხეილ სააკაშვილმა იმდენად შეგვაზიზღა ლამაზი სიტყვა **"პრეზიდენტი"**, რომ მისი გაგონებისთანავე გვიჩნდება თავნებობის, გარყვნილების, ტირანიის, მკვლელობების, ნებადართული ყაჩაღობისა და სხვა უამრავი უმსგავსოებების შიშნარევი ასოციაცია.

რამდენი ადამიანიც არსებობს, ზუსტად იმდენი შეხედულება გვაქვსო, ამბობენ ფილოსოფოსები და მეც თავს უფლებას მივცემ, რომ წარმოგიდგინოთ საკუთარი თვალსაზრისი საქართველოში უკვე სახეშეცვლილი პრეზიდენტის ინსტიტუტისა და იმ პიროვნების თაობაზე, ვინაც, ჩვენი მწარე რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება დაიკავოს ეს მაინც ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობა. ამიტომ, წინასწარ მოვუბოდიშებ იმ მკითხველებს, რომლებიც არ დაეთანხმებიან ჩემს ამ თვალსაზრისს...

დავიწყებ იმით, რომ მიხეილ სააკაშვილის უსაქციელობისაგან დაშინებულებმა ლამის კინაღამ გავაუქმეთ პრეზიდენტის თანამდებობა, მაგრამ შემდეგ მაინც შევჯერდით იმ ვარიანტზე, სადაც პრეზიდენტს ბევრად შეკვეცილი უფლებები ექნება და იგი **"ქორწილის გენერლად"** უფრო იქნება გამწესებული, ვიდრე ქვეყნის ბედ-იღბალზე მზრუნველ პიროვნებად. ამდენად, არ შეიძლება, რომ ეს წარმომადგენლობითი თანამდებობა პირობით წარმონაქმნად ვაქციოთ და პრეზიდენტი ჯოხზე წამოგებულ კანფეტ **"მამალოს"** სიმბოლოდ იქცეს, მით უმეტეს, როცა, ჯერ შევარდნაძის **"მოქკავშირის"**, შემდეგ კი სააკაშვილის ნაციონალთა მოღალატეობრივი საქმიანობის შედეგად საქართველოს უამრავი შიდა თუ გარე პრობლემები აქვს დაგროვილი და მათი გადაწყვეტის ვადების გაჭიანურებამ შეიძლება აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს ქვეყანას.

მაშინ, როცა საქართველო სამ ნაწილად არის დაშლილი და გარე ძალების კეთილი ნების გარეშე არ ჩანს და არც გამოჩნდება მისი გაერთიანების რეალური შანსი, ნათელია, რომ ქვეყნის პირველი პირების უმთავრესი საზრუნავი უნდა გახდეს არა სიმინდის, ბაღჩეულისა და კარტოფილის მოყვანა (თუმცა, ქვეყნისათვის ესეც აუცილებელია, მაგრამ – არა პირველი რიგის ამოცანაა), არამედ ქვეყნის გამთლიანება და მისი ერთ, თუნდაც პირობით საზღვრებში თავმოყრა.

მაინც, როგორი უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი?

უპირველესად, მკაცრად უნდა განისაზღვროს საქართველოს პრეზიდენტის ფუნქცია და მას უნდა დაევალოს მხოლოდ საგარეო საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობა. თუ პრეზიდენტი არ იქნება დაკავებული ამ საკითხებით, მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ წინასწარ უნდა გამოაცხადოს, თუ ხელისუფლების რომელი შტოს წარმომადგენელი დაკავდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე მუშაობით, რათა ქართველი ხალხისათვის თავიდანვე ნათელი იყოს, ახალი ხელისუფლება საერთოდ აპირებს თუ არა ქვეყნის ტერიტორიულად გამთლიანებას, თუ ესენიც სააკაშვილის ხელისუფლებასავით **"დროის გაყვანით"** იქნებიან დაკავებულები.

აღარაფერს ვამბობ საპრეზიდენტო კანდიდატის ფიზიკურ გარეგნობაზე, თუმცა, ამ თანამდებობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსისათვის არც ეს ფაქტორი გახლავთ მეორეხარისხოვანი. ასევე მთავარი იქნება პრეზიდენტის მენტალიტეტი, მისი განათლების დონე (არა მხოლოდ ენების ცოდნა, რადგან თბილისში ნებისმიერი არაქართული ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოქალაქე, რომელსაც კლასიკური განათლება არ გააჩნია, თავისუფლად ფლობს 5-6 უძნელეს კავკასიურ თუ სხვა ენებს), პოლიტიკური გამჭრიახობა, მოსალოდნელი მოვლენების წინასწარ განჭვრეტის უნარი, მოლაპარაკებების წარმართვის ხელოვნება, კომუნიკაბელურობა, სხვადასხვა დონის მოლაპარაკებებში საკუთარი აზრის მკაფიოდ დაფიქსირების უნარი და სხვა. და რაც მთავარია, იგი არ უნდა იყოს შემჩნეული იმპულსურობაში, ანგარებაში, ნარკომანობაში, ლოთობაში, მექალთანეობასა თუ (სააკაშვილისათვის დამახასიათებელ) სხვა მანკიერებებში, რადგან ასეთ გადაგვარებულ ადამიანთან სერიოზული პოლიტიკოსები არასოდეს არ გამართავენ სერიოზულ საქმიან მოლაპარაკებებს.

თუ ვსაუბრობთ აფხაზებსა და ოსებთან საერთო ენის გამონახვაზე, თანაც რუსებისა და ჩრდილოეთ კავკასიელთა ხელშეწყობით, მათთან მოლაპარაკების სათავეში მდგომი პრეზიდენტისათვის აუცილებელიც კი გახლავთ აფხაზური, ოსური, ჩეჩნური და სხვა კავკასიური ენების ცოდნა, რუსული და ევროპული ენების სრულყოფილად ფლობაზე რომ არაფერი ვთქვათ...

და რაც მთავარია, საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკოსს, გარკვეული მუშაობა უნდა ჰქონდეს ჩატარებული როგორც აფხაზებთან, ისე ოსებთან, დღეს არსებული გამწვავებული ურთიერთდამოკიდებულებების შესარბილებლად. და რაც მთავარია, იგი გარკვეული ავტორიტეტით უდა სარგებლობდეს რუსეთის სახელისუფლებო წრეებში, რადგან არაერთგზის აღგვინიშნავს და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ რუსეთის კეთილი ნების გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. წარმოიდგინეთ, რაოდენ ტევადი სამუშაოებს ჩატარება მოუწევს საქართველოს მომავალ პრეზიდენტს სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური ბანდის მიერ მიერ რუსეთთან ხელოვნურად გამწვავებული პოლიტიკურ ურთიერთობათა დასალაგებლად, რაც თავისთავად შეუძლებელი იქნება, ამ ქვეყნის ხელისუფლების მღალი ეშელონების წარმომადგენლებთან პირადი მეგობრული კონტაქტების გარეშე! ამიტომაა აუცილებელი, რომ საპრეზიდენტო კანდიდატს ჰქონდეს დიდი ავტორიტეტი რუსეთის სახელისუფლებო წრეებს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთში ანგარიშს უნდა უწევდნენ მის პოლიტიკურ შეხედულებებს, იზიარებდნენ მრავალწლიანი კონფლიქტის მოგვარების მისეულ გეგმებს, რაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული კონფლიქტების საბოლოოდ ამოწურვას და დარეგულირებას ნიშნავს, სრულად უნდა ენდობოდნენ მას და დარწმუნებული იყვნენ, რომ მისი ხელმძღვანელობით საქართველო არასოდეს გადადგამს რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესებისათვის საზიანო ნაბიჯებს. სწორედ ამის შემდეგ შეუწყობენ ხელს რუსები საქართველოს გამთლიანების პროცესების მოვლენათა დაჩქარებას, რაც დღევანდელ ილუზიას ხვალინდელ სანუკვარ რეალობად გადააქცევს!

ჯერჯერობით, იმ კანდიდატებს, რომლებმაც თავიანთი კანდიდატურა წამოაყენეს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, აღნიშნული თვისებები აშკარად არ გააჩნიათ!

საქართველოს პრეზიდენტად ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის არჩევისას გასათვალისწინებელია ერთი, ყველაზე მთავარი გარემოება. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ აფხაზეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში (მათი ჩართვა კი აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის დარეგულირების საქმეში აუცილებელი იქნება) რაოდენ დიდი უფლებებითაა აღჭურვილი უხუცესთა საბჭოები. სხვა თემა გახლავთ ის, რომ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** კატეგორიულად მოითხოვდა ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლებებისაგან საქართველოში უხუცესთა საბჭოს შექმნას, რომელსაც დელეგირებული ექნებოდა საკონფლიქტო სიტუაციების მოსაგვარებელი მოლაპარაკებების წარმოება, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. აფხაზ და ჩრდილოკავკასიელ უხუცესთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (იქნება იგი სათანადო კადრების შერჩევასა ან სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხთან დაკავშირებული) სავალდებულოდ შესასრულებელიც კი გახლავთ ამ ქვეყნების მთავრობებისათვის. როგორც ცნობილია, უხუცესთა საბჭოების სხდომა მიმდინარეობს ასწლოვანი მუხების ჩრდილში, რომელთა წინაშეც უნდა წარსდგეს საქართველოს პრეზიდენტი და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები არსებული კონფლიქტების მოგვარების გზებზე. წინაპართა ტრადიციების მიხედვით კი, ისტორიულად, უხუცესთა საბჭოს სხდომებში მონაწილეობის უფლება კატეგორიულად ეკრძალებათ მანდილოსნებს, რაოდენ დიდი პოლიტიკური თუ ფუნქციონალური უფლებებითაც არ უნდა იყვნენ ისინი აღჭურვილნი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენც უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტად ავირჩიოთ მამაკაცი, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში გენდერული ბალანსის დარღვევის გარეშე.

ამდენად, მიმდინარე ეტაპზე, ვიდრე დადებითად არ გადაწყდება ქვეყნის წინაშე მდგარი ტერიტორიული პრობლემები, სამწუხაროდ, საერთოდ არ უნდა ვიფიქროთ საქართველოს პრეზიდენტად ქალთა სქესის წარმომადგენლის არჩევაზე.

საქართველოს პრეზიდენტად დღემდე სიმბოლურად დასახელებული პიროვნებები კი სარგებლობენ საქართველოს მოსახლეობაში გარკვეული ავტორიტეტით და წარმატებით შესძლებენ ევროპის სტრუქტურებში საქართველოს ინტერესების გაჟღერებას, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, მხოლოს ეს შესაძლებლობები სრულიადაც არ იქნება საკმარისი საქართველოს გასამთლიანებლად და, ამიტომ, დღევანდელი ხელისუფლების მიერ წამოწეული საპრეზიდენტო კანდიდატის შესაძლებლობებზე დაყრდნობით შეგვიძლია წინასწარ განვჭვრიტოთ – აპირებს **"მეოცნებეთა ხელისუფლება"** საქართველოს ძველი საზღვრების აღდგენას თუ იგი მხოლოდ **"დარჩენილი"** საქართველოს აშენება-დამშვენებით დაკავდება! სრულიად საქართველოსათვის საბედისწერო კონფლიქტიდან უკვე ოცი წელიწადი გავიდა და ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ ვერც ამერიკა და ვერც ევროპა ვერასოდეს მოახერხებენ საქართველოს ტერიტორიული პრობლემების ცალმხრივად გადაწყვეტას!

ვიმეორებთ – ამრიგად, **"მეოცნებეთა ხელისუფლებამ"** გარკვევით უნდა განუცხადოს ქართველ ერს – საერთოდ აპირებს თუ არა იგი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემოერთებას!

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს დამოუკიდებლად მოაზროვნე პოლიტიკოსი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლება საკუთარი აზრის დაფიქსირება.

როგორც ჩანს, საკითხის ამგვარად დასმა არ გახლავთ მხოლოდ ჩვენი პრეროგატივა. იგივე აზრს აჟღერებს საქართველოს ხელისუფლებაში საკმაოდ წონადი ავტორიტეტის მქონე ექსპერტი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილი, რომელმაც გაზეთ **"საქართველო და მსოფლიო"**-სთან თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა: **„პრეზიდენტობის კანდიდატის შერჩევის დროს, კოალიციას ბევრი რამის გათვალისწინება მოუწევს. მათ შორის იმისაც, რომ არ დასახელდეს ისეთი პიროვნება, რომელიც ცალსახად გამაღიზიანებელი იქნება ამ მხარეებისთვის“!** ფაქტია, რომ **"მხარეებში"** ექსპერტი, სოხუმს, ცხინვალსა და მოსკოვს გულისხმობს.

**„რაც შეეხება იმ სუბიექტებს, რომლებსაც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, სოხუმსა და მოსკოვში არ დაუჯდებიან, არ მინდა ძალიან შორს წასვლა და ანალიზის გაკეთება, მაგრამ იმავე თუნდაც პროამერიკულზე რომ ვილაპარაკოთ, ირაკლი ალასანია, რამდენადაც მესმის, უკვე არც ფიქრობს პრეზიდენტობაზე და არც განიხილავს საკუთარ თავს კანდიდატად, ვინაიდან მან თქვა, რომ მომდევნო საქმიანობის ორი წელიწადი ქართულ არმიასთან დაკავშირებული ფრიად აქტუალური პრობლემების გადაწყვეტით იქნება დაკავებული.**

**ასე რომ, ცალსახად რამის თქმა ნამდვილად ძნელია, ერთ რამეში კი გეთანხმებით: საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, რა უფლებებითაც არ უნდა იქნეს ის წარმოდგენილი, აუცილებლად მისაღები უნდა იყოს როგორც აფხაზებისთვის, ისე ოსებისთვის და, რა თქმა უნდა, რუსეთისთვისაც. სხვანაირად, ამ უკიდურესად გართულებული ურთიერთობების დარეგულირება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება"** – დასძენს ხუხაშვილი.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლის ამ სიტყვებს!

**როლანდ ჯალაღანია,**
"აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი,
გაზეთ "ილორი"-ს მთავარი რედაქტორი

# აფხაზური გვარების კვალდაკვალ

*გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ჩვენი აფხაზი მეგობრის, გაზეთ "გალის" მთავარი რედაქტორის ბატონ **ნუგზარ სალაყაიას** წერილების ციკლს, რომელიც ქვეყნდება ამ გაზეთში მკითხველი ეცნობა ჩვენს წერილებს აფხაზური გვარების თაობაზე, რომელიციკლიც ჩვენ დავიწყეთ აფხაზ თავადთა საგვარეულოზე თხრობით.*

*ეს არ გახლავთ შემთხვევითი. იმ პერიოდში სამურზაყანოში შედარებით გამორჩეული გახლდათ ჩაჩბების, მარშანების, ინალ-იფების, ჩხოტუების, ზვანბებისა და სხვა საგვარეულოები. გამორჩეული, თუნდაც იმიტომ, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ არა მხოლოდ აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს მკითხველებს ვთავაზობთ სტატიას ერთ-ერთ გამორჩეულ გვარზე – **ჩხოტუაზე**. მართალია, არ გაგვაჩნია ამ საგვარეულოზე ისტორიული მონაცემები. ეს სწავლულთა საქმეა. ჩვენ მხოლოდ ჩხოტუების საგვარეულოს შთამომავალთა მიერ მოწოდებულ ცნობებს გავაცნობთ.*

### ვიქტორ მიხეილის ძე ჩქოტუა

სამურზაყანოს ტერიტორიაზე სახელგანთქმული გახლდათ აფხაზური წარმოშობის თავადების ჩქოტუების საგვარეულო. ისინი მე-15 საუკუნიდან მოიხსენიებიან სამურზაყანოს მთიან დასახლებებში: ლეკუხონეში, საბერიოსა და დიხაზურგაში. ჩქოტუების სამი შრომისმოყვარე ოჯახი ყარაჩაევო-ჩერქეზეთიდან (აბაზა) გადმოვიდა, აფხაზეთში დამკვიდრდა და მალე გაიდგეს აქ ფესვი. ტყუილად როდი აღნიშნავდნენ იმდროინდელი უცხოელი მოგზაურები, რომ წარმოუდგენელია შავიზღვისპირეთისა და კავკასიონის სამხრეთ ქედის ტერიტორიები აფხაზების გარეშე, რომლებიც სიამაყით პატრონობენ აქაურობას. ჩქოტუების გვარის ისტორია აუცილებლად უნდა შეისწავლონ მეცნიერებმა, მაგრამ შედარებით ნათელი ერა ამ საგვარეულოსათვის იწყება XIX საუკუნეში. პირველი, ვინც აფხაზებიდან გენერლის წოდება დაიმსახურა, გახლდათ ზურაბ ჩხოტუა. მოგვიანებით, 1864-1890 წლებში იგი თურქეთში იქნა გასახლებული. ზურაბის შვილი დავითი თბილისში თარჯიმნად მსახურობდა და იყო პრესტიჟული რედაქცია **"დროების"** სარედაქციო კოლეგიის წევრი, რომელსაც

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მიუძღოდა. მაგრამ მეფის რუსეთმა არ აპატია დავითს დაუმორჩილებლობა და იგი 25 წლით იქნა გადასახლებული შორეულ ცივ ციმბირში. სამშობლოში დავითი ჯანგატეხილი დაბრუნდა და 1914 წელს აღესრულა კიდეც.

ავმა ბედისწერამ აფხაზეთში, საქართველოში, რუსეთსა და თურქეთში მიმოფანტა ჩქოტუების დიდი საგვარეულოს წარმომადგენლები. ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ბონდო ჩხოტუა (ჩქოტუა) წუხს იმაზე, რომ ბევრის არაფერი იცის მისი მამის ბაბუის, ლეგენდარული პიროვნების მიხეილ ჩხოტუას შესახებ. **"ვიქტორ ბაბუას გარდა, მას, კიდევ ორი ვაჟიშვილი ჰყავდა, რომლებიც ჩვენს საგვარეულოს ამშვენებენ".**

ვიქტორ მიხეილის ძე ჩხოტუა დაიბადა 1875 წელს. განათლება ოდესის ორწლიან სასწავლებელში მიიღო. მშობლიურ სოფელ საბერიოში დაბრუნებისთანავე გახსნა საკუთარი სკოლა, სადაც უფასოდ ამეცადინებდა ღარიბი ოჯახის შვილებს.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე გარდაიცვალა 1918 წელს. მისი მეუღლე (ბებია) მანანა მხეიძე (ხეცია) დღეგრძელი გახლდათ და 1948 წელს 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვიქტორ ჩხოტუას ოთხი პირმშო ჰყავდა: შალვა, დავითი, თამარა და ნიკოლოზი. მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი ბიოგრაფია უფროს შალვას გააჩნია. იგი 1914 წელს დაიბადა და საშუალო განათლება გალში მიიღო. სწავლა სოხუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში გააგრძელა და შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. მშობლიურ ენად აფხაზური მიაჩნდა, რომელსაც შესანიშნავად ფლობდა. ასევე კარგად იცოდა ბერძნული ენა. შრომითი მოღვაწეობა მშობლიურ სოფელ საბერიოში დაიწყო, შემდეგ კი პარტიის გალის რაიკომის საორგანიზაციო და პროპაგანდის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. იყო რაიკომის ბიუროს წევრი.

1953 წელს გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარკის მანქანათ-სატრაქტორო სადგურის უფროსად დააწინაურეს, ერთი წლის შემდეგ კი გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა **"გამარჯვება"** ჩააბარეს. ამის შემდეგ იგი ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობს. იყო სოფელ რეჩხოცხირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გალის საშუალო სკოლის დირექტორი, ამავე რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე...

1964 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე იყო რაიკომთან არსებული საზოგადოება **"ცოდნის"** რაიონული საბჭოს თავმჯდომარე. იგი იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი. გარდაიცვალა 1984 წელს 70 წლის ასაკში.

შალვა ჩხოტუას დამსახურებები სამშობლოსა და მშობელი ხალხის წინაშე სათანადოდ აღნიშნა აფხაზეთის და საქართველოს ხელისუფლებამ. მას მინიჭებული ჰქონდა **"აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგისა"** და **"საქართველოს სახალხო მასწავლებლის"** საპატიო წოდებები. დღეს მის სახელს ატარებს ქალაქ გალის ერთ-ერთი ქუჩა. შალვა ჩხოტუამ და მისმა მეუღლემ ლიუბა წულაიამ ხუთი შვილი აჩუქეს სამშობლოს (თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმცროსი შვილი ნუგზარი მათ კაკუბავების ოჯახს მიაშვილეს).

უფროსი შვილი ბონდო 1942 წელს დაიბადა და დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი. აქვე მიიღეს კომუნისტთა რიგებში. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ამავდროულად დაამთავრა საღამოს უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი გალის რაიონის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივნად აირჩიეს, რა დროსაც იგი გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ ბონდო ჩხოტუა დაინიშნა **"მზიურის"** მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის აგრომეურნეობის უფროსად, იქიდან კი მეგობრობის საბჭოთა მეურნეობაში გადაიყვანეს, სადაც იმუშავა 1976 წლამდე.

შემდეგ იყო გალის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი და უფროსი აგრონომი. 1992-93 წლების კონფლიქტის დროს მას არ მიუტოვებია აფხაზეთი და მუშაობდა გალის გამწვანების უფროსად, სადაც დღესაც საქმიანობს. მას სამი შვილი ჰყავს, რომელთაგან ყველას გააჩნია უმაღლესი განათლება. უფროსი ქალიშვილი – ლია გალის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეა. გიორგიმ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი დაამთავრა, უმცროსმა ბესიკმა კი საერთაშორისო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი. მაგრამ ბონდო ჩხოტუას ცხოვრებამ მძიმე გამოცდაც მოუწყო – გარდაეცვალა სრულიად ახალგაზრდა მეუღლე იამზე აკაკის ასული რაზმაძე, რომელიც გალის საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგედ მუშაობდა და ყველასაგან პატივსაცემ პიროვნებად იყო მიჩნეული.

ასევე შრომისმოყვარე პიროვნება გახლდათ ბონდის ძმა – ზურაბი, რომელმაც ასევე წარმატებით დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი. მუშაობდა გალის, სიდის და მახუნჯის საბჭოთა მეურნეობებში აგრონომად. ამჟამად პენსიონერია. მეუღლე მანანასთან ერთად მან ღირსეული შვილები აღუზარდა სამშობლოს. ქალიშვილი – მაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ინგლისური ენის პედაგოგია და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის. ასევე პედაგოგია მამუკაც, რომელიც ერთ-ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგია. როცა ბატონ ბონდო ჩხოტუას მისი დების თაობაზე ვკითხე, მას გაეღიმა. ძმას მათი ეიმედება და ამაყობს კიდეც. ნუნუ ჩხოტუამ სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და გალის საავადმყოფოში მუშაობს დღესაც.

მეორე და – ციური კი ქიმიკოსია და გალის საშუალო სკოლაში ასწავლის. ბონდოსთან საუბარი გავწყვიტე, რადგან ოთახში, მოულოდნელად, მისი ბიძა კოლია ჩხოტუა შემოვიდა. სიმართლე გითხრათ, ჩვენ მას ველოდით. მე მას ადრეც ვიცნობდი და 1992-93 მძიმე წლებში ერთად ვმუშაობდით. მიუხედავად შთამბეჭდავი ასაკისა (კოლია ჩხოტუა 87 წლისაა) მას შერჩენილი აქვს ძველებური პეწი და იუმორის გასაოცარი უნარი. გულიანი შეხვედრა გვქონდა, ყველა აფხაზური წესის დაცვით. კოლიამ ხმამაღლა შესძახა: **"ხედავთ, როგორ ხვდება ერთმანეთს ორი პოლიგრაფისტი"**? (სიტყვისათვის – მე დღესაც ვამაყობ, რომ ოდესღაც პოლიგრაფისტი ვიყავი). საუბარში ისე გაილია ერთი საათი რომ დრო ვერც კი ვიგრძენით...

**– კოლია ბიძია, გალში რომ ძველი პოლიგრაფიული დანადგარი შემოიტანონ, იმუშავებთ გაზეთის ბეჭდვაზე?** – ნახევრად ხუმრობით ვკითხე მე.

– რა თქმა უნდა, ძალ-ღონე ჯერ კიდევ მერჩის, 20-25 კილოგრამიანი დაკაბადონებული მეტალშრიფტიანი გვერდის აწევაც შემიძლია, მიუხედავად საბეჭდი მანქანის სისწრაფისა, ქაღალდის მიწოდებასაც მოვასწრებ, არც ქაღალდის საჭრელ მანქანაზე მუშაობა შემეშლება! – სერიოზულად მიპასუხა მან.

**– როგორც ვიცი, დიდი ხანი მუშაობდით პოლიგრაფისტად!**

– ჭეშმარიტად ასეა, საბეჭდ მანქანასთან პირველად 1943 წელს დავდექი, მაშინ **"ამერიკანკაზე"** (უძველესი პოლიგრაფიული მანქანა, რომელიც გამოიყენებოდა წინარევოლუციამდელ პერიოდში პროკლამაციების დასაბეჭდად – **"ილორი"**) ვმუშაობდი, უმარტივეს საბეჭდ მოწყობილობაზე. დღეს პოლიგრაფიული პროცესები სრულიად ავტომატიზირებულია, მაშინ კი ყველაფერს ჩვენი ხელით ვაკეთებდით – დაწყებული ქაღალდის დაჭრით და დამთავრებული ნაბეჭდი გვერდების დაკეცვით. თერთმეტი მთავარი რედაქტორი შევიცვალე. 1998 წლის არეულობის შემდეგ დავანებე მუშაობას თავი, თორემ დღესაც თქვენს კომპიუტერთან ვიჯდებოდი და გაზეთებს ახალი ტექნოლოგიით გავაკეთებდი!

მართლაც, 1926 წელს დაბადებული კოლია ჩხოტუა ალბათ ყველაზე უხუცესი პოლიგრაფისტია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. მე მისთვის მეთორმეტე მთავარი რედაქტორი ვარ. 1943 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი გალის პოლიგრაფიულ საწარმოში მიიღეს მუშად, რომელიც 1931 წლიდან მუშაობდა. ჯერ ასოთამწყობი იყო, შემდეგ მბეჭდავი გახდა.

1994 წლის დასასრულს აფხაზეთის ხელისუფლებამ წინადადება მომცა, რომ გამომეშვა გაზეთი **"გალი",** რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. ტიპოგრაფია სრულიად განადგურებული იყო, ერთმანეთში არეული შრიფტები იატაკზე ეყარა. მე, აწგანსვენებულმა აპოლონ აბრუმიამ და კოლია ჩხოტუამ თითქმის 4 თვე თავაუღებლად ვიმუშავეთ, ყველაფერი მოვაწესრიგეთ და 1995 წლის ივნისში მკითხველმა მიიღო გაზეთ **"გალის"** პირველი ნომერი. მართალია, იმ დროს აფხაზეთში სამშვიდობო კონტიგენტი იდგა, მაგრამ მდგომარეობა მაინც ფეთქებადსაშიში იყო.

ისმოდა სროლა, ჭურვების აფეთქება... ორჯერ აფეთქდა ჩვენი ტიპოგრაფიაც. კოლია ცრემლს ვერ იკავებდა, როცა საბეჭდი მანქანის აღდგენაზე მუშაობდა, აპოლონი შრიფტს აგროვებდა. სადილზე გიორგი ბერიას, ნიკოლოზ ჩხოტუას და აპოლონ აბრუმიას ჰუმანიტარული კერძი მოჰქონდათ ქვაბით... ტიპოგრაფიის ხუთ თანამშრომელს სხვა საკვები არაფერი გაგვაჩნდა. მოკლედ, ტიპოგრაფიას ვერაფერმა მოგვწყვიტა და იგი რამდენიმეჯერ ფენიქსივით აღვადგინეთ ფერფლიდან!

პოლიგრაფიულ დარგში ხანგრძლივი და მაღალნაყოფიერი საქმიანობისათვის 1964 წელს ნიკოლოზ ჩხოტუას მიენიჭა **"აფხაზეთის რესპუბლიკის დამსახურებული პოლიგრაფისტის საპატიო წოდება".** იგი სამჯერაა დაჯილდოებული სხვადასხვა მედლით მედლით.

ნიკოლოზ ჩხოტუამ და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნარგიზა მარშავამ სანიმუშოდ გაზარდეს საკუთარი შვილი – გიორგი. ამჟამად იგი ქალაქ ფოთში მუშაობს (ეს კიდევ ერთი დასტური გახლავთ იმისა, რომ ვერცერთი ომი ვერ დააშორებს ერთმანეთს ადამიანებს, რომლებიც ერთ მენტალურ გარემოში გაიზარდნენ და მარად წინაპართა ტრადიციების ერთგულნი რჩებიან – **"ილორი"**).

ბონდო და კოლია ბიძიას გადმოცემით შევიტყვე, რომ ვიქტორ მიხეილის ძე ჩხოტუას შალვასა და ნიკოლოზის გარდა ჰყოლია კიდევ ერთი შვილი – დავითი, რომელიც 1916 წელს დაბადებულა. მას მექანიკოსის სპეციალობა აუთვისებია და აფხაზეთის მაშინდელი სამხედრო კომისარის პირად მძღოლად მუშაობდა.

შემდეგ გაიწვიეს დიდ სამამულო ომში, კავკასიის დაცვისას მძიმედ დაიჭრა და მკურნალობდა ბათუმის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მას ორივე ფეხი მოკვეთეს. დიდად საწყენი იყო, რომ მისი გამოჯანმრთელება ვერ მოხერხდა და 1945 წელს აღესრულა. სამწუხაროდ, მას ცოლ-შვილი არ დარჩენია.

– ჩვენ ერთი დაიკოც გვყავდა, თამრიკო ერქვა – მითხრა ნაღვლიანად ბიძია კოლიამ, – მაგრამ მან ცამეტი წლის ასაკამდეც კი მიაღწია, რაღაც მძიმე სახადმა წაიყვანა...

ძნელია მთელი საგვარეულოს წარსულის დოკუმენტურად აღდგენა, როცა სათანადო ისტორიული წყაროები არ გაგაჩნია. მაგრამ ვიმედოვნებ, როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოში ისტორიკოსები დაინტერესდებიან აფხაზ თავადთა ამ დიდებული საგვარეულოს წარსულით და მოგვაწვდიან სათანადო დოკუმენტურ მასალებს.

**ნუგზარ სალაყაია,**
**ჟურნალისტი,**
**აფხაზეთი, გალი**

**შენიშვნა:** ალბათ დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ ბონდოს და ნიკოლოზს მე მოვიხსენიებ ჩხოტუებად, სხვებს კი ჩქოტუებად. ეს გახლავთ არა ავტორის, არამედ იმ ხალხის შეცდომა, ვინც პასპორტები გასცა. როცა საბჭოთა პასპორტებს არიგებდნენ, მაშინ **"ჩქოტუას"** ნაცვლად ხალხის ნაწილს ჩაუწერეს **"ჩხოტუა".**

მათი ნაწილი, მაშინ, პასპორტების მიხედვით ქართველები გახდნენ, თუმცა მათ არასოდეს უარყვიათ თავიანთი აფხაზური წარმომავლობა.



ჩქოტუების საგვარეულო ღერბი

# ინტერვიუ აქტუალურ საკითხზე, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე გამოქვეყნდა



*2008 წლის ივნისში ჟურნალმა “სერპანტინი” გამოაქვეყნა ინტერვიუ ცნობილ ქართველ პოლიტიკოსთან ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინტერვიუს გამოქვეყნებიდან უკვე ხუთი წელი გაილია, პუბლიკაციაში წამოწეული საკითხები მაინც აქტუალურია და ისინი აქტუალობას არ დაკარგავენ, ვიდრე დღის წესრიგში იდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საკითხი.*

*გაზეთ “ილორის” მკითხველებს ვთავაზობთ აღნიშნულ ინტერვიუს.*

**— რამდენად გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ხელისუფლების ლტოლვა დასავლეთისაკენ, კერძოდ კი — “ნატო”-საკენ?**

— გამართლებულად მხოლოდ ის საგარეო-პოლიტიკური კურსი შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც ქვეყნისათვის კონკრეტული სარგებელი მოაქვს და ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. მე ყოველთვის საქართველოს **ნატო**-ში გაწევრიანების წინააღმდეგი ვიყავი, რადგან კარგად შევისწავლე ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის ის სფერო, რომლის აფიშირებასაც არ ახდენენ **ნატო**-ს პროპაგანდისტები, და კარგად ვიცი, რომ საქართველოსთანა პატარა და სუსტი ქვეყნის **ნატო**-ში გაწევრიანება მისი სუვერენიტეტის სრულ დაკარგვას ნიშნავს, ხოლო, ჩვენი გეოსტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, საქართველო მყისვე იქცევა მთავარ სამიზნედ. ამდენად, **ნატო**-სთან დაკავშირებით, სრულიად ნათელია ამერიკელების ინტერესი: მათ საქართველო პაიკად სჭირდებათ რუსეთის მიმართ წარმოებულ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში (ამერიკელები არც მალავენ, რომ საქართველოს გამოყენებით მათ ყოველთვის ხელეწიფებათ კავკასიაში სიტუაციის დესტაბილიზირება). ამერიკელებს ასევე სჭირდებათ საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურა ირანთან საომარი ქმედებების გაჩაღების შემთხვევაში (სხვათა შორის, ირანის საპასუხო დარტყმის ობიექტი იქნება არა შორეული ამერიკა, არამედ — მეზობელი საქართველო). ამერიკას ასევე სჭირდება ნავთობსადენის კონტროლი. დააკვირდით: ამ ინტერესების განსახორციელებლად ამერიკას არ სჭირდება არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი.

ასევე გასაგებია თურქეთის ინტერესიც: **ნატო**-ს ეგიდით ხომ საქართველოში სწორედაც რომ თურქული სამხედრო ბაზები განლაგდება, რაც თურქეთს არა მხოლოდ საქართველოს გაკონტროლების საშუალებას მისცემს, რომელსაც თურქული ელიტა ყოველთვის თავის ვასალურ ტერიტორიად მიიჩნევდა, არამედ პირდაპირ შეხებაში მოვა მათდამი ლოიალურად განწყობილ ჩრდილოკავკასიელ ხალხთან, რითაც თურქები მნიშვნელოვნად დაუახლოვდებიან **“დიდი თურანის”** რეალიზაციის იდეას.

ასევე, გასაგებია ევროპელთა დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი (მხედველობაში მყავს ე.წ. **“ძველი ევროპის”** ქვეყნები — საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, და არა ახლადგამოჩეკილი **“ევროპელები”** — პოლონეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკის მსგავსი, რომლებიც მოსამსახურეთა როლს ასრულებენ და ამერიკელები მათ **“შავ მუშებს”** უწოდებენ). ევროპას ხელს არ აძლევს რუსეთთან ურთიერთობის გართულება და, ამავდროულად, ევროპას დიდად არ აინტერესებს საქართველოს **ნატო**-ში გაწევრიანება. ჯერ ერთი, ევროპაში კარგად იციან, რომ **ნატო** იქცა მსოფლიოში ამერიკული ინტერესების გატარების იარაღად. ეს კი გამაღიზიანებელია ევროპელებისათვის, რომლებიც არ ამჟღავნებენ ერაყში, ავღანეთში და სხვა ქვეყნებში ამერიკელების მიერ მოწყობილ ინტრიგებში მონაწილეობის დიდ სურვილს. მეორეც — ევროპელები არ მიიჩნევენ საქართველოს ევროპის კონტინენტის ნაწილად და იმ ქვეყნად, რომლის პოტენციალის მიმართ შეიძლება გაჩნდეს პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესები. ამის დასტური გახლავთ თუნდაც ის, რომ საქართველოში არ ჩამოსულა რომელიმე სერიოზული ევროპული ქვეყნის ლიდერი. ეს დამოკიდებულება გამოვლინდა ბუქარესტის სამიტზეც, სადაც ყველამ, მათ შორის საქართველოს ხელმძღვანელობამაც კარგად იცოდა, რომ საქართველო **“MAP”**-ს ვერ მიიღებდა, მაგრამ ისინი მაინც ატყუებდნენ საკუთარ ხალხს. ახლა, ესენი, დეკემბრის მოვლენებს ელოდებიან, რომელიც კვლავ უშედეგო იქნება, მაგრამ სააკაშვილს და მის თანამზრახველებს ტყუილები არ დაელევათ.

ამრიგად, ძირითად საგარეო მოთამაშეთა პოზიციები სავსებით გასაგებია. მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია. რისთვის სჭირდებათ მათ საქართველოს გადაქცევა რუსეთის ან ირანის რაკეტების სამიზნედ? რატომ სურთ მათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაცვლა თურქეთის სამხედრო ბაზებზე? რატომ არ უწევენ ანგარიშს ევროპის მოწინავე ქვეყნების თვალსაზრისს, თუ კი ქართველები მართლაც ევროპისაკენ მიისწრაფვიან? მრავალთაგანნი ამას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა გაუნათლებლობას, გამოცდილების დეფიციტს, სრულიად მარტივი ანალიზის გაკეთების უუნარობას მიაწერენ. მაგრამ, ნუთუ იმდენად გაუნათლებლები არიან, რომ ელემენტარული ავკარგი ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან? საქმე იმაშია, რომ ისინი მოკლებული არიან ქვეყნის პოლიტიკური კურსის დამოუკიდებლად შემუშავების საშუალებას და ბრმად ასრულებენ იმ გარე ძალების ნებას, რომელთათვისაც საქართველოს ეროვნული ინტერესები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენენ. მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას სიტუაციის აბსურდულობა, რაც ნაციონალებმა თავს მოახვიეს საქართველოს. თავად განსაჯეთ: **ნატო**-ში გაწევრიანებაზე მრავალწლიანი ლაყბობით ჩვენ საბოლოოდ გავაფუჭეთ ურთიერთობა რუსეთთან, მთლიანად გავყინეთ კონფლიქტების დარეგულირების პროცესები, დავკარგეთ ჩვენი პროდუქციისათვის ესოდენ საჭირო ერთადერთი მასშტაბური ბაზარი, მაგრამ **ნატო**-ში ჩვენ არ გვიღებენ და, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ გავწევრიანდებით ამ ორგანიზაციაში. გამოდის, რომ ქვეყანა რეალურ აწმყოს სწირავს პოლიტიკოსთა ფატაზიას. განა ეს არ არის სრული აბსურდი!

**— კოსოვოს აღიარების შემდეგ მრავალნი შიშის განცდით ელოდნენ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას. ეს ასე არ მოხდა, მაგრამ მოიხსნა თავის დროზე აფხაზეთზე დაკისრებული მრავალი სახის სანქცია. ხომ არ მოჰყვება ამას აფხაზეთის აღიარება?**

— ამ რესპუბლიკებისათვის დამოუკიდებლობის მიცემის მსურველი რუსეთში საკმაოზე მეტია. და ეს სავსებით გასაგებიცაა, რადგან ამ რესპუბლიკების მოსახლეობა და ხელისუფლებები ყოველნაირად ავლენენ რუსეთისადმი კეთილ დამოკიდებულებებს, ესწრაფვიან რუსეთთან თანამშრომლობას, რუსეთ-საქართველოს მტრული დამოკიდებულებების ფონზე. ამ პირობებში კი შემზღუდავი და ამკრძალავი ღონისძიებების გაგრძელება შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, რუსეთის უმაღლეს სახელისუფლებო წრეებში არიან დიდი გავლენის მქონე ლობისტები, რომლებიც კატეგორიულად აცხადებენ: საქართველომ რუსეთთან კონფრონტაციის გზა აირჩია და ესწრაფვის რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო ბლოკში გაერთიანებას და, ამიტომ, საქართველოს უნდა მოვეპყროთ როგორც ჩვენდამი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს. მე ხშირად მიწევს ამ ადამიანებთან დავა, მაგრამ ისინი ახალი ფორმაციის პოლიტიკოსები არიან, რომელთა მსოფლმხედველობა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა — ჩვენს ქვეყნებს შორის კონფრონტაციული ურთიერთდამოკიდებულებების გაძლიერების პერიოდში. ამიტომ, ისინი ძნელად აღიქვამენ ჩემს არგუმენტაციას, რომელიც ეფუძვნება ისტორიულ გამოცდილებას, ერთობლივ წარსულს და ა.შ. საბედნიეროდ, არიან პოლიტიკოსები, რომელთათვისაც ჩვენი საერთო წარსული, ევრაზიული ერთიანობა არ წარმოადგენენ ფუჭ სიტყვებს და ამას გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ინტერესთა დამთხვევად აღიქვამენ. ამგვარ პოლიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება ვლადიმერ პუტინი. ამიტომ, მე არაერთგზის მოვუწოდე საქართველოს ხელისუფლებას გამოეყენებინა პუტინის პრეზიდენტობის პერიოდი და მისი კეთილგანწყობა ქართველი ხალხის მიმართ. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება პირიქით მოიქცა. ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი პრეზიდენტი (იგულისხმება დიმიტრი მედვედევი — **“ილორი”**) გაიზიარებს პუტინის მსოფლმხედველობის ამ ნაწილს, და თუ საქართველოს ხელისუფლება მხედველობაში მიიღებს ეროვნულ ინტერესებს, ამას მოსკოვის მხრიდან მოჰყვება სასიკეთო ძვრები.

მე კვლავაც ვამტკიცებ, რომ რუსეთისა და საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესები სრულიად თანხვდებიან ერთმანეთს. ამიტომ, რუს კოლეგებთან საუბარში აპელირებას ვახდენ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებზე და ვცდილობ დავარწმუნო ისინი, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა არ შეესაბამება რუსეთის ხანგრძლივ ინტერესებს. ზღვის სანაპიროზე მდებარე დამოუკიდებელი აფხაზეთი მაგნიტივით მიიზიდავს ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების სეპარატისტულ წრეებს, რომლებიც დიდი ხანია ოცნებობენ ზღვაზე გასვლაზე. კვლავ აღორძინდება, თავის დროზე, თურქეთის გენშტაბის მიერ შემუშავებული აფხაზეთისა და ჩრდილოკავკასიელების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეა. განა სწორედ ამ იდეას არ ემსახურებოდა ამიერკავკასიის ხალხთა კონფედერაციის შექმნა, რომლის დედაქალაქად გამოცხადებულ იქნა სოხუმი. ყურადღება მიაქციეთ: არა ხალხთა ასოციაცია, არამედ — კონფედერაცია — სახელმწიფო მოწყობის ფორმა. გარდა ამისა, დამოუკიდებლობის სტატუსი საშუალებას მისცემს აფხაზეთს დაამყაროს თურქეთთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები და არავინ იცის, შემდგომში როგორ განვითარდება ეს ურთიერთობები. გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, კავკასიაში თავისი ინტერესების განსახორციელებლად, არაფრად სჭირდება არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი. ამასთან, საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებული კონფლიქტები ხელს უშლის მის სამხედრო ბლოკში გაწევრიანებას და ამყარებს იმ ევროპელთა პოზიციებს, რომელთაც არ სურთ საქართველოს **ნატო**-ში ხილვა. ამიტომ, შეერთებული შტატები სიამოვნებით ჩამოიცილებდნენ ამ პრობლემას, მაგრამ ღიად ვერ მოუწოდებენ საქართველოს, რომ მათ დათმონ დროებით ჩამოცილებული ტერიტორიები, რათა **“მეგობრისა”** და **“დამცველის”** სახე არ დაჰკარგონ. ამიტომ, ამერიკელები ყოველნაირად შეეცდებიან, რომ ეს რუსეთის ხელით გააკეთონ, რათა საკუთარი იმიჯი შეინარჩუნონ და **“მტრისა”** და **“აგრესორის”** ეტიკეტი რუსებს მიაწერონ. ყველა ამ გარემოებას ითვალისწინებდა პუტინი და რუსეთის ხელმძღვანელობა ამიტომაც არ წამოეგო ამერიკელთა ანკესს და არ გაიმეორა კოსოვოს პრეცენდენტი.

მაგრამ უსასრულოდ ასე არ გაგრძელდება. თუ საქართველოს **ნატო**-ში გაწევრიანების რეალური საშუალება გაჩნდება, რაც ნატოს სამხედრო ბაზების განთავსებას ნიშნავს რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე, მაშინ, რუსეთის ხელისუფლება უეჭველად გააფართოებს საკუთარი უსაფრთხოები ზონას, მათ შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზეც. და ეს იქცევა კატასტროფად როგორც საქართველოს, ისე ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ფენომენისათვის (განა სწორედ ამას არ მიაღწია სააკაშვილის მოღალატე ხელისუფლებამ, სამხრეთ ოსეთში დანაშაულებრივი ომის გაჩაღებით, რომელსაც ჯერ რუსი მშვიდობისმყოფელები და ქართველი ჯარისკაცებ ემსხვერპლნენ, შემდეგ კი სამხრეთ ოსეთისა და გორის რაიონის მშვიდობიანი მოსახლეობა?! — **“ილორი”**).

**— თუ თვალს გადავავლებთ უკანასკნელ მოვლენებს, ისმის შეკითხვა: საერთოდ თუ არის შესაძლებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?**

— მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს გახლავთ უაღრესად რთული და ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, ეს სავსებით შესაძლებელია. წარსული ომი ხომ არ ატარებდა ობიექტურ, ანტაგონურ ხასიათს. დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს სათავეში რომ მდგარიყო არა შევარდნაძე, არამედ დამოუკიდებლად მოაზროვნე, ეროვნულად ორიენტირებული, ჭკვიანი ადამიანი, მაშინ არავითარი ომი არ ატყდებოდა. სამწუხაროდ, არც უკანასკნელ წლებში გადაუდგამს საქართველოს ხელისუფლებას რეალური ნაბიჯები ურთიერთობის ნორმალიზებისათვის. პირიქით, ყველაფერი ისე კეთდებოდა, თითქოს საქართველოსაგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩამოჭრა ჩვენი პოლიტიკოსების ფარული მიზანი გახლდათ.

მე ვთვლი, რომ დღესაც არაა გვიან ამ უაღრესად ძნელი, მაგრამ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სამუშაოს დაწყება. უმთავრესია ის, რომ განისაზღვროს მოღვაწეობის მიმართულებები. **უპირველესად**, უნდა შეწყდეს სპეკულირება და ამ თემაზე ყაყანი ქვეყნის შიგნით, გაეროს ტრიბუნებიდან თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთაც, უკაცრავად, მაგრამ ფეხებზე ჰკიდიათ ჩვენი პრობლემები. სწორედ შევარდნაძემ მიაჩვია ჩვენი პოლიტიკოსები უსაგნო მოღვაწეობას, რათა რეალური პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღება გაეფანტა. **მეორე** — ჩვენ კატეგორიული უარი უნდა განვაცხადოთ ნებისმიერ სამხედრო ბლოკში გაწევრიანებისაგან, რადგან ეს საქართველოს იმ უძლიერესი სახელმწიფოების მტრად აქცევს, რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობაც, ეკონომიკური განვითარებაც და მოსახლეობის კეთილდღეობის დონეც. საქართველო უნდა იყოს ღია, ყველა ქვეყნისათვის კეთილისმსურველი სახელმწიფო, სტრატეგიული თვალსაზრისით კი — ნეიტრალური. **მესამე** — სამხედრო

*(გაგრძელება მე-5 გვერდზე)*

# ყოფილი ძალოვნების ფარული შუღლი

თავდაცვისა და შს ყოფილი მინისტრების – ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის ფარული დაპირისპირება სააშკარაოზე გამოდის...

ახალაიას ბრძანებით, სავარაუდოდ, სამხედრო პოლიციისა და სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა მინისტრსა და მის უახლოეს გარემოცვაზე ინფორმაციის შეგროვება დაიწყეს.

ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა – ახალაიებისა და მერაბიშვილის გუნდების გამოაშკარავებულმა დაპირისპირებამ – საზოგადოებისთვის ნათელი გახადა, რა ხდებოდა **"ნაციონალების"** ხელისუფლების დროს.

ვანო მერაბიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის ბოლოდან 2012 წლის ზაფხულამდე ხელმძღვანელობდა. ეს მართლაც უპრეცედენტო მოვლენა იყო პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებაში – კარგად გვახსოვს, როგორ ტრიალებდა მაშინ საკადრო **"კარუსელები"**. შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი სააკაშვილის გუნდში ყველაზე გავლენიან ჩინოვნიკად ითვლებოდა, თუმცა 2009 წლის ზაფხულიდან – მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაია დანიშნა – მისი გავლენის სფეროებმა შესუსტება დაიწყო.

ახალაიას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სათავეში ყოფნისას ჰქონდა ერთპიროვნული ძალაუფლება, თუმცა ის ვერ შეედრებოდა თავდაცვის მინისტრის ხელში არსებულ ბერკეტებს, მით უფრო, რომ ბაჩო ახალაიამ, ფაქტობრივად, სრული კონტროლი დაამყარა გაერთიანებულ შტაბსა და მთლიანად შეიარაღებულ ძალებზე.

სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ახალაიასა და მერაბიშვილის გუნდების ფარული დაპირისპირება, რომელიც შეიძლება ფართო საზოგადოებისთვის უხილავი გახლდათ, მაგრამ მას კარგად გრძნობდნენ შსს-სა და თავდაცვის სამინისტროთა ის მაღალჩინოსნები, რომლებსაც ხშირი სამსახურებრივი და ასევე პირადი ურთიერთობა ჰქონდათ ამა თუ იმ მინისტრთან.

ჩვენ ადრეც ვწერდით, რომ ორ ძალოვან მინისტრს შორის ურთიერთობა მას შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, რაც ახალაიას ბრძანებით, სავარაუდოდ, სამხედრო პოლიციისა და სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა მინისტრსა და მის უახლოეს გარემოცვაზე ინფორმაციის შეგროვება დაიწყეს ოპერატიული თვალთვალისა და სატელეფონო საუბრების მოსმენის თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურის გამოყენებით.

ის, რომ მანამდე შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილიც თავდაცვის მინისტრებზე კომპრომატებს აგროვებდა, უდავოა. მას ჰქონდა შეშფოთების საფუძველი, რადგან ახალაიების გუნდი ძალიან სწრაფად იმყარებდა პოზიციებს ხელისუფლებაში და გავლენის მასშტაბით მალე მერაბიშვილის გუნდს გაუსწრებდა.

ამის დადასტურება შეიძლება იყოს ბაჩო ახალაიას დანიშვნა შინაგან საქმეთა მინისტრად, რაც გაპრემიერებული, მაგრამ რეალურად ძალაუფლებადაკარგული ვანო მერაბიშვილისთვის მთლად სასიხარულო ფაქტი არ უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ის იხტიბარს არ იტეხდა და აცხადებდა – ბაჩო ახალაიას კანდიდატურა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე პრეზიდენტ სააკაშვილს მე შევთავაზეო.

ძნელი სათქმელია, გააანალიზა თუ არა "ნაციონალების" ხელმძღვანელობამ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების მიზეზები, მაგრამ უდავოა, რომ მათი მარცხი მერაბიშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროდან წასვლამ და იქ ბაჩო ახალაიას დანიშვნამაც განაპირობა – ახალი მინისტრი შსს-ში დიდი სიმპათიით არასდროს სარგებლობდა.

მერაბიშვილისა და ახალაიას ფარული დაპირისპირების ერთგვარი შედეგი შეიძლება ყოფილიყო ლაფანყურის სისხლიანი სპეცოპერაცია, რომლის დროსაც ნათლად გამოიკვეთა შიდაუწყებრივი და უწყებათშორისი დაპირისპირების ნიშნები.

**ი. ალადაშვილი**



# ბიძინა ივანიშვილი: „ჩემი და ჩვენი გუნდის დიდი ოცნებაა – რუსეთთან, ჩვენს დიდ მეზობელთან ურთიერთობის დალაგება!"

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიაზე სიტყვით გამოვიდა, რომელშიც მოკლედ ჩამოაყალიბა საქართველოს ახალი მთავრობის მთავარი მიმართულებები და ამოცანები ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში.

ამის შემდეგ სხვადასხვა დელეგაციის წევრებმა პრემიერს უამრავი შეკითხვა დაუსვეს. საქინფორმი გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს და მათზე ბიძინა ივანიშვილის პასუხებს.

**კითხვა:** EPP-ის სახელით გაკეთდა განცხადება, ისევე, როგორც ევროპარლამენტის 23 წევრმა მოგწერათ წერილი და მედიის თავისუფლებაზე ამ საბჭოს გადაწყვეტილებას თქვენ უწოდეთ ტყუილი და სამარცხვინო.

**ივანიშვილი:** ზოგიერთი გამოთქმა სახალხო პარტიის წარმომადგენლების ან სხვა ევროპული სტრუქტურის თანამშრომლების მხრიდან ძალიან ხშირად ეფუძნებოდა ცალმხრივ ინფორმაციას, რომელსაც ავრცელებდნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები. ისინი იყვნენ დახვეწილი ინფორმაციის გავრცელებაში და ძალიან ხშირად სიცრუეს ავრცელებდნენ, შესაბამისად, ჩემთვის გასაგებია, რატომ ხდებოდა ეს.

მომავალში, მე ვფიქრობ, რომ ის გაუგებრობები, რაც არსებობდა მხოლოდ ცალმხრივ ინფორმაციებზე დაყრდნობით, აღარ იქნება და ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ ყველა ევროპულ პარტიასთან, მათ რიცხვში სახალხო პარტიასთან.

**კითხვა:** როგორ აპირებს საქართველოს ახალი ხელისუფლება წინა მთავრობასთან შიდა შერიგებას და როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ?

**ივანიშვილი:** საქართველოში მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს და არავითარ შემთხვევაში არ იქნება დაშვებული შერჩევითი სამართალი. ძალიან დიდი აგრესიაა დაგროვილი მოქალაქეებში, საზოგადოებაში და სამართალი აუცილებლად უნდა აღდგეს, თუმცა ეს არ უნდა იყოს მასობრივი, ჩემი აზრით, და არც მოხდება...

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, ჩემი დიდი ოცნებაა და ჩვენი გუნდის, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა მოვახერხოთ და ჩვენს დიდ მეზობელთან დავალაგოთ ურთიერთობები. გარკვეული პროგრესი უკვე გვაქვს სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობებში. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მე არა მაქვს იმის ილუზია, რომ ეს შეიძლება სწრაფად განვითარდეს, მაგრამ ჩვენ განუხრელად, დიპლომატიური, მხოლოდ მშვიდობიანი გამონათქვამებით და ქცევით, ნაბიჯ-ნაბიჯ, სწორი ნაბიჯებით აუცილებლად მივიღებთ შედეგს.

**კითხვა:** თქვენ არ გიყვართ თქვენი პრეზიდენტი სააკაშვილი და გიყვართ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი. ფიქრობთ თუ არა, რომ პუტინი არის პასუხისმგებელი ეთნიკურ წმენდაზე, რომელიც 2008 წელს მოხდა, რა არის თქვენი გეგმები საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და განსხვავდება თუ არა ისინი სააკაშვილის ხედვისგან?

**ივანიშვილი:** პოლიტიკა არ უნდა იყოს დაკავშირებული პიროვნებების სიყვარულთან, მთავრობის მეთაურს პირველ რიგში საკუთარი ქვეყანა უნდა უყვარდეს და მაქსიმალურად ცდილობდეს, რომ ქვეყანაში ყველაფერს თავისი სახელი ერქვას. რაც შეეხება სააკაშვილის მცდელობას, მას აქვს თავისი წილი შეცდომები რუსეთთან ურთიერთობაში. რომ არა სააკაშვილის დიდი შეცდომები, რუსეთს ძალიან გაუჭირდებოდა ასეთი დიდი აგრესიის განხორციელება. რაც შეეხება თქვენს რიტორიკას, მე მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ვიყო ძალიან კორექტული. თქვენ ახლა ახსენებთ სააკაშვილს და გნებავთ, რომ პოლემიკაში გამოგყვეთ, მე ამის არანაირი სურვილი არ გამაჩნია, რამეთუ მსგავსი რიტორიკით და პოლემიკით სააკაშვილმა მიიღო ის, რაც მივიღეთ ჩვენ და ჩვენმა ქვეყანამ... დღეს გვაქვს მცდელობა, მაქსიმალურად მოვახერხოთ და გამოვასწოროთ ის დიდი შეცდომები, რაც იყო დაშვებული.

**საქინფორმი**

# მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას!

ბატონებო და ქალბატონებო!

დიდი იმედი გვაქვს, რომ დროულად შეუდგებით იმ საბედისწერო მტრული (ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს არ გახლავთ ავადსახსენებელი "ნაციონალების" უნებლიე შეცდომა) ქმედებების აღკვეთას, რაც მძიმე მემკვიდრეობად დაგვატეხა თავს სააკაშვილის არაქართულმა ხელისუფლებამ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ:

– ქრისტიანთა შვიდივე მსოფლიო საეკლესიო კრებამ აკრძალა ეკლესიის კუთვნილი მიწების გაყიდვა;

– ეკლესიამ შთამომავლობით უკუნითი უკუნისამდე კრულჰყო, ვინც ტაძრის მიწას მიითვისებდა ან გაასხვისებდა;

– რადგან მიწა სამშობლოა;

– ივერია იბერთა სამშობლოა. ასე განაკუთნა ღმერთმა;

– ღმერთის ტაძარია სრულიად ივერია;

– ამიტომ არის ივერია ღმერთის ძის – უფალ იესუ ქრისტეს მშობელი დედის – წმინდა მარიამის წილხვედრი;

–თქვენმა წინამორბედმა ხელისუფლებამ ჩაიდინა საშინელი ცოდვა: ხელჰყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხვედრი ივერიის შეუვალობა და გაყიდა საკრალური მიწები;

– მთლიანად ვერა, მაგრამ იბერთა სამეურვეო მამულების ნაწილის გაყიდვა მოასწრო, იბერებს გაუყიდა სამშობლო;

– ბრძენთაგან თქმულა: წინამორბედებისაგან მივიღოთ ის, რაც ვარგისია, უარვყოთ ის, რაც უვარგისია;

– თქვენი დუმილი იმის თანხმობად აღიქმება ერში, რომ გაიყიდოს ღმერთის ტაძრის – ივერიის მიწები;

– ერთგულებით გეუბნებით თქვენ: ჭეშმარიტად არ გვინდა თქვენს თანამებრძოლებს, რომ წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი საშინელი ცოდვების თანაზიარი გახდეთ;

– თქვენც ნებისმიერ უცხოელ ინვესტორს ივერიაში ნუ შეაქმნევინებთ ფერმერულ მეურნეობას, იმ მოტივით, რომ ამგვარი ქმედება თითქოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის იყოს აუცილებელი;

– რადგან შემოჰყავს ასეულობით თავისიანი უცხოელ ფერმერს, რის შედეგადაც ირღვევა ქართველი ერის დემოგრაფიული ბალანსი;

– ე.წ. "სინგაპურიზაცია" – უცხოელთა ჭარბი შემოსვლა წალეკვით ემუქრება ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას;

– საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და ყოველთვის განიცდიდა სავარგულების სიმცირეს;

– და რაც გაქვს, იმ სავარგულებსაც ვყიდით;

– სად ვასახლებთ მერე უმიწაწყლო იბერებს, ანუ ქართველებს, ვისაც ღმერთმა არგუნა ივერია;

– გამოსავალი: ბიუჯეტიდან, ყოველწლიურად, თუნდაც ოციოდე მილიონი ლარი რომ უწილადოთ, იმავე წელს თუ შევქმნით ორას ფერმერულ მეურნეობას, და თუ თითოეულს ასი ათასი ლარის უპროცენტო კრედიტით დავაფინანსებთ, ქვეყანა ეკონომიკურად სწრაფად განვითარდება;

– დაცდილია: ტაძრიდან ვისაც კი თუნდაც ერთი კენჭი კურთხევის გარეშე წაუღია, საშვილისშვილოდ დასჯილა;

– ვაი, იმას,, ვინც იბერს მიწა გაუყიდა! გადარჩენა თუ უნდა, უმალვე დაუბრუნოს იმ იბერს გაყიდული მიწა;

– ვაი, იმ ქვეყანას, რომელმაც ღმერთის ტაძრის – ივერიის მიწა მიიტაცა! გადარჩენა თუ უნდა, დაუბრუნოს მიტაცებული მიწა იბერიას;

– ივერია ქვეყანაა, იბერია სახელმწიფოა;

– იბერიაზე ღმერთის მადლის გარდმოსვლა დაიწყო;

– იბერებო, ამიტომ გამხნევდით, აღივსენით სულიწმინდის მადლით და ვერავინ გძლევთ!

**ბასავ ბასვიანი,**
ფილოსოფიის დოქტორი, თეოლოგი

## პოეზიის კუთხე

### გიაშქვი დო გოფელეკე

ჯიმალეფი, ჯგირი რინა
ოკოლხეშა მალას მურსგ,
მისით ვაკო თეში რჩქინა
გამაღეთ ითამ ლურსგ...
გვიგვილ მალას გოპირანსგ,
ზეფირ გეპუნთ ეკე-ეკე...
გითმაჩამალ ქეშერხვადგნ
გიაშქვი დო გოფელეკე!..

### ქუაშ თუალა

"მა დობღურდა, ქუას უთუდასგ"...
შურ მერყებდას, ბღურუდე,
ვამოხვარდას მუთუ და
ვეკომიოლგ, ჩქიმ უკულ
უკულ ქუას უთუდას...

### ფარა იში

ვაუჯგუნო რჯოხოდასგ
ყაზახ ჯიმ დო ქობალიში,
ფარა იში, სახელ ვეში –
კოჩიშ ხეგოფაჩილიში...

**რამაზ კუპრა**

# ინტერვიუ აქტუალურ საკითხზე, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე გამოქვეყნდა

*(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)*

ნეიტრალიტეტზე დაყრდნობით აღადგინოს რუსეთსა და **დსთ**-ს ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები. ჩვენ გვავიწყდება, რომ ჩვენი კონფლიქტური ტერიტორიები **დსთ**-ს პასუხისმგებლობის ზონაში მდებარეობს და იქ განთავსებული არიან რუსი მშვიდობისმყოფელები (მაშინ დიახაც რომ ასე იყო, ვიდრე, ორიოდ თვეში, ავადსახსენებელი სააკაშვილი და მისი ბანდა პროვოკაციულ ომს აუტეხავდა რუსებს, რამაც მთლიანად შეცვალა საკონფლიქტო ზონებში არსებული გეოპოლიტიკური სიტუაცია – **"ილორი"**), რომელთაც გაერო სისტემატურად უგრძელებს და კვლავაც გაუგრძელებს მანდატს. რუსული და ქართული გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრაზე დაფუძნებით უნდა მოვალწიოთ რუსეთის პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერას. ჩვენ ეს შეგვიძლია, თუ მოვახდენთ პოლიტიკის, კულტურის, ბიზნესდამოკიდებულებების, პირადი კავშირების და სხვა სასარგებლო პოტენციალის კუმულირებას და, რაც მთავარია, სასულიერო ძალთა გააქტიურებას. **მეოთხე** – აუცილებელია პირდაპირი დიალოგის გამართვა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის ხელმძღვანელობასთან, ადგილობრივ ელიტურ ჯგუფებთან, ხელი უნდა შევუწყოთ ხალხთა დაახლოების პროცესებს. რა თქმა უნდა, საწყის ეტაპზე ეს მოხდება რუსების შუამავლობით, მაგრამ თანდათან გამომუშავდება მექანიზმი, რომელიც შეუქცევადს გახდის დაახლოების პროცესებს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ დიალოგი შესაძლებელია და კონკრეტული შედეგების მიღწევაც რეალურია. **მეხუთე** – სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მასშტაბური ღონისძიებების რეალიზაცია ჩრდილოეთკავკასიის რესპუბლიკებთან მრავალმხრივი ურთიერთობების აღსადგენად და განსავითარებლად. ჩვენ გვავიწყდება, რომ კავკასიელი ხალხი ვართ და არა მითიური **"ევროპელები"**. და ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ურთიერთობების დალაგება კავკასიელებთან, და არა ჰოლანდიასთან ან ბელგიათან. მაგრამ შევარდნაძეს საკუთარი ღირსების დაკნინებად მიაჩნდა კავკასიელ ლიდერებთან დიალოგი და უპირატესობას აძლევდა გაეროს ტრიბუნას და ბეიკერთან და ნახევრადცოცხალ გენშერთან შეხვედრებს. სამწუხაროდ, სააკაშვილმა გააგრძელა ეს მახინჯი პრაქტიკა და გენშერი შეცვალა შეშლილი ბჟეზინსკით და საერთაშორისო თაღლითებით – სოროსითა და ბალცეროვიჩით. დროა მიმოვიხედოთ გარშემო, გარშემო კი კავკასიელი ხალხები არიან, რომლებთან კავშირებიც ჩვენ მედიდურად გავწყვიტეთ. მათი მხარდაჭერისა და თანაგრძნობის გარეშე კი ჩვენ ვერასოდეს გამოვნახავთ საერთო ენას ვერც აფხაზებთან და ვერც ოსებთან. **მეექვსე** – ჩვენ აქტიურად უნდა ჩავერთოთ რეგიონალურ ეკონომიკურ პროექტებში, რომლებშიც რუსეთმა ჩართო აფხაზეთი. ამ პროექტების განხორციელება არ უნდა ხდებოდეს საქართველოს მონაწილეობის გარეშე. უფრო მეტიც – საქართველო უნდა იქცეს ამ პროექტების ძირითად კავკასიელ მონაწილედ. მხედველობაში მაქვს თუნდაც სოჭის ოლიმპიური თამაშები და მასთან დაკავშირებული გრანდიოზული გეგმები. გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური სარფისა, ამ პროექტებში მონაწილეობა შესაძლებელს გახდის ათასობით დევნილის საკუთარ ოჯახებში დაბრუნებას.

მაგრამ ყველაფერი ამის განხორციელებას, რასაც მე საზოგადოებას ვთავაზობ, შესძლებს მხოლოდ დამოუკიდებელი ქვეყნის პატრიოტულად განწყობილი ხელმძღვანელობა, რომლის მთავარ ორიენტირს საკუთარი მოსახლეობის ეროვნული ინტერესები წარმოადგენს.

**– თქვენ არაერთგზის გითქვამთ, რომ საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა. სააკაშვილი კი ამტკიცებს რომ, მის პირველ საპრეზიდენტო ვადაში, საქართველო შედგა როგორც სახელმწიფო...**

– შემდგარ სახელმწიფოს გააჩნია რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელთაგან ძირითადია ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქვეყნის მთელი ტერიტორიის კონტროლი. თუნდაც ამ ნიშნით არ შეიძლება საქართველო მიჩნეულ იქნას შემდგარ სახელმწიფოდ. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ნიშანთვისებების მიმართაც – დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ნაციონალური მოდელის არსებობა... საქართველომ ხომ ფორმალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა და იგი ვერ იქცა საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელ სუბიექტად. ანეკდოტურ სიტუაციას ვიღებთ – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტს არა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან მოლაპარაკებების გზით. ხოლო, რაც შეეხება ეკონომიკის ნაციონალურ მოდელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის (გილაურის – **"ილორი"**) გამოსვლები გვაძლევს იმის დასკვნის გაკეთების უფლებას, რომ მათ საერთოდ არ იციან, თუ რას ნიშნავს ამგვარი მოდელი...

**– როგორ ფიქრობთ, შესძლებს ახლადარჩეული პარლამენტი (საუბარია წინა მოწვევის "ნაციონალურ" პარლამენტზე – "ილორი") ქვეყნის პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების განხორციელებას? როგორც ჩანს, ოპოზიცია ხმების მნიშვნელოვან რაოდენობას მიიღებს...**

– ოპოზიციას გააჩნია კი ქვეყნის განვითარების ალტერნატიული მოდელი? ჯერჯერობით არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ გაუჟღერებია რეალური ალტერნატიული მოდელი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლისა და ნაციონალური ეკონომიკის ფორმირების საკითხები, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ახალი კონცეფცია... ამგვარი რამ არც ახალი მთავრობისაგან მომისმენია, მას შემდეგ, რაც ისინი შევარდნაძის ხელისუფლებას ჩაენაცვლნენ. შეიცვალენ დეპუტატები, მინისტრები, მილიციელები, მაგრამ ქვეყნის ძირითადი საგარეო და საშინაო კურსი – შევარდნაძისეული – უცვლელი დარჩა. თავის დროზე მე ეს შევაფასე როგორც სამი **"დ"**-ს პოლიტიკა: **დეინდუსტრიალიზაცია, დესტრუქცია, დეგრადაცია...**

თუ მიაქციეთ ყურადღება, როგორ მოთხოვნებს აყენებს უკანასკნელ წლებში ოპოზიცია? კიდევაც რომ შესრულდეს ეს მოთხოვნები, გგონიათ რამე შეიცვლება საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში? რისთვის ტარდებოდა მრავალათასიანი მიტინგები? რისთვის უშვერდნენ მომიტინგეები თავს ხელკეტებს? რისთვის აცხადებდნენ **"სასიკვდილო"** შიმშილობებს, რაც უკვე ლამის ფარსად იქცა? იმისათვის, რომ სავარძლებში წამოეჭიმათ ახალი მარიონეტები და უსაქმურები? ჩვენ უკვე ჩავანაცვლეთ შევარდნაძე იმ ხალხით, რომლებიც ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: **"ძირს შევარდნაძე!"**, მაგრამ არც კი დავინტერესებულვართ, თუ რა გზით წაიყვანდნენ საქართველოს ეს მჩხავანები. დღეს კი გავყვირივართ: **"ძირს სააკაშვილი!"**. მაგრამ გააჩნია კი ოპოზიციას საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ალტერნატიული სტრატეგია? (პოლიტიკურ არენაზე ჯერ კიდევ არ ჩანდა ბიძინა ივანიშვილი, ალექსანდრე ჭაჭიას კი უკვე შექმნილი ჰქონდა უნიკალური ნაშრომი – **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა"**, რომელსაც ჯიუტად **"ვერ ამჩნევდა"** ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლება – **"ილორი"**). არ არსებობს არც ამგვარი პიროვნება და არც პარტია, და ეს არ არის გასაკვირი. საქართველოს მთელი პოლიტიკური სპექტრი მკაცრად კონტროლდება ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურების მიერ. იგივე კონტროლს ექვემდებარება საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა უდიდესი ნაწილი, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებსა და პოლიტიკურ პარტიებს შესაბამისი კადრებით ამარაგებენ. ასეთ პირობებში კი პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნულობაზე ორიენტირებული დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება. მე ამაში საკუთარ მაგალითზე დავრწმუნდი. და ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისათვის, შეურაცხმყოფელი და მტკივნეულია, რომ ჩემი სამშობლო ვიღაცის კოლონიურ დანამატად იქცა, რომელსაც მარიონეტული პოლიტიკური კლასი მართავს. ქვეყნის გარედან მართული პოლიტიკური ძალა ვერასოდეს განახორციელებს ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ, ახალი პარლამენტი, როგორი შემადგენლობითაც არ უნდა დაკომპლექტდეს იგი, ვერასოდეს ვერ იქცევა საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველ ორგანოდ. სხვა საქმეა, რომ საპარლამენტო არჩევნები საშუალებას აძლევს პრეზიდენტს, რომ მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკური კურსის კორექტირება. თუ იგი ხვდება, რომ ქვეყანა, ისევე, როგორც შევარდნაძის მმართველობის პირობებში, რჩება ჩიხში და სურს მშვიდად ჩაათავოს თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადა და თბილ მოგონებად შემორჩეს ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას, მან აუცილებლად უნდა შეცვალოს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა და ახალი ინიციატივების წამოსაყენებლად უნდა გამოიყენოს პარლამენტის ახალ სახეთა ძალისხმევა, შეცვალოს მთავრობა და დაუსახოს განვითარების სხვა პროგრამები. ესე იგი, პრეზიდენტი გამოიყენებს ახალ პარლამენტს ქვეყანაში ეროვნული ინტერესების გატარებისათვის და ამ ინიციატივების ახალ პარლამენტზე **"გადაბრალებით"** თავს იმართლებს ამერიკელი კურატორების წინაშე. თუ პრეზიდენტი ამ შანსს ვერ გამოიყენებს, გარდა ისტორიული ტერიტორიების დაკარგვისა, ქვეყნას ელოდება მძაფრი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შემდგომ ეკონომიკის კოლაფსში გადაიზრდება. ქვეყანას ხომ გასაყიდი აღარაფერი დარჩა. სწრაფად უნდა აღორძინდეს ქვეყნის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი.

შოთა კვირტია,
სპეციალურად ჟურნალ
"ზერკანტინისათვის"

*გაზეთ "ილორის" კომენტარი: მართლაც საოცარი პოლიტიკური წინასწარმეტყველება, რომელიც ეფუძნება არა რაღაც მისტიკურ ჭვრეტას, არამედ არსებული სიტუაციის ჭკვიანურ ანალიზს და საფრთხისმომცველი ტენდენციების გამომზიურების განსაცვიფრებელ უნარს. ნურც ის გაგვიკვირდება, რომ ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკურ ანალიზს არად აგდებდნენ არც შევარდნაძე და არც სააკაშვილი, რადგან მათ, გარკვეული მასონური წრეების დაკვეთით, ჩაფიქრებული ჰქონდათ საქართველოს ერთიანობის ხელყოფა, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის დაკნინება და სხვა კრამოლური გეგმების განხორციელება, რაც საქართველოს საბოლოო დაშლა-განადგურებამდე მიიყვანდა. ამიტომაც ელოდება საზოგადოება, მოუთმენლად, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას და საქართველოზე თავსდატეხილი უბედურობების შემოქმედთა მკაცრად დასჯას. ჯერჯერობით კი გვაქვს ისეთი სურათი, რომ თითქოს მთელი ამ სიბოროტის სათავეში მხოლოდ ახალაიების ოჯახი იდგა, სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა კი არაფერ შუაში იყო. სწორედ ამიტომ აწუხებს ქართულ საზოგადოებას საკრალური შეკითხვა: ხომ არ აპირებს "ქართული ოცნების" ხელისუფლება ავადსახსენებელი "მოქკავშირისა" და "ნაცების" გზით სიარულს?*

*ამას უკვე საქართველო ნამდვილად ვერ გადაიტანს!*

## ბახარიების გვარის დალოცვა

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც "ლიბერთი ბანკში" გახსნილია ანგარიში. **GE36LBO111199431911000** (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: **599728591** – ზაურ გახარია.

## რედაქციის წინათქმა

*„მასმედიის საშუალებებს შეუძლიათ უდიდესი დადებითი როლი შეასრულონ და დიდი მადლიც მოიპოვონ, თუ შექმნიან სათანადო განწყობას მრავალშვილიანობის წასახალისებლად და აბორტის საწინააღმდეგო განწყობის შესაქმნელად.*

*"მთავარი სწორედ განწყობის შექმნაა!" – ბრძანა წლევანდელ სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოს მოძღვართ-მოძღვარმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.*

*ამ შეგონების პასუხად ჩვენი ხალხის სულიერი მამის რიგითი ჯარისკაცები – გაზეთ „ილორის" თანამშრომლები ვიწყებთ დიდ ლაშქრობას შთამომავლობის ფიზიკური და მათი მშობლების სულიერი გადარჩენისათვის სათანადო განწყობის შესაქმნელად და პირველ სიტყვას ვთხოვთ ჩვენს უხუცეს თანამოკალმეს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს, ბატონ ალექსანდრე შენგელიას.*

*შემთხვევითი არ არის ეს არჩევანი.*

*საქართველოში დღემდე გაისმის პირადად მისი და მისი გუნდის მიერ ჯერ კიდევ 35 წლის წინათ დარისხებული კაკაბეთის ზარების ექო და ვისურვებდით, მის მიერ მიღწეულის მსგავსი განწყობა ჩვენს პუბლიკაციებსაც დაბედებოდეთ, რამეთუ, როგორც უწმიდესი და უნეტარესი ბრძანებს: „სხვისთვის სიყვარულით აღსრულებული მსახურებაა ჩვენი გადამრჩენელი."*

### ა მ ო რ ი ა

*ამორია იგივე სიონის მთაა, სადაც მამა აბრამს ისაკი უნდა შეეწირა მსხვერპლად. მას შემდეგ მხოლოდ დედები იმეტებდნენ შვილს და ისიც დაბადებამდე.*

ნახე, რა მოლია?! ბატკანს აბრამისას
იცავს ამნიონი!* და დგას ამორია,
შორი ამორია,– წმიდა მთა სიონის.
ბავშვები, ბავშვები, ბავშვები, ბავშვები!
აქ ვინ ამოდენა, აქ რად ამოდენა?
ღმერთი მსხვერპლს არ ითხოვს,
ამაოდ დაშვერი, აბრამ, რად იკისრე
ტანჯვა ამოდენა?!
...გიხმობთ უცოდველად,
მაგრამ როგორ გძინავს,
როცა, როგორც ძველად,
დედებს ეშმა ძირავს,
მას, ვინც გაიმეტა ჩვილი მოსავლენი,
მას, ვინც დაივიწყა მშობლის
თავგანწირვა?!
იცის ამორიამ, რა ბინდავს გონებას
და კუპრის მორევი
რად დუღს მწვავე ბედად,
ხედავს გეჰინნომთან** ბომონის მონებად
რატომ შეკრებილა ყველა მკვლელი დედა.
უწმინდურობა უმანკოებას
იწირავს მსხვერპლად,
რადგან ასე ნებავს, როცა სირცხვილი
თვალებს ბრძნულად ნაბავს:
–სირცხვილიც ღმერთიაო!
მამა უცხონდება!
ცაო, მიუტევე ყველა მამა აბრაამს,
მაგრამ შეიბრალე ჩვილი უცოდველი!..
მთაო ამორია, დღემდე არ მოლია
მსხვერპლი სიკვდილმა და
დროის გამკაცრებამ;
დე, ნუ წაგვიწყმიდავს სული გაბოლილი
ბატკნის ფეხის ადგმას,–
ჩვილთა დაკაცებას!

** ამნიონი – იოანე ბატონიშვილის განმარტებით ქუდბედია.*

*** გეჰინნომი – ბავშვთა მსხვერპლად შეწირვის ველი იერუსალიმთან.*

### როლების გაცვლა?

ქალი? ქალი უნდა იყოს დიაცი,
ღია ცით შუბლ- და წარბგახსნილი
და არა თახსირი.
კაცი? კაცი უნდა იყოს ნამდვილი გაცი
და არა კაცობისგან დაცლილი
ვინმეს საცობი.
ქალი? ქალი უნდა იყოს აალებული ქარი,
შინ თუ გარეთ ცეცხლს რომ უკიდებს
გვერდით მდგომსა და გამვლელს,
დაწვავს და მაინც ააკანკალებს.
უზნეობა თუ მოგეგუნება,
რაიმე შეგრჩეს, ნუ გეგონება,
უმკაცრესია დედაბუნება
და ნამუსგარეცხილს ტყავს აცლის,
როცა ხარ კაცი,
თუ ინდომე, რომ გახდე ქალი,
და რომ ხარ ქალი,
ლოგინში თუ შეცვალე კაცი.
მაშ, ნუღარ შესცოდავ, გაიმ,
სოდომი გახსოვდეს, გაც!
დედობა გვჭირდება ქალის,
მამობა უხდება კაცს,
სხვა არც რა,
მით უფრო როლების გაცვლა!

ალექსანდრე შენგელია

# ვოლგოგრადში სტალინგრადის ბრძოლაში დაღუპული კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლების ხსოვნას პატივი მიაგეს



2013 წლის 25-26 აპრილს რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადში (რომელიც, რუსეთის მთავრობის დადგენილებით, დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეების აღნიშვნისას მოიხსენიება **"სტალინგრადად"**) გაიმართა მესამე საერთაშორისო ისტორიულ-კულტურული ფორუმი **„ერთობით მოპოვებული უდიდესი გამარჯვება: კავკასიელი ხალხები სტალინგრადისთვის ბრძოლაში"**.

ღონისძიება სტალინგრადის ბრძოლის 70 წლისთავს მიეძღვნა, მას რუსეთის 8 რეგიონიდან და კავკასიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან 200-ოდე სტუმარი ესწრებოდა – ვეტერანები, ისტორიკოსები, კულტურის მოღვაწეები და საზოგადოების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები, ჟურნალისტები და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები (სტალინგრადის ბრძოლაში დაახლოებით ორი მილიონი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის იყვნენ ქართველი მებრძოლებიც).

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: **„ევრაზიის კვლევების ინსტიტუტის"** განვითარების ფონდი, პოლიტოლოგიური ცენტრი **„ჩრდილოეთი-სამხრეთი"**, არაკომერციული პარტნიორობა საერთაშორისო კავშირების ხელშეწყობისთვის და განვითარებისთვის **„კავკასიური თანამშრომლობა"**, ვოლგოგრადის სოციალურ-პედაგოგიური უნივერსიტეტი, რუსეთის კულტურის ფონდის რეგიონული განყოფილება და სამოქალაქო განათლების ცენტრი.

ფორუმის მონაწილეებმა სტალინგრადის ბრძოლის გმირების ისტორიულ-მემორიალური კომპლექსი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ ვოლგოგრადის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა პლენარული სხდომა, რომელიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზღვარგარეთის ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული ურთიერთობების სამმართველოს ხელმძღვანელმა ვლადიმერ ჩერნოვმა გახსნა და ფორუმის მონაწილეებისადმი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინის ოფიციალური მიმართვა წაიკითხა.

შეხვედრის მონაწილეებისადმი ოფიციალურ მიმართვაში ვლადიმერ პუტინმა ხაზი გაუსვა ამგვარი საერთაშორისო ინიციატივების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. **"ვოლგის ნაპირებზე, გვერდიგვერდ, სრულიად სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანები იბრძოდნენ. მათ – გაუძლეს, იმიტომ რომ მშობლიურ მიწას, სიმართლეს და სამართლიანობას იცავდნენ... უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ფორუმმა ერთად შეკრიბა ვეტერანები, იმათი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ვინც სტალინგრადი დაიცვა!"**, – ნათქვამია ვლადიმერ პუტინის მიმართვაში ფორუმის მონაწილეებისადმი.

პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა დაღესტნის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელი რამაზან აბდულატიპოვი. მან სტალინგრადის ბრძოლის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღნიშნა. **"ეს – ჩვენი ისტორიისა და კულტურის ნაწილია, ეს ჩვენი სულის ნაწილია. ეს გამარჯვება მუდამ შეგვახსენებს იმას, რომ ჩვენ – ერთიანი ხალხი ვართ და ერთი სამშობლო გვაქვს!"**, – ხაზი გაუსვა რამაზან აბდულატიპოვმა.

პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ვოლგოგრადის მხარის გუბერნატორი სერგეი ბოჟენოვი, რომელმაც აღნიშნული ღონისძიების ქალაქ ვოლგოგრადში გამართვის მნიშვნელობაზე ილაპარაკა და განაცხადა, რომ ვოლგოგრადის მხარეში ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პატრიოტული, არამედ ჩვენს ხალხებს შორის



მეგობრობის ტრადიციები და ამიტომ ქალაქისთვის დიდი პატივია, უმასპინძლოს ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმს.

ქართული დელეგაციის სახელით პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ჭაჭია.** მან ვეტერანებს, ფორუმის სტუმრებს და მონაწილეებს შინაარსიანი სიტყვით მიმართა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე კავკასიელი ხალხების ერთიანობის, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიელი გმირების მიერ ჩადენილი გმირობების, აგრეთვე – საკუთარი ოჯახის შესახებ, რომლის სამი წევრი მოხალისედ წავიდა ომში.

ამით პლენარული სხდომა დამთავრდა, შესვენების შემდეგ კი ფორუმის მუშაობა თემატური სექციების ფორმით გაგრძელდა. სასექციო მუშაობაში მონაწილეობდნენ **„ევრაზიის კვლევების ინსტიტუტის"** განვითარების ფონდის პრეზიდენტი ვალერი ტურსუნოვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პოლიტოლოგიური ცენტრი **„ჩრდილოეთი-სამხრეთის"** ხელმძღვანელი ალექსეი ვლასოვი და სხვები. ალექსეი ვლასოვის განცხადებით, გარდა იმისა, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნები თანამშრომლობენ ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, აუცილებელია, აქტიურად იქნეს განხილული საერთო ისტორიული სივრცის შენარჩუნებისა და გამყარების საკითხები. ვლასოვმა იმედი გამოთქვა, რომ ორი წლის შემდეგ, როცა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 70 წლისთავი აღინიშნება, ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთად აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების ამ უდიდეს ზეიმს!

სესიებზე განხილულ იქნა სხვადასხვა თემატიკის საკითხები: **„დიდი გარდატეხა უდიდესი გამარჯვების გზაზე: კავკასიის ხალხები სტალინგრადისთვის ბრძოლაში"**, **„მკვლევართა მოძრაობა: როგორ შევინარჩუნოთ ხსოვნა დიდ გამარჯვებაზე"** და **„უდიდესი გამარჯვების ისტორიული ხსოვნა ახალგაზრდების თვალით"** და სხვა. მთლიანად, ფორუმის პლენარული სხდომის და სამი თემატური სექციის მუშაობის მიმდინარეობისას წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი მოხსენება, რომლებიც ვოლგაზე ბრძოლის სხვადასხვა ისტორიულ ასპექტს და, აგრეთვე, ომის გმირების ხსოვნის შენარჩუნების პრობლემებს ეძღვნებოდა. დისკუსიის დროს მთელი რიგი წინადადებებიც გამოითქვა.

ფორუმის მუშაობამ დიდხანს გასტანა და იგი უამრავი ემოციური გამოსვლით იყო დატვირთული. ფორუმის მონაწილეების აზრით, დღეს აუცილებელია, ამ ომში მონაწილე ქვეყნებმა მკვლევარებთან აქტიურად ითანამშრომლონ, რათა დადგინდეს ისტორიული სიმართლე და სრული სიზუსტით იქნეს გამოკვლეული სტალინგრადის ბრძოლის ყველა დეტალი.

სხდომის დასრულების შემდეგ სტუმრებმა სტალინგრადის ბრძოლის მუზეუმი-პანორამა მოინახულეს, სადაც ომისდროინდელი უნიკალური ნივთებია გამოფენილი, ხოლო მუზეუმის შიდა სივრცეზე სტალინგრადის ბრძოლის უზარმაზარი პანორამაა გაშლილი.

საღამოს, ფორუმის მუშაობის პირველი დღის დასასრულს, ვოლგოგრადის მხარის გუბერნატორი სერგეი ბოჟენოვი ღონისძიების სტუმრებს საზეიმო ვახშმით გაუმასპინძლდა.

ფორუმის მეორე დღეს სტუმრებისთვის გაიმართა ექსკურსია ქალაქ ვოლგოგრადის ღირსშესანიშნაობების გასაცნობად.

საქინფორმის ჟურნალისტი **ნატა წერეთელი**, რომელიც ვოლგოგრადში ფორუმზე მუშაობდა, ღონისძიების ორ ორგანიზატორს – ნიკოლაი სილაევს და იულია იაკუშევას ესაუბრა.

**ნიკოლაი სილაევი**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, კავკასიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი:

**"ჩემი აზრით, მსგავსი ღონისძიებების გამართვა ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ არსებობს საერთოკავკასიური ფორუმების ნაკლებობა. ეს სწორედ ის ფორმატია, რომელშიც მთელ კავკასიას შეუძლია მონაწილეობის მიღება.**

**რაც შეეხება ფორუმის შეფასებას, ჩემი აზრით, ის ძალიან დატვირთული იყო შინაარსობრივად და ძალიან სასარგებლო – პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან ფორუმზე იყო ერთობლივი პროექტების განხილვის შესაძლებლობა.**

**მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ მსგავსი ფორუმი უკვე მესამედ გაიმართა, მაგრამ პირველი შემთხვევაა, როდესაც მოგვეცა ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა. როგორც იცით, განხილული იქნა საერთაშორისო ცენტრის შექმნა, რომელიც შეისწავლის სტალინგრადის ბრძოლის დეტალებს, აგრეთვე საერთო სახელმძღვანელოს გამოცემის პერსპექტივები და საერთო ინტერნეტპორტალის მომზადება, სადაც ყველა ქვეყნის წარმომადგენელს ექნება საშუალება, სხვადასხვა მნიშვნელოვან განხილვაში და სხვა აქტუალურ საკითხებში მიიღოს მონაწილეობა.**

**პირადად ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო სესია, სადაც მკვლევარები გამოვიდნენ სიტყვით. ვფიქრობ, ეს ის ხალხია, ვინც ომის ისტორიას ინახავს და ამით წმინდა საქმეს აკეთებს. ასევე მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოსვლები, რომელთაც კონკრეტული გეგმები და პროექტები აქვთ ამ მიმართულებით. ვფიქრობ, ახალგაზრდების მხრიდან ომის თემატიკით დაინტერესება ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია".**

**იულია იაკუშევა**, პოლიტოლოგიური ცენტრი **„ჩრდილოეთი-სამხრეთის"** აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:

**"პოლიტოლოგიური ცენტი პოლიტოლოგიური ცენტრი „ჩრდილოეთი-სამხრეთი" პირველად შეუერთდა ღონისძიების ორგანიზატორებს და აქტიური მონაწილეობა მიიღო ფორუმის გამართვაში. ჩვენი ორგანიზაციის პრიორიტეტი გახლავთ კავკასიის ახალგაზრდული საერთაშორისო პროფესიული კავშირების განვითარება და რადგანაც აღნიშნული ფორუმი ითვალისწინებდა სწორედ ახალგაზრდების ჩართვას, ჩვენ ორგანიზაციულ საკითხებში მონაწილეობა გადავწყვიტეთ. მოვიწვიეთ ის ჟურნალისტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენ მიერ უკვე განხორციელებულ საერთაშორისო პროექტებში, რათა მიგვეცა საშუალება, უკეთ გაცნობოდნენ კოლეგებს სხვადასხვა ქვეყნიდან, რადგან ეს მათ ხელს შეუწყობს პროფესიულ საქმიანობაში.**

**როგორც იცით, კავკასიის რეგიონის ქვეყნების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის დეფიციტი იგრძნობა და ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მათ ჩართვას მსგავს პროექტებში. ჩვენი მიზანია ჰუმანიტარული და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცება, რადგან მიგვაჩნია, რომ კავკასიის რეგიონი პოლიტიკურად ძალიან რთულია, მაგრამ უშუალოდ ამის მიზეზების განხილვაზე გადასვლა, ალბათ, ნაადრევია.**

**პოლიტოლოგიური ცენტრი „ჩრდილოეთი-სამხრეთი" წლის ბოლოს გეგმავს ჟურნალისტიკის საერთაშორისო სკოლის გამართვას, კავკასიის რეგიონის ქვეყნების ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ მიეცემათ საშუალება, მიიღონ მონაწილეობა ამ სკოლაში, გაიცნონ კოლეგები და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ".**

ფორუმის ფარგლებში გაიმართა აგრეთვე მედიის წარმომადგენელთა შეხვედრა ვოლგოგრადის მხარის გუბერნატორთან. სერგეი ბოჟენოვმა შეხვედრის მონაწილე ყველა ჟურნალისტი ქ. ვოლგოგრადში 2013 წლის ივლისში დაგეგმილ ფორუმზე მიიწვია.

**საქინფორმი**

# პატივცემულო რედაქცია!

უპირველესად, დიდ მადლობას მოგახსენებთ საინტერესო და ქმედითი გაზეთის გამოცემისათვის!

მისასალმებელია, რომ სათანადო ყურადღებას უთმობთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საკითხებს.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

მინდა გამოგეხმაუროთ №211 **"ილორში"** გამოქვეყნებულ არჩილ თოდუას წერილზე – **"აფხაზური საზოგადოების მოლოდინი"**, რომელშიც ავტორი ბატონი არჩილ თოდუა არსებული პოლიტიკური სიტუაციის ღრმა ანალიზით გამოირჩევა და აღნიშნული უთანხმოებების ამოწურვის კუთხით ფრიად საინტერესო წინადადებებს გვთავაზობს. თუმცა, თავს უფლებას ვაძლევ არ გავიზიარო ავტორის თვალსაზრისი ზუგდიდელების დამოკიდებულებაზე გალელი ლტოლვილების მიმართ.

ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში აღრიცხულია 50 ათასამდე აფხაზეთიდან დევნილი და არცერთხელ არ ყოფილა შემთხვევა იმისა, რომ რომელიმე მხარეს, ერთმანეთის მიმართ უკმაყოფილება გამოეთქვას. ისიც ფაქტია, რომ სტუმრობა გაგონილა რამდენიმე დღით, ან, თუნდაც რამოდენიმე თვით, მაგრამ ოცი წელიწადი მცირე დრო არაა, რომ უმასპინძლო ათასობით ადამიანს.

ზუგდიდელთა სტუმართმოყვარეობას დევნილებმა რამდენიმე საგაზეთო წერილი მივუძღვენით და ახლა მის გამეორებას აღარ ვაპირებთ. მხოლოდ ერთ ნიშანდობლივ ფაქტს დავიმოწმებ: 1995 წელს, სოფელ რუხში, მეცხოველეობის ფერმის ეზოში, მწყემსების ოროთახიან მცირე შენობაში მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის შვილმა დაქორწინება გადაწყვიტა. ეს რომ გაიგეს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, იქვე, ერთ-ერთი რუხელის ოჯახში, სეფა გამართეს, კოხტად მოაწყვეს, შემდეგ კი, მათივე შემწეობითა და დახმარებით მშვენიერი ქორწილი გაიმართა რომელსაც ორასამდე ადამიანი სტუმრობდა. სუფრას ოჯახის უფროსი თამადობდა, ყველანი ბედნიერებას უსურვებდნენ ახლადშექმნილ ოჯახს, რაც კეთილად აუხდათ კიდეც – დღეს ამ ოჯახში სამი ვაჟკაცი იზრდება და სამივეს ნათლიები ზუგდიდელები არიან.

ეს ზღვაში წვეთია იმ მრავალ სასიკეთო საქმეებთან შედარებით, რასაც ზუგდიდელები მიამადლიან აფხაზეთიდან დევნილებს.

ამრიგად, გთხოვთ, ჩემს წერილს ნუ მიიჩნევთ ავტორის თვალსაზრისის მშრალ კრიტიკად. მე მხოლოდ იმ ზუგდიდელთა გულისქთმა გაგაცანით, წლების განმავლობაში რომ უანგაროდ ეხმარებიან აფხაზეთიდან დევნილებს და მათი ჭირისა და ლხინის თანაზიარები არიან.

პატივისცემით,

**იური კაკავა,**

**დევნილი გალის რაიონიდან**

# შეწყდეს ქართული მიწის გაყიდვა

1992 წლიდან, კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ, როგორც წინა, ასევე დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართული სახელმწიფოებრიობის უმთავრესი საძირკვლის: **"მამული, ენა, სარწმუნოება"** მიზანმიმართული ძირგამომთხრელი პროცესი, რაც უკავშირდება ყბადაღებულ ე.წ. დასავლურ კურსს (იმ დასავლურს, რომლის მხარდაჭერის გარეშე დარჩა 1991–92 წლებში შეიარაღებული გადატრიალების გამო აბობოქრებული, ქუჩებში უმოწყალოდ დახვრეტილი მშვიდობიანი მოქალაქეები) ამოფარებულ ამერიკის პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანია ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური განადგურება, უმოკლეს დროში საკუთარ მიწა–წყალზე მათი ეროვნულ უმცირესობად გადაქცევა.

ამის უტყუარი დასტურია: ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული ქართული მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართველი ხალხის ფარულად გასხვისება; სომხური ენის რეგიონალურ ენად გამოცხადების საპარლამენტო ინიციატივა; სხვადასხვა სექტებისა და სექსუალური უმცირეობების ე.წ. უფლებების სახელმწიფო დონეზე დაცვა, იმავდროულად კი **ID** ბარათების უალტერნატივო შეთავაზებითა და თავსმოხვევით მართლმადიდებელი მოსახლეობის უფლებების ფეხქვეშ გათელვა.

ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ არის ასევე მიმართული საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში მიმდინარე ჰესების მშენებლობა, რომელსაც უახლოეს ხანში, შესაძლოა, კატასტროფული შედეგები მოჰყვეს.

საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლებისაგან ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ: დაუყოვნებლივ შეწყდეს საქართველოს ყველაზე უმთავრესი და შეუცვლელი რესურსის – მიწის უცხოელებზე გაყიდვა. საქართველოს მოსახლეობას კი მოვუწოდებთ, რომ უფრო მეტად აღიმაღლონ ხმა ყველა იმ ნეგატიური პროცესის შესაჩერებლად, რაც ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ამ ბოლო ხანს ქართულ პრესაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟზე. 1990-ან წლებში მოღვაწე ჟურნალისტების სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ არც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით და არც საქართველოს მომავლით არავინ დაინტერესებულა მაშინ, როცა დამოუკიდებლობის იდეის ხორცშემსხმელ, სრულიად საქართველოს მოსახლეობის 87%-ით არჩეულ კანონიერ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, უზენაეს საბჭოს და ხელისუფლებას შინაური თუ გარეული მტრები ჰაუბიცებს უშენდნენ, ცეცხლითა და მახვილით მუსრავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და იმ შენობას, სადაც ეს აქტი უნდა ყოფილიყო.

დე ფაქტო ხელისუფლების საყურადღებოდ, ხოლო ქართველი ხალხის დასამშვიდებლად და სასიხარულოდ გვინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დამადასტურებელი ერთადერთი სამართლებრივი დოკუმენტი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი არ არის **"გაუჩინარებული"**. ის საიმედოდ არის დაცული და ქართველ ხალხს საქართველოში ჩვენი დაბრუნებისთანავე დაუბრუნდება.

დაბოლოს, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ მოსახლეობას ვულოცავთ ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას, ბზობასა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ფარავდეს ღმერთი სრულიად საქართველოს!

**საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლების, სამშობლოდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განდევნილ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის 3031 წარმომადგენლის სახელით,**

**გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური**

**(კონსპირაციულად მცხოვრებნი)**

**სირია, დამასკო**

# რუსეთის პრეზიდენტმა ქართველ ვეტერანებს 9 მაისის დღესასწაული მოულოცა!

რუსეთის პრეზიდენტი ქართველ ხალხს **„მშვიდობასა და აყვავებას"** უსურვებს და დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, თავის მიმართვაში, ამ დღეს, ქართველ ვეტერანებს ულოცავს და საქართველო-რუსეთის **„კეთილმეზობლობასა და მეგობრობაზე"** აკეთებს აქცენტს.

**„ძვირფასო ვეტერანებო! საქართველოს პატივცემულო მოქალაქეებო! გულით გილოცავთ უდიდეს დღესასწაულს – 1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეს!**

**ჩვენი ხალხები, რომლებიც მხარდამხარ იბრძოდნენ გერმანული ნაციზმის წინააღმდეგ, მკერდით იცავდნენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, მომავალი თაობებისთვის მშვიდობიანი ცხოვრების უფლებას. ჩვენ მუდამ პატივს მივაგებთ ჩვენს გმირებს, დავიცავთ ომის შესახებ სიმართლეს, წინ აღვუდგებით ისტორიის გაყალბების ყოველგვარ მცდელობას.**

**დარწმუნებული ვარ, რომ 1945 წლის მაისში გამარჯვების წმინდა მოგონება კვლავაც გაგვაერთიანებს ჩვენ და საიმედო საფუძველს შექმნის რუსეთ-საქართველოს მეგობრობისა და კეთილმეზობლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებისთვის.**

**მინდა უდიდესი პატივისცემა გამოვხატო დიდი სამამულო ომის ქართველი ვეტერანებისადმი, ვუსურვო მათ დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, საქართველოს მთელს მოსახლეობას კი – მშვიდობა და აყვავება"** – წერს თავის მოლოცვაში რუსეთის პრეზიდენტი.

# ღია წერილი "ქალბატონ" თეა თუთბერიძეს

ნამდვილად არ მიფიქრია იმაზე, რომ რაიმე სახის შეურაცხყოფა მოგაყენოთ, რამეთუ კოლხთა გენში არ არის ჩაბუდებული მუხტის ნატამალი, რაც ქალის შეურაცხყოფას მოიაზრებს, მაგრამ უნდა იცოდე, რომ მუხტი ორპოლუსიანია და რარომღაც შენთან მიმართებაში უარყოფითი პოლუსი ფიქსირდება, როცა, ჩვენდა სავალალოდ, უკანასკნელ პერიოდში ძალიან ხშირად გხედავთ ტელეეკრანებზე, მახსენდება საბჭოთა პერიოდის ერთი გახმაურებული ანეკდოტი:

**"მოსკოველმა ბავშვმა, შემთხვევით, ქუჩაში, ლეონიდ ბრეჟნევის პარტიული მანდატი იპოვა და მან იმდენი მოახერხა, რომ ბრეჟნევთან კაბინეტში მივიდა და მანდატი დაუბრუნა. გენმდივანმა ბავშვის უხვად დასაჩუქრება გადაწყვიტა, მაგრამ მან უარი განაცხადა საჩუქრის მიღებაზე.**

**– აბა რა გინდა? – ჰკითხა ბრეჟნევმა.**

**– ისეთი ტელევიზორი მაჩუქეთ, რომელსაც ეკრანის ავტომატური გამწმენდი ექნება, – უპასუხა ბავშვმა.**

**– ასეთი ტელევიზორი რად გინდა?**

**– როგორც კი თქვენ ეკრანზე გამოჩნდებით, მამა ტელევიზორს აფურთხებს ხოლმე და მის წმენდაში ხელები მეღლებაო".**

შენც, შე კაი ქალო, შედი ჩვენს მდგომარეობაში, ან სულ ნუ გამოჩნდები ტელევიზორში, ან მანამდე მოიცადე, ვიდრე ავტომატურსაწმენდიან ტელევიზორებს გამოიგონებენ. ისე კი, უმჯობესი იქნება, რომ საერთოდ არ გამოჩნდე ტელევიზორში...

თუ გგონია, რომ ვინმეს შენი ხილვა უხარია, ძალიან შემცდარხარ!

ნუთუ ვერ ხვდები, – შენს მიერ დაცულ უფლებებს სრული უუფლებობა რომ სჯობია?!

მახსენდება რაჟა სარჩიმელიას სიტყვები: **"დათა თუთაშხია, ვისა რომ ესარჩლები, შენ! როცა იქნება, ამათი ხელიდან იქნება შენი სიკვდილი"!**

თუ ასეთი უფლებადამცველი ხარ, სად ბრძანდებოდი მაშინ, როცა 7 ნოემბრის და 26 მაისის ტრაგედიები დატრიალდა? როცა სრულიად უდანაშაულო ხალხი და, მათ შორის, ახალგაზრდები ქუჩებში ჩახოცეს? ათიათასობით უდანაშაულო ხალხი საპყრობილეებში რომ იტანჯებოდა? როცა **"ცოცხების"** ეპოქა მძვინვარებდა?

რატომ დუმდი მაშინ?

ადამიანის უფლებები ნამდვილად უნდა იყოს დაცული, აქ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ეს უფლებები უნდა დაიცვას ისეთმა პიროვნებამ, რომელმაც კარგად იცის თუ რაში მდგომარეობს დაცვის არსი და ვინ არის დასაცავი, თანაც იგი უნდა იყოს ავტორიტეტული პიროვნება, შენ კი ეს სამივე კომპონენტი გაკლია და რა თავს იკლავ?

რომ გვმოძღვრავ, შე კაი ქალო, შენი აბსურდული სენტენციებით, ამის უფლება ვიღამ მოგანიჭა? ნუთუ არ იცი, რომ მთელ ქართველ ერს სძულხარ?!.

როგორც ვიცი, შენ მარტოხელა დედა ხარ და დიდი სურვილი მაქვს, რომ შენს შვილს (ღმერთმა გაგიზარდოს!) დედის მიმართ დაგუბებული ხალხის სიძულვილი არ გაჰყვეს და მომავალი არ გაუმწარდეს. ღმერთმა ისე ნუ ქნას, დათა თუთაშხია რომ ამბობს: **"რატომ გგონია, რომ ჯონჯოლიაზე უკეთესები იქნებიან მისი შვილები, ნეტავი?!"**

ამას წინათ ტელევიზიით მოვისმინე შენი ღვარძლიანი გამოსვლა, სადაც ცილი დასწამე სერგო ჩაჩიბაიას, თითქოს იგი ზეგავლენას ახდენს მოწმეებზე და ნასამართლევია არასრულწლოვანის წამებისათვის. საიდანაც უბერავს ცილისწამების ქარი, სავსებით გასაგებია, მაგრამ შენ ვინ მოგცა უფლება, რომ ცილი დასწამო სრულიად უდანაშაულო ხალხს (მათ შორის – მეც). ამით ხომ შენ თვითონ ძალზე უხეშად არღვევ ადამიანის უფლებებს!

ბატონი სერგო ჩაჩიბაია და მისი თანამშრომლები ყოველთვის მობილიზებული იყვნენ საიმისოდ, რომ დაეცვათ საქართველოს ერთიანობა, საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ თანამოქალაქეთა უსაფრთხოებას. შენ ამ დროს ალბათ პატარა გოგო იყავი და არ უნდა ბედავდე უფროსი თაობის ღირსეული წარმომადგენლების სახელისა და ავტორიტეტის შებღალვას.

ამიტომ, შეეშვი იმას, რაც შენი საქმე არაა და ხელარგეწიფება, თავი გაანებე ისეთ წყალწაღებულთა დაცვა-დახმარებას, როგორებსაც დღემდე ესარჩლები! თუ ენერგიის მოზღვავებას გრძნობ, სჯობია იგი შვილის აღზრდას მოახმარო.

ძალიან გაბრაზებული ვარ შენზე, მაგრამ მეტს აღარ ვიტყვი, რადგან, როგორც ქართველები ამბობენ: **"პატიოსანი ძაღლი ქალს არ შეუყეფს"!**

კოლხური გენიც მკარნახობს მეტ თავშეკავებას და, ამიტომ, შენ თავად გააკეთე შესაბამისი დასკვნები!

**როზმირ გოგენია,**

**ზუგდიდი**

# ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, ქართველ ინტელიგენციას, ქართველ ერს

დიდი მამულიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მოთხოვნა ისტორიკოსებისაგან, საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ არა ლეონტი მროველის საეჭვო „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით შექმნილი, არამედ მიუკერძოებელი და ჭეშმარიტი ისტორია, სამწუხაროდ, ვერ სრულდება!

ამიტომ, პრესის საშუალებით, თუ ოფიციალური წერილებით ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მივმართე ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მაგრამ პასუხი ვერ მეღირსა.

გასაკვირია, მაგრამ ცხადია, რაღაც მიზეზების გამო, ქართულ წყაროებში იბერიის არსებობა იგნორირებულია და ყველგან ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კი. იბერიისა და იბერების ნაცვლად მხოლოდ საქართველო და ქართველები ფიგურირებენ. მაგ., პირინეის იბერებისა და კელტ-იბერების ნაცვლად პირინეის ქართველები და კელტ-ქართველებია მოხსენიებული. განა ქართები და სხვა ქართველური ტომები იბერები არ არიან? მაგრამ იმ სახელწოდების რა სახელწოდებითაც ჩვენი წინაპრები ამა თუ იმ ხანაში იწოდებოდნენ, ვიღაცის სურვილის მიხედვით, თვითნებურად შეცვლა, ჩვენი აზრით, პოზიტიური შედეგების მომტანი ვერ იქნება. პირიქით, მრავალ წინააღმდეგობას და გაუგებრობას შეიძლება შეგვაჯახოს.

როცა ცნობილია I საუკუნის ებრაელი მეცნიერის – იოსებ ფლავიუსის ცნობა, რომ **„თუბალები, წარმომდგარი იაფეტის შვილის თუბალისაგან, იწოდებიან იბერებად“;** როცა ყველა დროის უდიდესი მეცნიერი ვილჰელმ ჰუმბოლდტი წერს იბერთა ეთნოგენეზისის შესახებ და ასკვნის: **„იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე“;** როცა აკად-ები ივ. ჯავახიშვილი და ნიკო მარი, უნიჭიერესი მეცნიერები ალ. ცაგარელი და იოსებ ყიფშიძე გარკვევით წერენ იბერთა ვინაობაზე; როცა გარკვეულია, რომ იბერები კაცობრიობის პირველი ცივილიზაციის შემქნელები არიან და დადებულია უზარმაზარი შრომები, რომლებიც მეგრულ (იბერიული) ენის მაგალითზე მიგვითითებენ, საერთოდ, ენისა და მეტყველების წარმოშობაზე; როცა დღეისათვის უკვე საყოველთაოდ (მთელ მსოფლიოში) ცნობილია, რომ კაცობრიობის პირველი დამწერლობის შემქნელები კოლხ-იბერები არიან; როცა იბერიულ-ქართული ლექსიკის ისტორიულ – შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ პროტოქართული ენა ესაა მეგრული (იგივე, ადამურ – იაფეტურ – იბერიული) ენა და ქართველი მეცნიერი ყოველივე ზემოხსენებულზე არანაირ დაინტერესებას აღარ იჩენს, პირიქით, ეყრდნობა ლეონტი მროველის უსუსურ **„ცხოვრება ქართველთა მეფეთას“** და აღნიშნული პროტოქართული ენის როლის დისკრედიტაციისა და ღირსების შელახვისათვის ზოგი მეცნიერის გააფთრებული ბრძოლა პიკს აღწევს და საზოგადოების გარკვეული ნაწილი, შეჰყავთ შეცდომაში, სხვა, რომ არაფერი იყოს, უბრალოდ უხერხულია, ასე თუ ისე, განათლებული და დაკვირვებული საზოგადოების წინაშე. არა, ზიზღისა და ღვარძლისგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ეს ძალზე რბილად ნათქვამია, რადგან, როცა ასეთმა **„მეცნიერებმა“** თავიანთ მიზანს ვერ მოუძებნეს მეცნიერული საფუძველი, პოლიტიკური მოტივაციით ცდილობენ მეგრული და სვანური ენების დიალექტებად საერთაშორისო აღიარების მიღწევას, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათი პოლიტიკა ემსახურება არა ქართველი ერის კეთილდღეობას, არამედ, **„სხვათა“** მიზნებს, რომელთაც, დასამალი არ არის, ტიგრან II დროიდან (ძვ.წ.აღ. II საუკუნე) კბილები უკაწკაწებთ იბერიულ – ქართულ მიწებზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ტარიელ ფუტკარაძემ საკმაო წკეპლა მიიღო ასეთ ქმედებაზე, მან ბრძოლის ფორმა შეცვალა და ჟ-ლში **„სამეგრელო“** (№8, 2012 წ.) გამოაქვეყნა ანონიმური წერილი, სადაც უპატიოსნესი მეცნიერი – ალ. ცაგარელი, რომელმაც კეთილსინდისიერად შეისწავლა და დაწერა **„მეგრული ეტიუდები“**, მოღალატედ შერაცხა. ამის შემდეგ **„ცნობილი“** ტ. ფუტკარაძე შემდეგ წერილს წერს თავის ინკოგნიტო მეგობარს:

**„საქმე იმაშია, ჩემო... რომ ჩვენ არ უნდა შევცვალოთ პოზიცია. ყველამ მშვენივრად იცის, რომ მეგრულიც და სვანურიც ენებია და ჩვენი თეორიის საპირისპიროდ ამის დამტკიცება თუ მოახერხეს, ჩათვალე, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცევა. არც ერთი ნაბიჯით უკან არ უნდა დავიხიოთ და ვეცადოთ, რომ მივაღწიოთ მეგრულის დიალექტად საერთაშორისო აღიარებას. სვანური არ არის იმდენად საშიში, როგორც მეგრულია. ამიტომ მცდარია თუ არა ჩვენი პოზიცია, ახლა უკან დახევა ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება. საპატრიარქო სრულად იზიარებს ჩვენს აზრს და მხარდაჭერას გვპირდება, რაც ჩვენი თეორიის აღიარების გარანტია. საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდებიან ეს ახლად აღმოცენებული კუთხისტები, თორემ აქამდე გადაგვივლიდნენ.**

**აქ გემშვიდობები ჩემო მეგობარო. ღვთის მადლი გფარავდეს“ ტარიელი“.**

აქვე წარმოვადგენთ წერილს, რომელიც ტ. ფუტკარაძის წერილის ადრესატმა – ინკოგნიტო მეგობარმა მისწერა თავის ასევე ინკოგნიტო მეგობარს:

**„მოგესალმები! იძულებული ვარ ეს წერილი ინკოგნიტოდ მოგწერო, რადგან მასალა, რომელსაც გიგზავნი, იმდენად სკანდალურია, რომ არ მინდა შარში გავეხვე. შარში იმიტომ, რომ ეს პირადად მე მომწერა ტარიელ ფუტკატაძემ, მე კი გადავწყვიტე ხალხს სიმართლე გაეგო ამ ადამიანის შესახებ, მართალია, მეგობარს მიწოდებს, მაგრამ უკვე მეძნელება მასთან მეგობრობა.**

**დიდი ბოდიშის მოხდით, ავთანდილ ნს...“** (იხ. გაზეთი **“ილორი”**, №90, 2-9 ოქტომბერი, 2012, გვ.11).

აღსანიშნავია, რომ იბერიული ფესვების ამოძირკვისათვის ბრძოლა ბოლო წლებში არ დაწყებულა, უხსოვარი დროიდან მოდის და წუთისოფლის უკუღმართობამ და გარეშე მტრული ძალების პოლიტიკურმა ინტრიგებმა, ბოლოსდაბოლოს, შეძლეს იბერთა და ქართებს შორის შუღლის ჩამოგდება, რამაც გამოიწვია ლეგენდარულ იბერთა სახელმწიფოს დაცემა და დაშლა – დაქუცმაცება (ახ. წ. აღ. მე-6 საუკუნის I მეოთხედი). მაგრამ პირისაგან მიწისა აღგვილი იბერიის ნანგრევებიდან აღმოცენებულ **ეგრის-აფხაზეთში**, უმწეოდ წოდებული, უსინათლო, მაგრამ გონიერი მეფე – თეოდოს II და მისი დიდვაზირი – იოანე მარუში ახერხებენ ქართლის უფლისწულის (თეოდოს II დისწულის) – ბაგრატ III ბაგრატიონის მეფედ კურთხევას, რასაც შემდგომ მოჰყვება ქართლის შემოერთებაც. ეს ჰუმანური აქტი ვერაგულად გამოიყენა **„ცხოვრება ქართველთა მეფეთას“** ავტორმა და XI საუკუნეში მომხდარი სინამდვილე, მხატვრულად ინტერპრეტირებული, ძვ. წ. აღ-ის მე-3 საუკუნის დასაწყისში გადაიტანა. იბერიის არსებობისთვის ხაზი რომ გადაესვა, სომხური ენა წარმოადგინა პროტოქართულ ენად და იბერიის მიწების მითვისების დაშნაკცუტუნისეულ გეგმას საფუძველი ჩაუყარა (იხ. **„ქართლის ცხოვრება“** ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ.I, თბ. 1955, გვ. 4 და გვ. 16; დიდი არმენიის რუქა; ამასთან, გაიაზრეთ სომხური წარმოშობის სააკაშვილის მიერ პარლამენტის ქ. ქუთაისში გადატანის მიზანი). დაზუსტებული არ არის ეს თხზულება, მართლაც, ლეონტი მროველს ეკუთვნის, თუ დაშნაკი სომხის წინაპრის შექმნილია, რადგან **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“** დედანში არავის უნახავს, ხოლო ცნობილია ყველაზე უძველესი, 1270 – 1310 წლებით დათარიღებული სომხური ხელნაწერი, მიჩნეული ქართულიდან თარგმანად და შემდეგ დროინდელი ანა დედოფლისეული (XV ს.), ჭალაშვილისეული (XVI ს.), მარიამ დედოფლისეული (XVII ს.) და ა.შ. თორმეტამდე ნუსხა. ლეონტი მროველის გენეალოგიური წარმომავლობა ცნობილია არ არის, მაგრამ ცნობილია ნიკო მარის ცნობა, რომ იგი დავით აღმაშენებლის თანამედროვე და რუის – ურბნისის ეპისკოპოსი იყო. ცნობილია, რომ რუის – ურბნისის ეკლესია მის დროს გარყვნილების ბუდედ ქცეულა და დავით მეფის რისხვა, – სამღვდელო პირთა გაკრეჭვა და ეკლესიიდან გაძევება, – გამოუწვევია.

აღსანიშნავია, რომ ჭეშმარიტებას აცდენილმა და გარეშე მტრული ძალების მიერ მოსყიდულმა **„ქართველებმა“** შეძლეს ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილის და თვით ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის შეცდომაში შეყვანაც.

რატომ უნდა იყოს დამალული მეგრელებისათვის თუ, მართლაც, მათში მტერს არ ხედავენ, რატომ **„დაგვექცევა თავზე ქვეყანა“**, მეგრული (პროტოქართული) ენის დიალექტად საერთაშორისო აღიარება თუ ვერ მოხერხდება? როგორი ერთიანობა სურს ბ-ნ ტ. ფუტკარაძეს, როცა მეგრული ენის დიალექტად არ აღიარების შემთხვევაში საქართველოს დაშლის საშიშროებაზე გვესაუბრება? ურთიერთ ნდობის, ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულზე აგებული ერთიანობა, თუ ძალად, მეგრელთა დათრგუნვითა და დამონებით მიღწეული ერთიანობა? მკითხველთან დიდი ბოდიშის მოხდით, სამი თითის კომბინაცია მას და მის თანამოაზრეთ!

ჩვენი აზრით, ქვეყანა სწორედ მაშინ დაგვექცევა თავზე, როცა ადამიანის გაჩენიდან – დაშლილი იბერიის ისევ გაერთიანებამდე (1008 წ.), ერის წარსულზე მეტყველი, დიდი საიდუმლოებების მფლობელი და დედამიწაზე შეუდარებელი სიმდიდრის მქონე ენა, საერთაშორისო ასპარეზზე კი არა, საქართველოშიც იქნება დიალექტად აღიარებული. რატომ? – ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკის 50%-ზე მეტი, აკაკი შანიძის მიხედვით, ნასესხები და უცხოურია, ხოლო 50%-მდე კი ეროვნული წარმოშობისაა, რომლის ეტიმოლოგია, ჩასახვის დროიდან დაწყებული, ფონეტიკური ცვლილებების გავლით, თანამედროვე სიტყვებად ჩამოყალიბებამდე, ირკვევა მხოლოდ იბერიული ენით, რომელსაც, დღეს, არც თუ ისე, სიყვარულით შერქმეული სახელი **მეგრული** ჰქვია (იბერი —- იგერი —- ეგერი —- ეგრი —- მეგრი. აქედან მეგრელი); იბერიული ენა დღემდე ინახავს სამეტყველო ბგერების წარმოშობის საიდუმლოებებს, რომელსაც, აკად. გიორგი ახვლედიანის სიტყვით რომ ვთქვათ, **„... შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას, საერთოდ, მეტყველების წარმოშობის საკითხში, რამეთუ არაფერი არ არსებობს ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ – ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“**; იბერიულ ენას შემონახული აქვს უმდიდრესი ლექსიკა, რომელშიც ჩაკირულია მეტყველების ჩასახვისა და განვითარების საიდუმლოებანი; იბერიულ ენაზეა დაწერილი ბიბლიური **დაბადება**. ამას თვით დაბადებაში მოთხრობილი ტექსტი, მოხსენიებული ტოპონიმები და პერსონაჟთა სახელების არსი გვიმტკიცებს; იბერიულ ენაზეა შექმნილი ჩვენი ულამაზესი, კაცობრიობის პირველი დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული). ამაზე თვით ამ დამწერლობათა ასონიშნები და მათი სახელდებანი მეტყველებენ. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი სხვა ენა, რომელიც ყოველივე ამას შესძლებდა. ყოველივე ამ სიმდიდრეზე ხელის კვრა, ესაა წინაპართა ღვაწლის დაუფასებლობა და უმადურობა. ასეთნი კი უკეთეს ვერაფერს შექმნის. ამიტომ დაგვექცევა ქვეყანა თავზე?

კვლევის ყველაზე სანდო მეთოდის – იბერიულ-ქართული ლექსიკის ისტორიული – შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული ენა იბერიული დედა ტანიდან ამოზრდილი დიალექტია და ამ დიალექტზე მეტყველ ხალხს უძველეს ხანაში **ქარდი (აეზარდე.** აქედან ქალდი და ქალდეა) უნდა რქმეოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც იბერიული ენის ამ დიალექტში შემოიჭრა და დამკვიდრდა სპარსულ – ბერძნულ (ელინურ) – სომხურ – ლათინური ენის ლექსიკა და სპარსეთის წაქეზებით **ქარდები** გამოეყვნენ იბერებს (ახ. წ.აღ. II საუკუნე – ორმეფობის ხანა) და შექმნეს არმაზის სეპარატისტული სახელმწიფო (იხ. ჟ-ლი მნათობი, 1948 წ. №8, ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ), განაწყენებულმა იბერებმა ირონიულად ოდნავ სახელი შეუცვალეს და **ქარდი** –ს (აეზარდეს) ნაცვლად **ქართი („შეერიე“)** უწოდეს.

დღეს ჩვენს საერთო სალიტერატურო ენას არც თუ ისე უსაფუძვლოდ ჰქვია ქართული [—-ქართური ‖ შერეული‖ იბერიულის (50%), სპარსულის, ბერძნულის, სომხურის, ლათინურის, არაბულის, თურქულისა და სხვა ენათა ნარევი], თუმცა, მე მირჩევნია აღვადგინოთ მისი ისტორიული სახელწოდება **იბერები** და **იბერია**, რადგან **ქართი** (—- ქარდი) სიყვარულით შერქმეული სახელი კი არ არის (აღსანიშნავია, რომ ეთნიკური სახელწოდების **ქართი** მნიშვნელობა და წარმომავლობა დღემდე დადგენილი არ არის), არამედ იბერიიდან გამოყოფის შემდეგ, განაწყენებულ იბერთა მიერ შერქმეული სახელია და იბერიულ ენაზე ცხოველებთან მიმართებაში იხმარება, ხოლო ადამიანებზე იტყვიან: **ქაკათი** (შეერიე). რა თქმა უნდა, ეს იყო იბერთა დიდი შეცდომა, შეიძლება, ერთერთი მიზეზიც იბერიის დაცემისა. და, თუ მაინც იბერთ (მეგრელთ) მოძულენი გაკვეთილად ვერ გამოიყენებენ წინაპართა შეცდომებს და გააგრძელებენ თავიანთ ანტიეროვნულ საქმიანობას, იბერები (მეგრელები) ვერ აიტანენ მათი როლის ასე დაკნინებას და ქვეყანა, მართლაც, მაშინ დაგვექცევა თავზე! მერე კი სეპარატისტებისა და მოღალატეების იარლიყის მიკერება საქმეს ვერ უშველის, როგორც ვერ უშველა თავის დროზე **ქარდებისათვის** სახელის შეცვლამ დამამცირებელი სახელით **ქართი**. ერთი ჭეშმარიტებაც აუცილებელია გაითვალისწინონ წინდახედულმა მამულიშვილებმა: დღეს პროტოქართულ (იბერიულ) ენის ღირსებაზე წერა კუთხურობად და სეპარატიზმად, რომ მიიჩნევა, რატომ უნდა გვიკვირდეს იბერთა გულისწყრომა, როცა მას გამოეყო ქარდები – თავისი სულიერი და ფიზიკური სხეულის ორგანული ნაწილი? ბოლოსდაბოლოს, რა დაიმსახურეს იბერებმა ქართების წინაშე ისეთი, რომ ზოგიერთებს დღემდე ვერ მოუნელებიათ იბერთა არსებობა? ჩვენი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, სჯობს დავიბრუნოთ ისტორიულ სახელწოდება იბერები, მაგრამ თუ ქართველი ერის უმრავლესობა ვერ შეელევა დღევანდელ სახელწოდებას, გვერქვას **ქართველები** და **საქართველო**. ოღონდ, ღირსეული ერი ვიყოთ და სახელი რა გვერქმევა, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ, დავფიქრდეთ, რომელია უფრო სასიამოვნო, თუნდაც კანონზომიერი, ჩვენს ქვეყანას ერქვას საქართველო, თუ აღვუდგინოთ მას ისტორიული სახელწოდება იბერია, როცა იბერი წარმოშობილია უძველესი ძირისეული ფორმიდან თ,ბ,რ,[1] (— თ,ბ,რე —- თიბერე —— თიბერი—- იბერი) და თანამედროვე სალიტერატურო ენაზე ნიშნავს **[უზენაეს] ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს?** რომელია უფრო უპრიანი, ჩვენს საერთო სალიტერატურო ენას ერქვას **ქართული** (შერეული), თუ **იბერიული,** როცა ამ ენის გრამატიკა, თითქმის, იბერიულია და ლექსიკური ფონდის 50% ეროვნული (იბერიული) წარმოშობისაა, ამასთან, დანარჩენი 50% წარმოადგენს სხვადასხვა ენების ნაკრებს, მაგრამ ცალცალკე აღებული 6-10%-ს არ აღემატება, თანაც ყველა ისინი ეროვნულ ენობრივ ბრძმედშია გამოტარებული და, შეიძლება ითქვას, გაეროვნულებულია ეროვნული (იბერიული) საafიქსაციო **ვ** ბგერა განუყრელად თან ახლავს ნებისმიერ ცალკე გამოთქმულ თანხმოვან ბგერას. თუ შევეცდებით თანხმოვანი ბგერა (გარდა ზ,ჟ,ს და შ-სი) წარმოვთქვათ გაგრძელებულად, თანხმოვანი თავში, ექსკურსიის (აღმართვის) მომენტში გამოითქმის, შემდეგ კი, რამდენიც არ გავაგრძელოთ (ბ, , , , , , . , გ, , , , ,..., დ, , , , , , . , . და ა.შ), სულ **ვ** ბგერა გვესმის. ხოლო ემფაზიით გაგრძელებულ , , , ,...-ს თუ წარმოვთქვამთ გაგრძელების გარეშე, მომენტალურად, ესაა **ვ** ბგერა.

საშუალებებით, ანუ ეროვნული, იბერიული ენის წილი ჩვენს საერთო სალიტერატურო ენაში ბევრად მეტია, ვიდრე დანარჩენის ერთად აღებული? ბოლოსდაბოლოს, რომელი სჯობია, ჩვენს საერთო სალიტერატურო ენაში აღვადგინოთ და დავამკვიდროთ დღემდე ცოცხალ პროტოქართულ ენაში შემონახული ის სიმდიდრენი, რომლებიც წარმოუდგენლად გაამდიდრებდა ამ ენას და განამტკიცებდა ე.წ. ქართველი ერის ერთიანობას, თუ უპირობოდ მოვუღოთ მას ბოლო, როგორც ფუტკარაძეს და მათ თანამოზიარეებს სურს, რომ ყოველგვარი დაუმსახურებელი და არაკეთილსინდისიერი გზით პირველობისათვის მებრძოლთ დავუთმოთ ფართო ასპარეზი?

აღსანიშნავია, რომ იდეა, დავიბრუნოთ ისტორიული სახელწოდება **იბერები** და **იბერია,** პირველად მე არ მითქვამს, როგორც ვიცი, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას და ცნობილი ერისკაცის – ანზორ შონიას მიზანიც ეგ იყო.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი.**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# მეგრული ენა ქართული ენის ფუძეა

ყოველი მეგრელისთვის ქართული და მეგრული ერთნაირად მშობლიურია. ქართული დედაენის სახელმძღვანელოს შემდგენელმა იაკობ გოგებაშვილმა სწორად შეამჩნია: **"მეგრელები დიდ პატივს სცემენ ქართულს,რადგან ის საეკლესიო-საღვთისმეტყველო ენად მიაჩნიათ"**. დიახ ბატონებო – მეგრელებს დღემდე ახსოვთ, რომ ქართული ენა სწორედ საეკლესიო ენად შეიქმნა. ქრისტიანობას არაერთ სხვა ქვეყანაშიც მიეძღვნა ახალი ენა და დამწერლობაც, მაგალითად სლავიანური ენაც და დამწერლობაც ეკლესიის წიაღში შეიქმნა და კირილიცას მეორენაირად ბულგარულ საეკლესიო დამწერლობასაც ეძახიან,მანამდე კი არც პროტოსლავური ენა არსებობდა და არც სლავური ტომი. ნეოლათინური ალფაბეტებიც და ენებიც უპირველესყოვლისა ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა. ასევე გერმანიკული ენებიც. გოთური ალფაბეთი მათმა პირველმა პატრიარქმა შექმნა – აღსანიშნავია რომ გოთებმა თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს და დღევანდელი ევროპის სახელმწიფოები გოთური სამეფოების საფუძველზეა წარმოქმნილი,გოთები კი იყვნენ ლათინიზირებული ინდოევრო-თათრული ტომები. სომხური და ალბანური დამწერლობებიც ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ შექმნეს. ქრისტიანობასთან ერთად ჩამოყალიბდა ეთიოპური დამწერლობაც. ანალოგიურად ძველქართული ენაც ჩამოყალიბდა ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ ზანური ენის ბაზაზე, რომელიც ამ პერიოდისთვის იყო ეგერიელთა, იბერთა და ალბანელთა სამეტყველო ენა. ასევე შემუშავებულ იქნა ასომთავრული ანბანი უძველესი ქალდეური (ანუ პალეოქართველური) ასონიშნების მოდერაციის შედეგად. თავისდროზე ივანე ჯავახიშვილი ასეთ ვარაუდსაც გამოთქვამდა: **"ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს,არამედ მეგრულ-ლაზურ,ან სვანურ შტოს"**. ქართული ენის შექმნა ქრისტიანობის გამოცხადებისთანავე უნდა დაწყებულიყო (რომელშიც დიდი წვლილი უნდა შეეტანათ იოანე ლაზს და ბაკურ დიდს), თუმცა სახალხო ენად ის მოკლე დროში ვერ დამკვიდრდებოდა, რაზეც მიგვითითებს VI საუქუნის ბიზანტიელი აგათია სქოლასტიკოსის ცნობა: **"ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის თუკი ის გაეცნობა ფაზისის,კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას"** – ესეიგი VI საუკუნეში კავკასიაშიც და მის ირგვლივაც ლაზები,ანუ მეგრულენოვანი ხალხი სახლობდა. ცნობილია რომ საქართველოში ქრისტიანობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და მოსპო წარმართული კულტურა: მისი ქანდაკებები, პანთეონები, დამწერლობის ნიმუშები და თვით ენაც კი გადააკეთა. ახალმა საეკლესიო ენამ (ქართულმა) თანდათანობით ხმარებიდან ამოაგდო კოლხურ-იბერიული, ანუ მეგრული,ჯერ ქართლში და მერე დასავლეთ საქართველოში,მოსახლეობა კი დარჩა იგივე და არავინ არსად არ შეჭრილა, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ **"სოც-მეცნიერები"**, თითქოსდა დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ **"ქართები"** და დღევანდელი იმერლები, გურულები, რაჭველები და აჭარლები მათი შთამომავლები არიან. სინამდვილეში არ არსებობდა არანაირი ქართველური სამი შტო: სვნების,მეგრულების და ქართების,როგორც ამას დღემდე გვინტკიცებენ ნაბოლშევიკარი მეცნიერები. სინამდვილეში არსებიბდა მხოლოდ ერთი კოლხური შტო, ანუ მეგრული, იგივე ზანური შტო, უფროსწორედ ერი და არა რაღაც ტომის შტო თუ ტრიბუ. ტერმინი **"ტომები"** მიესადაგება მომთაბარე-მაწანწალა ნახევრად ველურებს. სხვადასხვა ტერიტორიებზე მოსახლე ქართველთა წინაპრების მიმართ ტერმინი **"ტომები"** იმდენად შეგვიძლია გამოვიყენოთ, რამდენადაც დღევანდელ საქართველოს კუთხეების მკვიდრთა მიმართ, მაგალითად: გურულთა ტომი, კახელთა ტომი, ქართლელთა ტომი და ა.შ. ჩვენს მეფეებს და საზოგადო მოღვაცეებს კი ვუწოდოთ ტომის ბელადები,მაშინ როცა ქართველი ერი ერად ჩმოყალიბდა შუამდინარეთის ჩრდილოეთით დაახლოებით 11-8 ათასი წლის წინ მიწათმოქმედების წარმოქმნასთან ერთად, რადროსაც წარმოიქმნა დამკვიდრებული ცხოვრების წესი. ამდენად არქიტექტურა, დამწერლობა და მეტალურგიაც ქართველმა ერმა შექმნა, რომელიც მაშინ საუბრობდა იმ ენით, როლის პირდაპირი შთამომავალია მეგრული ენა. მე პირადად როცა ვქმნიდი ჩემს პოეზიას ქართულ ენაზე, პოეზიამ მიბიძგა შემესწავლა ძირეულად ქართული ენა, მათ შორის ძველქართული სიტყვებიც, და აი ამდროს აღმოვაჩინე, რომ ქართული სიტყვების უდიდესი ნაწილი მეგრული ძირისაა, რადგან ამ ძირების შინაარსიც და მრავალფეროვნება სწორედ მეგრულშია შემონახული. თავისდროზე ქართული სიტყვების ძირების ძიება დავიწყე თავად სიტყვიდან **"სიტყვა"**; ძველქართულად **"სიტყუაი"-"სიტყუა"**; **"სი"** თავსართია, ძირად გვრჩება **"ტყუა"**. მეგრულად და ძველქართულად სიტყვა **"თქვა"** არის **"თქუა"-"თქუ"**, **"თქმა"-"თქუმა"**. ცნობილია რომ ძველქართულ **"უ"** ასოს ბევრგან ჩაენაცვლა **"ვ"** ასო,მაგალითად **"ქვა"** ძველქართულად იყო **"ქუა"** – მეგრულში დღემდე ასეა. სიტყვების წარმოთქმას ქვია **"მე'ტყვ'ელება"**; აქაც ძირია **"ტყვ-ტყუ"**. ძველქართულ ენაში არსებობდა ყრუ-ხორხისმიერი **"ყ"( ),ანუ ნახევარი "ყ",რომელიც ემსგავსება "ქ" თანხმოვანს; მეგრულში ეს ნახევარი "ყ" დღემდე არსებობს. ამგვარი "ყ" ასოთი იწყება სიტყვა "ყინტი"-"კრინტი"(ხმა-კრინტი), "ყია"-"ყორყელი(ხორხი)"-"ყელი"-"ყორყოტი"-"ყანყრატო" - ანუ სახმო აპარატი; აქედანვეა სიტყვები: "ყვირილი", "ყიჟინა", "ყიონო"-"ყივილი", "ყურაფი-ყმუილი"**. მეგრულის კუთვნილებაა აგრეთვე ძველქართული სიტყვა **"მარქუი"**(მითხარი): **"მარ"** თავსართი მეგრული ენისთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად: მარგინაფა,მარდება,მარმალუა და ა.შ. ეს თავსართი ქართულ ენაში დაკარგულია როგორც თავსართი, თუმცა შემორჩენილია ცანკეული სიტყვების სახით, მაგალითად: მარწუხი, მარჯვენა, მარხვა და ა.შ. ამ თავსართს ქართულში ზოგან თავსართი **"და"** დაემატა, მაგალითად: მარცხება-დამარცხება, მარდება-დამადლება... სიტყვა **"ყუდე"** მეგრულად ნიშნავს სახლს და აქედანაა ნაწარმოები სიტყვები: **"საყდარი"-"საყუდარი"** (შეადარეთ სახლი-სასახლე). აქედან სიტყვა **"დაყუდება"**. **"ყუდედან"** უნდა იყოს სიტყვა **"ბუდეც"**, რადგან მეგრულად **"ყუჩუა-ყურჩუა"** ნიშნავს დაბუდებას, აქედან კი სიტყვა **"მოყუჩება"-"გაყუჩება"** და **"მყუდრო"**(ძველქართულად **"ყუდრო"**). **მეგრულ-ლაზურად და ძველქართულიად "ზღვა" არის "ზღუა", აქედან სიტყვები: "საზღუარი"-"საზღვარი", "ზღუდე", "ზღურბლი" ქართული სიტყვა "წყალი" არის მეგრული "წყარი"-ს,იგივე "წყუ"-ს სახეცვლილი ფორმა; ქართულში თავიდანვე რომ "წყალი" ყოფილიყო სიტყვა "წყურვილი" იქნებოდა "წყულვილი","წყარო" კი იქნებოდა "წყალო". დასავლეთ იმერულ დიალექტში ცხელი და ცივი წყლის გაზავებას ქვია "აწყორვა". აქვე უნდა გავიხსენოთ ტოპონიმები "აწყური" და "ტაბაწყური" -ეს უკანასკნელი მდებარეობს ტბასთან -"ტაბა" იგივეა რაც მეგრული "ტობა"-"ტბა" - ეს "ტაბა" არც მთლად "ტობაა" და არც მთლად "ტბა"-** ესაა გარდამავალი ფორმა, იმ გარდამავალი მეტყველების, როცა ხდებოდა მეგრულიდან ქართულზე გადასვლა. მეგრულში სიტყვა **"სული"** აღინიშნება სიტყვით **"შური"** -აქ ძირია **"შუ"**; ძველქართული სიტყვა **"იშუა"**(იშვა-ბაიბადა) ნიშნვს სული ჩაედგას-ისუნთქა-ისულა. იესოს ძველქართული სახელი "იესუ" და არამეული "იეშუა" ნიშნავს განსხეულებულ (სხეულში სულდგმულ) ღმერთს. სიტყვა "გოლიათი" ზოგს ებრაული სიტყვა გონია, სინამდვილეში ის არის ებრაულში პალესტინურ-პელაზგურიდან, იგივე ქალდეურიდან (ანუ მეგრულ-ლაზურიდან) შესული ზანიზმი – **"გოლიათი"** ხომ პალესტინელების ლიდერს ერქვა. **"გოლა"** მთას ნიშნავს მეგრულად, **"გოლიათი"** კი მთაკაცს. ამავედროს **"გოლა"** პალესტინურადაც მთას უნდა რქმეოდა – არამეული სიტყვა **"გოლგოთა"** – **"გოლ'-გოლთა(გალთა)"** განიმარტება როგორც **"თავისქალის მთა"** – სიტყვა **"გოთა**(გორთა-გორგა?)" კი შეგვიძლია დავაკავშიროთ სიტყვა **"გოგრასთან"**, რადგან ეს სიტყვა აღნიშნავს არამარტო მცენარე გოგრას, არამედ ადამიანის თავსაც. მეგრული სიტყვა **"ქვარა"** ნიშნავს ადამიანის მუცელს და ამავედროს მუცლიანი ჭურჭლის სიღრუესაც, მაგალითად დოქის "**ქვარა", თავად დოქს და ქვაბსაც მეგრულად ამასთანავე ეწოდება "ქვარქვათანა"; აქედან კი სიტყვები "ქვაბი","ქვიჯა", "გამოქვაბული" (აქედან გამოქვაბულების სახელები: ქვილიშარი, ქვაჯი, ქვაბჩარი ) და ალბად "ქვირითიც", რადგან ქვირითს სწორედ თევზის მუცელში(ქვარაში) პოულობდნენ და არა სხვაგან. ქართული სიტყვა "თვალი" ძველქართულად იყო "თუალი",რაც ნაწრმოებია მეგრული სიტყვიდან "თოლი"- ეს ფორმა შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც - აქედან მიღებული ჩანს აგრეთვე ლათინური სიტყვა "ოკულუს",რომელსაც ზოგი ფინიკიური სიტყვა "ოინიდან" მიღებულად მიიჩნევს, თუმცა არც ისაა მთლად ნათელი თავად ფინიკურში თვლს მართლა "ოინ" ერქვა თუ "თოინ", რადგან ფილნიკიემები ამ სიტყვით აღნიშნავდნენ ასო "თ"-ს.** სიტყვის წინ "თ" ასოს გაქრობა ლათინური ენისთვის უცხო არაა, არც "კ" ასოს ჩამატება და მისი სხვა ხმოვანით გაძლიერება. ასეთ შემთხვევაში ფორმირება ესე მოხდებოდა: **"თოლ-ოლ-ოკლ-ოკულ". მეგრულად თვალს აგრეთვე ქვია "ჭურია", "ჭურჭული" ნიშნავს თვალის გუგას; აქედან უნდა იყო სიტყვა "ჭურეტა-ჭვრეტა"; "ჭვიტინი-ჭვრიტინი", "ჭუჭრუტანა", "დახუჭვა", "მოჭუტვა", "დაჭყეტვა", "ჭიტა"... ქართული სიტყვის "დათხოვნას" ძირი არ გახლავს სიტყვა "თხოვნა"; მეგრულად "დათხინაფა"-"დათხიება"-"თხიება"-"დათხია"** ნიშნავს ჩამოშორებას, მოცილებას; "დუმეთხი!" ნიშნავს მომშორდის-თავი დამანებეს-შემეშვის. მეგრული სიტყვა "ონტება" ნიშნავს გაქცევას - ძველქართულში იყო სიტყვა "ოტება", რაც ასევე ნიშნავდა გაქცევას; მეგრული "ინტუ" ნიშნავ "იოტნას"-"განილტვოდას"; "გოტება" ნიშნავს "გაშვებას"; აქედან უნდა იყოს სიტყვები "(და)ტოვება", "(გან)ლტოლვა", "განტევება" მეგრულად "თუნთი" ნიშნავს დათვს; "თუნთუა" ნიშნავს დატორვას-დაბეგვას, აქედან სიტყვა "დათეთქვილი"; ამდენად სიტყვა "ტორი"(დათვის თათი) თავიდან უნდა ყოფილიყო "თუორი". სიტყვა "გერი(მგერი)" ნიშნავს მგელს; აქედან სიტყვები: "ძგერება", "მოგერიება","გმირი","ნგრევა" (დეწვრილებით იხილეთ ჩემს ნაშრომში "იბერიადა", "გერ"-ძირი). "კურდღელი" მეგრულად არის "ყურდღელი" – ამ ცხოველისთვის მართლაც დამახასიათებელია ყურები, ამიტო ქვია მას მეორენაირად "**ყურცქვიტა". სიტყვა "ჩალა" და "ჩალირი" მეგრულად ნიშნავს მხდალ და გონებაჩლუნგ ადამიანს – აქედანაა სიტყვა "ლაჩარი" – "არი" ბოლოსართია, ძირი გამოდის "ლაჩ", რაც იგივე "ჩალას" გვიანდელი სახეცვლილება უნდა იყოს. კახეთში უნიათო ადამიანს ეტყვიან ხოლმე: "შე ჩალავ, შენა!". "ჩალა"-ფუძესვე უკავშირდება სიტყვა "ჩაჩანაკი"-"დაჩაჩანაკებული"; ამდენად ეს სახელი ეწოდა მეორენაირად თივასაც, ანუ დაჩაჩანაკებულ-გამომშრალ ბალახს. "ბატონი" მეგრულად არის "პატენი" -აქედან სიტყვა "პატრონი" (ლათინურად პატრონე) და "პატიება" (ლათინურად პიტიეპარდონ-პერდონო). მეგრულში არის ერთ ასოიანი სიტყვა "გ"-გავს; "გუალო" არის "მსგავსი-მაგვარი" - იტალიურში "უგვალე", ფრანგულში "ეგალ", გერმანულად "გლაიხ" ნიშნავს მსგავსს-იგივეს. "ულა" მეგრულად ნიშვნას "(წა-ს)ვლას"; როგორც ვნახეთ მეგრული და ძველქართული "უ" ჩაანაცვლა "ვ" ბგერამ; პირვანდელი ფორმა რომ იყო "ულა" და არა "ვლა" ეს ასახულია სიტყვებში "გარდასული"(გარდასულა-გარდასვლა), "წარსული", "გასული"; მსგავსად ამისა გერმანულ ენაში სიტყვა "(ს)ვლა"-გერმანულად "გეენ" მთელ რიგ სიტყვებს აწარმოებს, მაგალითად: "აუსგანგ", "ფორგანგ", "ნახგანგ" და ა.შ. "ულა" ბრუნვაში არის "მეურქ"-მიდიხარ და "მეურც"-"ურს"-მიდის, აქედან კი სიტყვები "ურემი" და "ურიკა". სიტყვა "მოდი" მეგრულად არის "მორთი"; "რთ" ფუძე ვიცით რომ ურთიერთმოქმედებებს აწარმოებს ქართველურ ენებში, ამდენად ცხადი ხდება, რომ არქაული ფორმაა "მორთი" და არა "მოდი". ქართულ სიტყვა "კი" (თანხმობა) მეგრულად არის "ქო", რასაც შეესაბამება ქართული "ხო"-"ჰო"; აქედანაა ქართულ დიალექტებში არსებული ფორმა "ქე" (ქე ვიცი, ანუ კი ვიცი). ძველართულად "ქო"-ს შეესაბამება "ქუე"; ამდენად სიტყვა "კი" თავიდან იქნებოდა "ქი=ქო". სიტყვა "დიახ" იქნებოდა "დია"(დედა ღვთაება) და "ხ-ხო-ქო"-ს ერთობა (დიაქ(ო)). "ქო" ძირსვე უკავშირდება სიტყვა "ქორე"-არის და "ქოფე"-"ყოფე"-ყოფილა; აქედან სიტყვა ყოფნა. ქართული სიტყვა "არა" ნაწარმოებია მეგრული სიტყვიდან "ვარ(ა)"-"ვა". სიტყვა "არაში" "ვ" ასოს დაკარგვაზე მიგვანიშნებს ქართულივე სიტყვა "ვერ","ვეღარ",ასევე სიტყვა "უარის" დასავლურ ქართუ დიალექტებზე არსებული ფორმა "ვარი". თუ "ვ" ასომ უმეტზს შემთხვევაში ჩაანაცვლა "უ" ასო "უარის"-"ვარის" შემთხვევაში პირიქით მოხდა, რადგან თავსართი "ვ" სათავისო ფორმაა: "ვაკეთებ, ვამბობ, ვიქმნი" "უ" თავსათრი კი ერთის მხრივ "უმეტესობაა" (უფრო,უდიდესი, უძლიერესი) და მეორესმხრივ უქონლობას აღნიშნავს: უფულო, უგუნუი, უჭმელი... საინტერესოა რომ მას გერმანულში შეესაბამება თავსართი "უნ": "უნაბფენგიგ", "უნგლაიხ" ამდენდ სიტყვა "უარი" გამოდის "უარო" ანუ "არას" გარეშე მყოფი და მეორესმხრივ "უფრო დიდი არა"-"უუარესი"-"უვარესი"- ეს კი ნონსენსია; ამდენად მართებული ფორმა მართლაც არის "ვარი", მაგრამ ესეთი ფორმით ვერ დარჩებოდა ქართულში,რაბდან სათავისო "ვ"-მ აწარმოვა ისეთი სიტყვები, როგორიცაა "ვარგისი" და "ვარ" (მე ვარ)-მეგრულად "ვორე" - მეგრული "რე" ნიშნავს "არისს"- ძველქართული "არს". თეოლოგიაში ღმერთი "არსია"-"მაარსებელი" და "არსის-შინაარსის" მიმცემი -ეგვიპტურშიც მაარსებელ ღვთაებას ქვია "რე" (იგივე "რა"); ლათინურად მეფეს ეწოდა მისი სახელი "რე", რაც ეტრუსკულიდანაა. ეს ქართული სიტყვა "არს-არის" ხელოვნურად-დაზგურად შექმნილი უნდა იყოს საეკლესიო ლინგვისტური რეფორმებისას- "ა" თავსართი "აღმატებაა" ისე როგორც "აგება, აღმართვა, აფრენა, ასვლა" "ს" ბოლოსართია, იესვე როგორც "გავს","მდგომარეობს,"ჩანს" ძირი გვრჩება "რ" -მეგრულად "რინა"-ნიშნავს არსებობას-ყოფას; ამდენად სიტყვა "არის"-"არსის" ძირია მეგრული "რე". ასევე დაზგურად შექმნილს გავს სიტყვა "ხარ" -ეს**
რაღაც "ხ" საერთოდ უწესრიგოდაა აქ ჩასმული და სხვა სიტყვებთან კავშირს და ანალოგს ვერ პოულობს. მეგრულში კი არის "რექ"(ხარ) რაც ასევე ქარულ ფორმებთანაც მოდის შესატყვისობაში, მაგალითად: "შეზდექ, დადექ" ამდენად მეგრული ფორმები თვით ქარულისთვისაც კი გრამატიკული თვალსაზრისით უფრო გამართულია, რაც აგრეთვე ადასტურებს იმას, რომ ქართული ენა გამოეყო მეგრულს და არა პირიქით. სვანური ენა კი არის მთიულური მეგრულის და ადიღო-თურქმენული ენების ნაზავი, ისევე როგორც წოვა თუშურია არის მთის ქართულის და ქისტურის ნაზავი. სვანურ ენაში ის სიტყვები, რომლებიც მეგრულში არაა სვანურში შესულია ადიღოყაბარდოული ენებიდან, ასევე არის პირდაპირ ქართულიდან შესული სიტყვებიც. თუმცა არის რამდენიმე ისეთი უძველესი კოლხური სიტყვაც, რომლებიც ყველაზე უკედ სვანურშია დაცული. გარდა ამისა სვანურში მთიულური-გაუხეშებული მეტყველების თვისებიდან გამომდინარე ბევრი მეგრული სიტყვა უბრალოდ დეფორმირებულია, ასევე დეფორმირებულია ადუღო-ყაბართოული სიტყვებიც. ამდენად შეგვიძლია დავასკვნად, რომ სვანური ენა მთიულური მეგრულია ადიღო-ყაბარდოული მინარევებით. მაგალითისთვის მომყავს ზოგიერთი სვანურ-ადიღურ-ყაბარდოული სიტყვა: **ფუსტ-ფუსდ(ფში)-ბატონი; ფაყვ-ფავექუდი; ხედა-ხეთა-რომელი; მეგემ-ჩეგე-ხე; ლე'მესკ-მასკ(ე)-ცეცხლი; ხამ-ხვა-ღორი; ჯიჰრა-აჯჰრა-მუხა; მუს-უ(ე)ს,ასი(აქ ძირია "ს")-თოვლი; ჩაჟ-(ც)ა(ე)იჟ, ში(ჟ)(აქ ძირია "ჩ(ჟ)"-"შ(ჟ)")-ცხენი; შგვიბ-მი'შკლუ(აქ ძირია "შგ"-"შკ")-რკო; თხერე-თიღუჟ(აქ ძირია "თხ"-"თღ")-მგელი; მიშგვი-(მი)სიჟ-ჩემი; ფხულეფხუა-თითი; ეზა-ეზი-ის;** ჰაშდექ-ვ-(ჰა)შინდირხუო-ხვლიკი; ლი'პეშვდ-პეშიტიგადაღობება და ა.შ. სვანურს და ადიღოთურქმენულ ენებს აქვთ ამასთანავე საერთო გრამატიკული ფორმებიც,რაც შემდგონ კვლევას საჭიროებს. საერთოდ ჩრდილოკავკასიური ენების და ქართველური ენების ერთ ჯგუფში შეყვანა არამართებულია, რადგან ჩრდილოკავკასიურ ენებს გაცილებით მეტი საერთო აქვთ თურქმენულ(თურანულ) ენებთან ვიდრე ქართველურთან. ხოლო ტერმინი **"იბერიულ-კავკასიური"** ენები ძირშივე მცდარი ტერმინია. ჩრდილო კავკასია დავდაპირველად კოლხეთის სამეფოში შედიოდა და მასზე კონტროლს ქართველი ხალხი პერიოდულად იბრუნებდა ხოლმე შუა საუკუნეებში. ჩრდილო კავკასია მომთაბარე თურანულმა ტომებმა პირველად ჰუნების დროს დაიპყრეს IV საუკუნეში, შემდეგ ავარებმა და ალანებმა, მერე ხაზარებმა და არაბებმა, მერე თათარ-მონღოლებმა, მერე თურქ-სელჯუკებმა და ყიზიბლაშებმა,დღეს დაპყრობილი აქვთ რუსებს. ამ ხალხების ენებმა გადაფარეს ზანური ენის შრე ჩრდილო კავკასიაში. ამდენად უმჯობესი იქნებოდა ეს ენები თურქმენულ ენათა ჯგუფში ყოფილიყვნენ შეყვანილი. მართალია ამ ენებში არსებობს **"ზანიზმები"**, მაგრამ ეგრე თავად თურქულში, ბერძნულში, ლათინურში და სომხურში კიდევ უფრო მეტი ზანიზმებია და მაშინ ეს ენებიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს უნდა მივაკუთნოთ? უმჯობესია ტერმინი "იბერიულ-კავკასიური ენები" ამოვარდეს ხმარებიდან და ის შეიცვალოს უფრო მართებული ტერმინით **"გეორგიანული ენები"**, რადგან დღეს მსოფლიო გეორგიად გვიცნობს. რაც შეეხება ბასკურ ენას ის იბერიული იმდენადაა რამდენადაც გეორგიანულს უახლოვდება, ამიტომ მას შეგვიძლია "სემიგეორგიანული" ვუწოდოთ და არა "იბერიული", იბერიული ენა იგივე ზანურია, თუმცა ეს სიმართლე დღემდე იგნორირებულია "წითელ ენათმეცნიერთა" მიერ. ჯერკიდევ სულხან-საბა ორბელიანი იგნორირებას უწევდა მეგრულ ენას, მას ავენოვან ჟღურტულს ეძახდა და მეგრულძირიან სიტყვებს ყიზილბაშურით განმარტავდა, მაგალითად სიტყვა "გერგეტი", რომელიც არის მეგრული წმინდა გიორგის სახელი "გერგედან" ნაწარმოები, საბას ეგონა თათრული "ჯეგერგენიდან" მიღებული, რაც თათრულად ნიშნავს მოჭენავესცხენს, ამიტომ ის მცდარად განმარტავს, რომ **"გერგეტი"** მომცრო ტანის (თათრულ) ცხენს ნიშნავსო. ქართული ისტორიოგრაფია და ენათმეცნიერება **"წითლებამდეც"** ზეგავლენას განიცდიდა ირანის მხრიდან, რაც აისახა ვახტანგ VI(თუ V)ს და სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობში. ირანის შემდგომ კი რუსეთის იმპერია შეეცადა ბოლომდე გაეყალბებინა ქართველი ხალხის და მისი ენის წარმოშობის საკითხი. მიუხედავად ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროყვას და რიგი სხვა ნიჭიერი მეცნიერების მცდელობისა, ქართული ისტორიოგრაფია და ენათმეცნიერება სწორ რელსებზე მაინც ვერ შედგა, რადგან ამას ერთისმხრივ შეუძლებელს ხდიდა რუსეთის იმპერიალისტური მანქანა და მეორესმხრივ არ არსებობდა სათანადო ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული ინსტიტუტი მუდმივად ფიზიკური განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფ საქართველოში. გარდა ამისა ზემოხსენებულ ავტორებს ხელთ არ ქონდათ ის ახალი არქეოლოგიური თუ სხვა საჭირო მასალები რაც დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს. ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ ეს მეცნიერები ვერ მივიდნენ საბოლოო სწორ დასკვნებამდე და ისინი ჩვენ უნდა დავაფასოთ მხოლოდ როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მათი ნაშრომები კი იმდენად მოძველებულია, რომ თანამედროვე მეცნიერული მიგნებების გადასახედიდან თუ შევხედათ ეს მათი ნაშრომები სანაგვეშია მოსასროლი!

**ბაკურ მორგოშია**

# ძაღლის კუდი არ გასწორდება... ამიტომაც აჭრიან მას ძირში!

### (ვაგრძელებთ ჩვენს რუბრიკას!)

**"არ გასწორდების კუდი ძაღლისა, არცა კირჩხიბი მართლად ვლის..."** გვმოძღვრავს საფლავდაკარგული დიდი სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც მხედველობაში ჰყავდა ის ფეოდალები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს დასასუსტებლად და დასაქცევად. სამწუხაროა, რომ დღეს უკვე სხვა ფეოდალები ეჯაჯგურებიან საქართველოს ერთიანობას და ძლიერებას და მის დაბლა დაცემას ესწრაფვიან. სწორედ ამგვარ დღევანდელ **"ქართველებზეა"** საუბარი შემოთავაზებულ წერილში!

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რედაქციაში შემდეგი შინაარსის წერილი მივიღეთ:

**"ბატონო რედაქტორო,**

**ჩვენ, ზუგდიდში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები, დიდ მადლიერებას გამოვხატავთ თქვენი გაზეთის მიმართ, საიდანაც ულევი სითბო და თანადგომა გადმოდის ჩვენდამი.**

**ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, სიხარულისა თუ გასაჭირის ჟამს!**

**ამ რამდენიმე ხნის წინ, დევნილებს შორის, გავრცელდა ჩვენთვის ფრიად გასახარელი ხმა, ზუგდიდში, აფხაზეთიდან ლტოლვილებისათვის რვა მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის შესახებ. როგორც გავიგეთ, მშენებლობას გერმანული KFW ბანკი აფინანსებს.**

**დიდი მადლობის სიტყვების მეტი რა გვეთქმის ჩვენი უცხოელი კეთილისმსურველებისადმი, მაგრამ ასევე გავრცელდა ხმა, რომ ზემოთხსენებული სახლების მშენებლობისათვის გამართული ტენდერი სამშენებლო კომპანია "დაგი"-მ მოიგო. ყველასათვის ცნობილია, რომ კომპანია "დაგი"-ს უკან, მიხეილ სააკაშვილის კრიმინალური მოხელე, სამეგრელო-ზემო-სვანეთის ყოფილი გუბერნატორი, ფინანსურ-კრიმინალურ გარიგებებში არაერთგზის მხილებული ოდიოზური ფიგურა – ზაზა გოროზია დგას.**

**როგორც ცნობილია, ზაზა გოროზიას საქმიანობას, მისი გუბერნატორად, თუ სოფლის მეურნეობის მინისტრად ყოფნის პერიოდში პროკურატურა იძიებს და, ცხადია, სამშენებლო კომპანია "დაგი"-ს საეჭვო გარიგებებიც არ დარჩება სამართალდამცველთა ყურადღების მიღმა.**

**ვეჭვობთ, რომ ყოველივე ზემოთთქმული ჩვენი გერმანელი მოკეთეებისათვის ცნობილი იყოს!**

**ამის გამო, გთხოვთ აცნობოთ, რომ მათ მიერ გაკეთებულ სიკეთეს ჩრდილი არ მიადგეს და ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება არ გამოიწვიოს.**

**პატივისცემით:**

**ხარატიშვილი, თოლორაია, კიტია, ხაბურზანია, შენგელია, ჯანაშია... სულ 16 კაცი".**

მაშინ ჩვენ დავპირდით მკითხველებს, რომ გამოვიკვლევდით აღნიშნულ საქმეს და ვაცნობებდით მათ, რასაც ვასრულებთ კიდეც.

წინასწარ გვინდა გაუწყოთ, რომ, აღნიშნული წერილის შესწავლისას არცთუ სახარბიელო ფაქტების წინაშე დავდექით, რაზედაც ახლავე მოგახსენებთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკი **KFW**-ს წარმომადგენელი ზედმიწევნით კორექტული აღმოჩნდა და ამომწურავი პასუხები გაგვცა ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე:

***„KfW" მხოლოდ აფინანსებს გადაუდებელ და ქვეყნისთვის საჭირო პროექტებს. ყველა დანარჩენ საკითხებს, როგორიცაა – ტენდერის ჩატარება, გამარჯვებულის გამოვლენა, წარმოდგენილი სატენდერო მასალების შემოწმება და ექსპერტიზა, აწარმოებს და მათ სისწორეზე პასუხისმგებელია – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მასთან არსებული მუნიციპალური განვითარების ფონდი. მოკლედ რომ ვთქვათ – საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურამ თავად უნდა გამოავლინოს გამარჯვებული!"***

იყო პასუხი გერმანული წარმომადგენლობის მხრიდან.

ჩვენ მადლობა მოვახსენეთ გერმანელ მეგობრებს დაკვალიანებისთვის და ასე მივადექით **„მგფ"**-ს – იგივე მუნიციპალური განვითარების ფონდს. შესყიდვების სამსახურის უფროს ბატონ იოსებ ჭონქაძესთან მოკლე სატელეფონო საუბრის შემდეგ შევთანხმდით შეხვედრაზე, რასაც ცოტა ხანში **„მგფ"**-ის პრესსამსახურის უფროსის ქალბატონ ლანა ბერიძის სატელეფონო ზარი მოჰყვა და გვთხოვა ელექტრონულ ფოსტაზე გამოგვეგზავნა გასარკვევი საკითხის მოკლე შინაარსი, რაც მაშინვე შევასრულეთ:

**From: David Kobalia**
**<elisabetthal@yahoo.de>**
**To: lanaberidze@yahoo.com**
**Sent: Friday, April 26, 2013 5:26 PM**

*გაცნობებთ, რომ 20 აპრილს, რედაქციაში შემოვიდა წერილი სადაც საუბარია:* ***„ზუგდიდში, აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობისთვის რვა მრავალსართულიანი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული ტენდერის შესახებ, რომელსაც KfW ბანკი აფინანსებს..."***

*დრო რომ არ დავკარგოთ, გთხოვთ იხილოთ მიბმული ფაილი!*

***"ასევე გაცნობებთ, რომ გაზეთ „ილორი"-ს მთავარი რედაქტორი ბატონი როლანდ ჯალაღანია და მე დავით ქობალია გახლავართ „საქართველოში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის მოძიებისა და მოვლა-პატრონობის ფონდ ELISABETTHAL"-ის დამფუძნებლები, რაც გვავალდებულებს (იმის გარდა, რომ რედაქციაში შემოსული წერილი შევისწავლოთ და მკითხველებს დაზუსტებული პასუხი გავცეთ!) გერმანულთან და გერმანიასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს საგანგებო ყურადღება მივაქციოთ.***

***რადგანაც KfW გერმანული ბანკია, ჩვენც, ზემოთხსენებული წერილი, სანამ მას გამოვაქვეყნებდით, გავაცანით ბანკის ხელმძღვანელობას, სადაც დაწვრილებით განგვიმარტეს, რომ – გერმანული ბანკი აფინანსებს მხოლოდ ზემოთხსენებულ პროექტს, ყველა დანარჩენ პროცედურებს განაგებს „მუნიციპალური განვითარების ფონდი", რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად ავლენს ტენდერში გამარჯვებულს და განკარგავს KfW-ეს მიერ გაცემულ კრედიტს!***

*ისინი, ვინაც, მომავალში ასაშენებელ რვა მრავალსართულიან სახლებში უნდა იცხოვრონ, უკლებლივ ყველა „ილორი"-ს მკითხველები არიან და არ გაგვკვირვებია, როცა ჩვენ მოგვმართეს ზემოთმოყვანილი წერილით.*

*გთხოვთ, ისიც გაითვალისწინოთ, რომ „ილორი" ერთადერთი ქართული გაზეთია, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ვრცელდება. ამიტომაც აქვს მას მეტი ნდობა აფხაზეთიდან გამოდევნილ მოსახლეობაში.*

*წერილის დასასრულს გაცნობებთ, რომ ჩვენ გადავამოწმეთ და დადასტურდა, რომ სამშენებლო ფირმა „დაგი" ზუგდიდში ავრცელებს ხმებს ტენდერში გამარჯვების შესახებ.*

*რაც შეეხება ბ-ნ ზაზა გოროზიას პიროვნებას (რომელიც მოიაზრება „დაგი"-ს მფლობელად) და მის მიერ გავლილ გზას „სამეგრელო-ზემო სვანეთის" გუბერნატორად ყოფნისას, ამის შესახებ, არაერთგზის გამოუქვეყნებია წერილები გაზეთ „ილორს" და, როცა ფირმა „დაგი"-ს ლობისტად ზაზა გოროზია და მისი გუნდი მოისაზრება, ჩვენთვის ცხადია ზუგდიდელების განგაში!*

*გაითვალისწინეთ, რომ მასალა გაზეთისთვის კვირა დილას მზად უნდა გვქონდეს".*

–მართლაც, ოპერატიულად მივიღეთ პასუხი **„მგფ"**-ის პრესცენტრიდან, სადაც ქ-ნი ლანა ბერიძე გვატყობინებს რომ:

**Von: Lana Beridze**
**<lanaberidze@yahoo.com>**
**Betreff: Re:**
**An: "David Kobalia"**
**<elisabetthal@yahoo.de>**
**Datum: Freitag, 26. April, 2013 15:40 Uhr**

*„გაცნობებთ, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია მართლაც არის შპს „დაგი", თუმცა ამ კომპანიასთან კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, რადგან ველოდებით კონტრაქტის შესრულების საბანკო გარანტიის წარმოდგენას.*

*შესაბამისად, ვინაიდან კონტრაქტი ჯერ არ არის გაფორმებული, ტენდერი დასრულებულად არ ითვლება და ინფორმაცია ტენდერის შესახებ არ არის საჯარო.*

*ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „დაგი"-ის სამეწარმეო ამონაწერში ქვემოთ მოცემულ წერილში მოყვანილი პიროვნება (ზაზა გოროზია) არ რეგისტრირდება. ამონაწერი მომზადებულია 28 მარტს."*

–რასაც, ჩვენი საპასუხო წერილი მოჰყვა:

**From: David Kobalia**
**<elisabetthal@yahoo.de>**
**To: lanaberidze@yahoo.com**
**Sent: Friday, April 26, 2013 5:26 PM**

*"ქალბატონო ლანა, დიდი მადლობა სწრაფი პასუხისთვის. თქვენი „დამატებითი ცნობა" მოგვეწონა განსაკუთრებით:*

*„ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „დაგი"-ს სამეწარმეო ამონაწერში ქვემოთ მოცემულ წერილში მოყვანილი პიროვნება (ზაზა გოროზია) არ რეგისტრირდება. ამონაწერი მომზადებულია 28 მარტს."*

*არ დაგიმალავთ, იგი მართლა მოგვეწონა, რადგან ერთი სახალისო ამბავი გაგვახსენა, რაც ჯერ არ მომხდარა, მაგრამ დიდი ალბათობაა მოხდეს.*

*წარმოიდგინეთ ასეთი დიალოგი:*

*კითხვა: „გალფი" ხომ კეზერაშვილის კომპანიაა?*

*პასუხი: არა, ბატონებო, ასეთი პიროვნება „გალფი"-ს სამეწარმეო ამონაწერში არ რეგისტრირდება!*

*ამიტომ გადავწყვიტეთ „ილორი"-ს მომდევნო ნომერში თქვენთვის ცნობილი „ილორი"-ს მკითხველთა განცხადება უცვლელად გამოვაქვეყნოთ და მომავალ კვირას დეტალურად შევისწავლოთ იქ დასმული ყველა საკითხი".*

როგორც ზემოთ ვახსენეთ **„ილორი"**-ს მკითხველთა წერილი წინა ნომერში გამოქვეყნდა, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი წერილზე გამოხმაურებებია, რომლებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და რაც მთავარია ის ნაკლოვანი მხარეები დაგვანახა, რაც ახალი მთავრობის მოღვაწეობას გააჩნია, მიუხედავად მისი თავდაუზოგავი მონდომებისა!

მოვუსმინოთ **„ილორი"**-ს მკითხველებს:

*„გაზეთის მკითხველთა უმეტესობა, ახალი ნომრის გაცნობისას, მის პირველ და ბოლო გვერდს მიაშურებს მაშინვე. რადგანაც მეც მათ რიგს მივეკუთვნები, გასულ კვირას, თვალში, სწორედ „ილორი"-ს მე-12 გვერდზე განთავსებული წერილი მეცა, ზუგდიდში, რვა მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის უფლების გამოსავლენად გამართული ტენდერის შესახებ.*

*მართალი გითხრათ, ჩემთვის გასაკვირი არაფერი წამიკითხავს, რადგან გასული წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გამართული, თითქმის ყველა ტენდერი ყოფილი ხელისუფლების სამშენებლო კომპანიებმა მოიგეს, რაც საგანგაშოა არა იმიტომ, რომ ისინი ყველასათვის საძულველი ხელისუფლების და მათი გარეწარი ლიდერების – მერაბიშვილის, გოროზიას, კეზერაშვილის, ახალაიების და სხვათა საკუთრებაა, არამედ საგანგაშოა იმიტომ, რომ ახალ ხელისუფლებას მათგან დიდი განსაცდელი ელოდება, რაც შემდეგში მდგომარეობს:*

*–უკლებლივ, ყველა, ზემოთნაგულისხმევი „გამარჯვებული" სამშენებლო ფირმა „დაგი"-ს ჩათვლით, ტენდერებს იგებენ, სატენდერო მოთხოვნებთან შედარებით არარეალურად დაბალი ფასების შეთავაზებით, რაც გარკვეული ეტაპის შემდეგ აუცილებლად გამოიწვევს მშენებლობის პროცესის შეჩერებას, არასაკმარისი დაფინანსების გამო, ან უკიდურესად უხარისხო პროდუქციას მივიღებთ, რომელსაც შემდეგ, თუნდაც რამდენიმე პიროვნების დასჯა და ჯარიმა ვერ გამოასწორებს!*

*ეს კიდევ არაფერი, სანდო წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ, ყველა, აქამდე ჩატარებულ ტენდერებში დაბალი ფასების შეთავაზება, ზემოთხსენებული სამშენებლო კომპანიებისგან გარანტირებული გამარჯვების გარდა, მზაკვრულ გეგმასაც ითვალისწინებს:*

*–ცნობილია, რომ ყველა ტენდერის პირობები დიდი ხნით ადრე ქვეყნდება ინტერნეტსაიტებზე, საიდანაც მოსახლეობის ინფორმირება და სატენდერო ობიექტის გათვალსაჩინოება ხდება. ცხადია იგი მოქმედი ხელისუფლების საქმიანობას უწევს რეკლამას მისი მოსახლეობის თვალში. სწორედ ამის საწინააღმდეგო ნაღმებს ამზადებენ ყოფილი ხელისუფლების სამშენებლო და კომერციული კომპანიები, არარეალური ფასებით ტენდერებში გამარჯვებით. მათი გეგმა მზაკვრული და მარტივია – ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, რამდენიმე მსხვილი ობიექტის მშენებლობა თითქმის ერთდროულად იწყება, რაც მათ ორგანიზებული საბოტაჟის საშუალებას აძლევს. ერთ მშვენიერ დღეს, ყველა ასეთი ობიექტის ერთდროულად გაჩერება მოხდება, რაც მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნას და მათი მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობას განაპირობებს!*

*თუ ამას ბატონი ივანიშვილის შესაბამისი სამინისტროები ვერ ამჩნევენ, მაშინ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ვთქვათ – ისინი შეუგნებლად მონაწილეობენ ქვეყნის გადამრჩენლად მოვლენილი კაცის წინააღმდეგ, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ!"*

ჩვენი ერთგული მკითხველის ვრცელი წერილი შეგნებულად შევამცირეთ, რადგან მომავალში მივუბრუნდებით მას, მაგრამ ამ მცირე ამონარიდიდანაც ნათლად ჩანს რამდენ ვერაგობას უნდა უფრთხოდეს ახალი მთავრობა და მისი ერთგული მოსახლეობა.

სამწუხაროა, როცა – **ახალი მთავრობის სახელმწიფო სტრუქტურების ჩინოვნიკები დამნაშავე გოროზიების, კეზერაშვილების, ახალაიების, მერაბიშვილების და კიდევ უამრავთა დანაშაულებრივ კვალს „სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის დადგენით" ეძებენ!**

თუმცა, წვრილფეხა ჩინოვნიკებს რა უნდა მოვთხოვოთ, როცა – **ახალმა ხელისუფლებამ შეურაცხად და ვადაგასულ პრეზიდენტს ვერ ამოსდო ლაგამი და ყოველი მისი ქვეყნიდან გასვლა, საქართველოს და მისი მოსახლეობის შეურაცხყოფით მთავრდება!**

**„დაგი"** და კიდევ სხვა ე.წ. კომპანიების საკითხი ამ საგაზეთო წერილით არ მთავრდება. ჩვენს გაზეთს შემოუერთდა რამდენიმე ცნობილი, მშენებლობის და კომერციული საქმიანობის ექსპერტი, რომლებიც შეგვპირდნენ უსასყიდლოდ გაუკეთონ ანალიზი გამოცხადებულ სატენდერო პირობებს და ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შეთავაზებული გათვლების რეალურობას!

არავინ იფიქროს, ყოფილი ხელისუფლების მომხრეობის გამო ვითვალისწუნებდეთ რომელიმე სამშენებლო ან კომერციულ სტრუქტურას!

ეს არასოდეს ყოფილა გაზეთ **„ილორი"**-ს მიზანი (დაინტერესებულ პირებს მაშინვე მივაწვდით ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემულ გაზეთის ნებისმიერი ნომრის ელექტრონულ ვერსიას), მაგრამ, როცა აშკარად ვხედავთ – ის ადამიანები, ვინაც კბილებით იცავდნენ, ჯერ **„შევარდნაძე-უხსენებლი"**-ს, შემდგომ კი **„მიშა-შეურაცხადის"** ხელისუფლებას, დღეს კი თავქუდმოგლეჯილი **„ბიძინისტია"** – ჩვენ გაჩუმების უფლება არ გვაქვს!

რადგან – **ჩვენ ასე ვერ გავფრინდებით!**

**დავით ქობალია,**
**როლანდ ჯალაღანია**

საკვირაოდ წასაკითხი

# დაბადების დღე

იმ დღეს დაბადების დღე ჰქონდა. ოჯახის წევრებმა და კიდევ ოთხმა, ხუთმა კაცმა ეს დღე მიულოცა ტელეფონით.

სახლიდან გავიდა. შეკითხვაზე, თუ სად მიდიხარო, მიტინგზეო. გაიღიმა და წავიდა. გარეთ დარი იყო. ქუჩას გაუყვა ფიქრებში ჩაფლული.

– რა ვქნა, რა მოვიმოქმედო? რა ცუდი ყოფილა, როცა ცხოვრების ფერხულში არ ხარ ჩართული. როცა უფუნქციო ხარ. როცა არ იცი რაში დახარჯო მოზღვავებული ენერგია, ცხოვრებისეული გამოცდილება, პატარა ცოდნაც კი, სად ან ვის მოახმარო! არავის სჭირდები და არც არავინ გაგდებს რაიმედ ამ ქვეყანაზე.

– შუა ხნის ბევრი მამაკაცი ხვდება, რამდენად უსუსური და უმწეო არსებაა ამ ქვეყანაზე. უფრო მეტიც, რწმუნდება იმაში, რომ მისი ცხოვრების ფუნქცია ბიოლოგიური ინსტიქტის აღსრულებაა სამწუხაროდ, ეს არის და ეს. მხოლოდ ერთეულების, რჩეულების ხვედრია უფალთან მიახლოება – სამშობლოსთვის თავდადება!

– უფლის წყალობა და თანადგომა რომ არა, ამ ქვეყანაში იმდენად დამცირებულად შეიძლება იგრძნო თავი, სიკვდილი ინატრო ან გული გაგიჩერდეს.

ეკლესიაში შევიდა. შვება იგრძნო, როცა ყველა თბილად, ღიმილით მიესალმა. იცნობს ყველას, რადგან ჯვრის ამაღლებაში თითონაც მიიღო მონაწილეობა, რითაც უზომოდ ბედნიერი იყო.

...ქუჩაში გავიდა. ხალხი ირევა, მანქანები მიდი-მოდიან.

– ნეტავ სად მიიჩქარიან ან რისთვის ირჯებიან? ალბათ, როგორც მე, ეს ხალხიც იმის ფიქრში არიან, თუ რა ჰქნან, რა მოიმოქმედონ... მთელი ცხოვრება ვშრომობდი, მგონი ოდესმე შვებულებაშიც კი არ ვყოფილვარ. ახლა? გაღუნულ ჯოხს უფრო მეტი სარგებელი მოაქვს ადამიანისთვის, ვიდრე მე ... ვინმესთვის.

ჩამოიბერტყა მოზღვავებული ფიქრები და თავისუფლების მოედნისკენ გასწია...

პუშკინის სკვერში ხალხმრავლობა იყო. ხალხი ისე იქცეოდა, თითქოს მოსასვენებლად არის მოსული. სინამდვილეში მომიტინგეები იყვნენ, ისე, უბრალო მოქალაქეები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათი ადგილი აქ არის, ვინაიდან არავისზე უკეთესები არ არიან, რომ ტელევიზორით ადევნონ თვალი ქვეყნის დაქცევას.

შიში, უმწეობა, სევდა, სიბრაზე იყო მათ თვალებში. ყოველი მათგანი მზად იყო ნებისმიერ წუთს შეერთებოდა იმ ტალღას, რომელიც თუნდაც რაიმეს შეცვლიდა ამ ქვეყანაში.

ერთი ქალბატონი ომარ ხაიამის პატარა ლექსების კრებულს არიგებს. ეს თანადგომის სამადლობელი საჩუქარიაო. არ კითხულობს არავინ, რა დროს ლექსიაო.

ერთი ახალგაზრდა წვერმოშვებული კაცი წვრილად დაჭრილ ქაღალდებს არიგებს, სადაც სწერია: რუსი წმინდანი, სერაფიმე საროველი რუსებს უბარებს: **"საქართველოს ხელს ნუ ახლებთ, ის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა!"**

ყველამ გამოართვა. არავინ სვამს შეკითხვას, რატომ დაარიგა მან ეს ქაღალდები.

ერთმა საკმაოდ ვრცელი ლექსი წაიკითხა. საკმაოდ სასოწარკვეთილი ლექსი გამოდგა. ერის სიდუხჭირე, უძლურება, მონობა აწუხებდა მის ავტორს... – აი, რატომ ვარ აქ! – განაცხადა მან.

ლექსმა თითქოს გამოაფხიზლა ყველა.

– ბოროტის მთესველი თავად ებმება თავის მოქსოვილ ბადეში, მაგრამ ღმერთი მიმტევებელია! ღმერთო, მიუტევე ყველას და თუ არ მოინანიებს და არ მოიშლის ბოროტის კეთებას, მაშინ ის თავის გზას თვითონ ეწევა! – რკინა გაურია ერთმა ბოლოს თავის ნათქვამს.

– კაცო, მცირე პაუზის შემდეგ ალაპარაკდა მეორე, – კაცები შემდეგნაირად განაწილდებიან: არაკაცები, კაცუნები, ვითომ კაცნი და კაცნი. დასანანია, რომ ყოფაში პირველი სამი სჭარბობს. აი, ის პირველი სამია, რომელიც თანამდებობებზე სხედან, ჭკუაზე მოსაყვანი, თორემ დაიქცა ქვეყანა.

ზოგი სურათებს **"უღებდა დამსვენებლებს"**, ვითომ ტურისტი იყო. ზოგი სეირის საყურებლად იყო მოსული, ზოგი უბრალოდ, შემთხვევით, უსაქმური იყო და ერთობოდა.

– ეჰ, არც ვიცი რა ეშველება ჩვენს ქვეყანას, – ნელ-ნელა ხმას აუწია შემდეგმა, – რა ეშველება ამ უსირცხვილობას, უნამუსობას, ნარკომანიას, ისტორიის უპატივცემულობას, არაკაცობას, ბოზობას, პედერასტობას, მშობლების უპატივცემულობას, სიცივეს ერთმანეთის მიმართ, სიღატაკეს, სიღარიბეს, თვითმკვლელობებს. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ან ეს რას ჰგავს, ქუჩაში ვერ გასულხარ, შეიძლება გაგაგორონ და იქითკენ ათასი რამე მოგიგონონ. არა, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს!, მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლია, როცა გაყიდულია საქართველო.

– არა ოქრო კაცო, – შეეპასუხა მეზობელი, – ჩვენს ხელშია ყველაფერი, ხალხის ხელშია და დროზე უნდა აღვიმაღლოთ ხმა. ისე, ამ ოპოზიციასას რა დაემართა. ალბათ ისინიც მოსყიდულები არიან. მე რომ მკითხოთ, არ ვარ მოსული ვიღაცვიღაცეების ძახილზე. მე ნონას, რეზოს, გოგის, რეზო ჩხეიძის მხარდასაჭერად ვარ მოსული. აი, ეს ხალხი ნამდვილად პატრიოტები არიან! აი ვის შეიძლება ენდოს ქართველი ხალხი! – გამოიწვია მეზობელი პოლემიკაში.

– მეც ამ ხალხის პატივისცემით და მხარდასაჭერად ვარ მოსული. სად არის დღეს ოპოზიცია, ყველა ისინი გამყიდველები არიან – განაცხადა პორტფელიანმა.

– ერთი მინისტრი ყოველ დილით, როგორც კი მანქანა მოაკითხავდა, დადიოდა ქალაქის ქუჩებში და ბოთლებს აგროვებდა, ამტვრევდა და სანაგვეში ჰყრიდა. როცა ჰკითხეს, რას შვრებიო. უპასუხა – თუ ჩვენი პრეზიდენტი გადააგდეს, ჩვენც თან მივყვებით, ჩემი ბედის რომ ვიცი, ამ ბოთლებს ყველას უკან გამიკეთებენ, ჩემს და სხვის წილსაცო. ასე მოუვათ ამათაც – ხალისის შემოტანას შეეცადა ერთი.

– მე ლტოლვილი ვარ, აღშფოთებული ვარ იმ პასუხით, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა გასცა ლტოლვილი ახალგაზრდას შეკითხვას აფხაზეთში დაბრუნებაზე: **"მერე ვინ გიშლის, წადი აფხაზეთშიო."** ასე უნდა ეპასუხა პრეზიდენტს? გარდა ამისა გაოცებული და შეწუხებული ვარ იმის გამოც, რომ ლტოლვილები არ იღებენ ხმას. რამ დააბეჩავა, დააკნინა და სულიერად დააჩოქა ეს ხალხი!

– მე რა გითხრათ, – წამოიწყო ჰალსტუიანმა, – დამაწესეს სახელმწიფო ვალი. დავიღალე და ხელი ჩავიქნიე იმის მტკიცებით, რომ არ მეკუთვნოდა დაჯარიმება. მერე მთელი წელიწადი ვიარე ქალაქის მერიაში, ვწერე განცხადებები. დამასაქმეთ და დამაფარიეთ ვალით-ქო. ყური არავინ შეიბერტყა. შენს ვალს პროცენტები დაემატება და მერე მოგთხოვთ, მანამ თუ სული არ გაგძვრაო. გინება არ მეხერხება და მგონი ამასაც ვისწავლი!

* * *

– მე ოსი ვარ, თქვენ თქვენი გასაჭირი გაქვთ. მე კი შურისძიება მამოძრავებს. მინდა დავადგინო, ვინ ამომიხოცა მძინარე ცოლ-შვილი და ხეიბარი მამა. ამას გავიგებ, შურს ვიძიებ და მერე სამუდამოდ წავალ ისევ ცხინვალში. რა მაქვს თქვენთან, ქართველებთან გასაყოფი. პირიქით ქართველი მეუღლე მყავდა. ჩვენ სიყვარულით შევქმენით ოჯახი და ბედნიერები ვიყავით... – ცრემლი გაერია საუბარში ახალგაზრდას.

– ვიზიარებ ძმაო შენს უბედურებას, – ჩაერია ახალმოსული საკმაოდ წლოვანი მამაკაცი, – მე დიაბეტიანი ვარ, მაინც მოვედი აქ. მრცხვენია, რომ ქართველი ვარ, მრცხვენია იმ ქართველის გამო, რომელმაც შენ გაგაუბედურა. საითაც გავიხედე, ყველგან ცუდი და უარესია. ნახეთ რა ხდება ნაგვის ბუნკერებთან, ნახეთ რამდენად გაიზარდა საკვდილიანობა, თვითმკვლელობები, რამდენი ჭკუიდან გადავიდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო. არ უნდათ ჩვენს მიწაზე ქართველები და მორჩა. არ მიწყინოთ ამგვარი ემოციისთვის, მაგრამ გული შეიძლება გამისკდეს. მზად ვარ, თავი გავწირო, ოღონდ საქართველო საქართველოს დაემსგავსოს, ოღონდ ეს სისხლისმსმელები წავიდნენ ხელისუფლებიდან. თუ ასე გაგრძელდა კიდე 4-5 წელი, ჩათვალეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ჩვენი ნასახლარებიღა იქნება. ქვა ქვაზე არ დარჩენილა, მიწას ცეცხლი წაკიდებია საქართველოში, თუ აქ ქართველები არ იცხოვრებენ! – ხმამაღლა დაამთავრა ახალმოსულმა, ჯიბიდან რაღაც ამოიღო და პირში ჩაიდო. ეტყობა ავადმყოფობამ თავი შეახსენა.

– შენ რაღამ შეგაწუხა, ჩუმად რომ გვისმენ. შენც მოყევი შენი გასაჭირი, ხომ ხედავ, ყველა თავისას ყვება – მიმართეს გვერდზე მდგომ 50-55 წლის კეპიან კაცს, რომელიც ეტყობოდა ნაბახუსევში იყო, თან დროდადრო ისე უაზროდ და უადგილოდ გაიცინებდა, რომ ყველას ყურადღებას იპყრობდა.

– მე... დაიბნა კეპიანი, – მე არაფერი გამჭირვებია ძმაოჯან. **"ჩესნად"** თუ გინდათ ვთქვა, იქნებ რამე ხეირი ვნახო. აბა რა მინდა აქ, ზაგარის მისაღებად ხომ არ მოვიდოდი. გამსახურდიას გადაგდებისას და მერე აფხაზეთის ომის დროს კაი ხეირი ვნახე, გვარით ქართველი ვარ. უბრალოდ ზოგიერთებმა იციან სომეხი, რომ ვარ და გამაფრთხილეს, აქ არ დაგინახოთო, თორემ პირველი მე ვისროდი. რა **"რაზნიცა"** აქვს ვის მოხვდება. მე ომობანა მაწყობს, – უაზროდ გაიღიმა კეპიანმა, მაგრამ იგრძნო, რომ საფრთხე უახლოვდებოდა, რომ ყველა მისი მსმენელი აგრესიული გახდა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

– გავყვები და მოვკლავ – გაიფიქრა იუბილარმა – კაცის მკვლელი როგორ გავხდე ან ვის ავუხსნა მერე მიზეზი? მაგრამ ასეც არ შეიძლება. ღმერთი მიუზღავს ყველას.

გამოჩნდა მოძრავი ტრიბუნა.

სასაცილოა, მაგრამ ვიღაცას მშვენიერი ბიზნესი აქვს აწყობილი. ალბათ აქირავებს ამ ტრიბუნას და არ აინტერესებს, რა რჯულის ადამიანები ილაპარაკებენ მასზე მდგომნი. არც ის ადარდებს რაზე ილაპარაკებენ ისინი.

ტრიბუნას პატრულის მანქანები მიჰყვა.

ამ მოძრაობამ გადაარჩინა ის სომეხი კეპიანი. სხვა შემთხვევაში ალბათ ვერ გადაურჩებოდა ხალხის რისხვას.

– არა როგორ არ ამოვიღო ხმა, – წამოიწყო ჰალსტუხიანმა, – ეს კიდევ რა შავი ჭირია ჩვენს თავს. ეს სოროსელები, იაღოველები და მათი მიმდევრები, თუთბერიძეები, ჯოხაძეები, ჯგერენაიები, ბურჭულაძეები, და კიდევ რა ჩამოთვლის ამათ გვარებს. ნუთუ არაფერი წმინდა არ გააჩნიათ ან არ გააჩნდათ? ნუთუ ყველაფერი ფულზე იცვლება? ღმერთო მომათხოვნინე ყველაზე პასუხი.

იუბილარს საუბარში არ მიუღია მონაწილეობა. ჩუმად ისმენდა.

მე კი დღეს 55 წლის გავხდი, – გაიფიქრა. – დიდება უფალს! ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ არაფერი ფასიანი არ გაგიკეთებია და, უფალი მაინც გფარველობს. რა მინდა აქ? არ მშია, არ მწყურია! მაგრამ, როგორ თუ რა მინდა! ვისზე უკეთესი ვარ, რომ ის აქ იყოს და მე ჩემს ბუნაგში ჩავიკეტო და იქიდან ვუყურო ამას ყველაფერს. საქართველო იღუპება, რა დროს მსგავსი ფიქრებია, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს გარეთ და ყველაფერი გააკეთოს, თუნდაც შეეწიროს სამშობლოს გადასარჩენად. არა, სანამ შეგეშინდება დაფიქრდი. მერე არ შეგრცხვეს, – უთხრა თავის თავს და ხალხის დინებას გაჰყვა ტრიბუნისკენ.

თეთრი კეპი ახურავს მას. ათვალიერებს ხალხს, მისი ქუდის ფერი ერთადერთი ჩანს ამდენ ხალხში. ამაზე ეღიმება.

მიტინგი დაიწყო საკმაოდ მაღალ ნოტაზე. იყო ტაში, იყო ამაღლებული განწყობა, პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი შეძახილები.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მომიტინგეები იყვნენ მოგროვილნი, იგრძნობოდა ურთიერთპატივისცემა, სოლიდარობა. ყველა ერთი ხმით ეთანხმება ორატორს, ხოლო ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია ისეთი სიტყვით გამოვიდა (სხვის გამონათქვამებს იმეორებდა), რომ მომიტინგეები კი არა ახლომახლო მდგომი პატრულის თანამშრომლებიც კი გააცინა.

იუბილარი აღმოჩნდა იმ ჯგუფში, რომლებიც აკონტროლებდნენ ტრიბუნაზე მიმსვლელთა მსურველებს. ზოგს ატარებდნენ, ზოგს ბოდიშის მოხდით უარით ისტუმრებდნენ. ეს ყველაფერი ხდებოდა ძალზე კორექტულად, ურთიერთპატივისცემაში. ყველა გაგებით ეკიდებოდა ამა თუ იმ საკითხს.

მოსაღამოვდა, გაწვიმდა, საგრძნობლად აგრილდა. ზოგ მომიტინგეს ცელოფნები მოაშველეს. წვიმამ უმატა, მაგრამ ხალხი დაშლას არ აპირებდა. მომიტინგეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ გარშემო დიდი რაოდენობით სპეცრაზმელები იყვნენ მობილიზებულნი სათანადო აღჭურვილობითა და ტრანსპორტით, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია მიეტოვებინა მიტინგი – ეს მათი აზრით ღალატს ნიშნავდა.

წვიმამ იმატა. დაძაბულობამაც იმატა. ჩართეს რაღაც აუტანელი სირენა, რომელიც სმენას და ფსიქიკას ერთდროულად უტევდა. ამავდროულად ფარებზე ხელკეტების ბრახუნით სპეცნაზელებმა დაიწყეს მომიტინგეთა ყოველი მხრიდან რკალში მომწყვდევა. საბოლოო ჯამში ხალხის მეტი ნაწილი ალყაში აღმოჩნდა. სპეცნაზმა ისე ჩაკეტა ყველა გასასვლელი, რომ გაქცევის საშუალება არავის ჰქონოდა. ატყდა ლაწალუწი, ხალხის დარბევა. სპეცრაზმელები სცემდნენ ყველას: დიდს, პატარას, ქალს, მოხუცს, ინვალიდს, ბავშვს. დანდობით ისინი არავის ინდობდნენ. ლომის ძალაც რომ ჰქონოდა მომიტინგეს, აბა, რას გააწყობდა 5-10-20 ჯავშან-ჟილეტიან სპეცრაზმელებთან. ნებისმიერ მიტინგზე მისულ ადამიანს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სპეცრაზმელები ან მთვრალები არიან, ან ნარკოტიკებით არიან გაბრუებულნი. ძნელია ადამიანმა ასეთ გამხეცებულ არსებებს რაიმე შეაგონო. ვიღაც გვერდზე დგას და იქიდან კარნახობს: – შეუტიეთ, დაარტყით, წაქცეული გაათრიეთ გვერდზე, არ გაუშვათ, მიჰყევით და სცემეთ. სპეცრაზმელები კი ბრძანებას პირნათლად ასრულებდნენ. წაქცეულ ქალს ტანსაცმელი შემოხევია, მის წინ სისხლში მოთხვრილი კაცი შველას ითხოვს. ხალხი გმინავს. გინებისა და ლანძღვის ექო ცას სწვდებოდა.

ომის დროს ვიღაცა ვიღაცას ინდობდა, არ ჰკლავდა, არ სცემდა და ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა. განა ასე არ იყო აფხაზეთის ომში, როცა ბევრმა აფხაზმა ალყაში მოქცეული ქართველი მეომარი სამშვიდობო გზაზე გაიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა. განა ასე არ იყო სამაჩაბლოში, რამდენმა ოსმა გადაარჩინა ქართველი პირტიტველა ბიჭები. აქ კი, მიტინგზე სპეცრაზმელები ისე იქცევიან, თითქოს სხვა ქვეყნის მომხვდურებს უსწორდებოდნენ. მათში არც შეცოდება, არც ქართველობა და არც ღვთის შიში არ იგრძნობოდა. ნეტა როგორ იცხოვრებს ეს ხალხი ამ სისხლიანი ხელებით?!

მოხდა რაც ამ დროს ხდება ხოლმე – ხალხი დაიბნა. მიაწყდა ხის ღობეს, წაქცეულ იქნა რკინის ბარიერები, რომლის ქვეშ ზოგი წაქცეულიც მოჰყვა იმის გამო, რომ ქაშუეთის ეკლესიის მხრიდან ჯავშნიანების ახალი ჯგუფი გამოჩნდა, მომიტინგენი კინო **"რუსთაველისკენ"** გაიქცნენ, სადაც მათ წინ ისევ ჯავშნიანები ელობებიან. ხალხი მიაწყდა კინოთეატრის შუშებიან კარებს. კარებმა ვერ გაუძლო ხალხის მოზღვავებას და ჩაიმსხვრა. ნამსხვრევებზე ზოგი წაიქცა. ხალხმა წაქცეულების წამოყენება და შენობაში შემალვა დაიწყო. გაივსო სადემონსტრაციო დარბაზი. გაივსო კიბეები. ხალხი ეძებდა ღია კარებს, სადაც დამალვას შესძლებდა.

**ომარ ნანავა**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# წარუმატებლობისთვის განწირულის წარმატების ისტორია – ლიონელ მესი

ლიონელ მესი, საფეხბურთო კლუბ **"ბარსელონას"** ვარსკვლავია. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, პიროვნება, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა შეცვალოს საკუთარი ბედისწერა უკეთესობისკენ.

მესი კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით მოევლინა ამ ქვეყანას. თუმცა გარდა კირჩხიბისა, მის პირად კოსმოგრამაში ტყუპის ზოდიაქოს ძლიერი გავლენაც იგრძნობა, ტყუპის მმართველი მერკური კი მოგეხსენებათ ხელ-ფეხის მოქნილობაზეა პასუხისმგებელი.

თუმცა, პირველი რაც ამ ადამიანის კოსმოგრამაში ყურადღებას იქცევს, არის ის რომ გარდა ასპექტებისა, მას მკვეთრად აქვს აქცენტირებული მეექვსე სახლი – ეს კი ჯანმრთელობის კუთხით პრობლემებსა და ზოგადად სუსტ ჯანმრთელობაზე მიუთითებს.

თუმცა ადამიანი, რომელიც მზის ამგვარი მდებარეობით იბადება, გარდა სუსტი იმუნური სისტემისა, შრომისმოყვარეობით, მეთოდურობითა და მიზანსწრაფულობითაც არის დაჯილდოვებული.

როგორც ცნობილია, ლიონელ მესი ბავშვობიდან იტანჯებოდა ძვლოვანი სისტემის მძიმე დაავადებით. ამ ფაქტის სიგნიფიქატორი მის რუკაში არის პლანეტა სატურნი მეთორმეტე სახლში, (სამედიცინო ასტროლოგიის მიხედვით, სატურნი სწორედ ძვალ-სახსროვან სისტემას განაგებს), რომლის დაძლევაშიც მას ინტენსიური ვარჯიში და მიზანსწრაფულობა დაეხმარა.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ასეთი ადამიანების ჯანმრთელობა პირდაპირ კავშირშია მათ შრომისუნარიანობასთან. მარტივად რომ ვთქვათ, თუ მსგავსი კომბინაციებით დაბადებულ პიროვნებას არ აქვს ყოველდღიური სამუშაო, იგი ავადდება და **"ჟანგდება"**. აქედან გამომდინარე, ამ ადამიანს ესაჭიროება კონკრეტულ რეჟიმში შრომა, თუმცა პარალელურად აუცილებელია ისიც, რომ მან სრულფასოვნად დაისვენოს და იკვებოს.

ლიონელ მესი დაიბადა კარმული პროგრამით, რომელიც მას ზუსტად რომ სპორტულ (ზოგადად ძალოვან) სარბიელზე მოღვაწეობას ავალდებულებს. ამ ნიშნით დაბადებული ადამიანისთვის აუცილებელია გამოიმუშაოს ცხოვრებაში გამძლეობა, კარგი რეგენერაციის უნარი, პრინციპულობა და მიზანსწრაფულობა, რის საშუალებასაც მას კარმული პროგრამა აუცილებლად მისცემს, თუკი იგი სწორად გამოიყენებს საკუთარ პოტენციალს. გარდა ამისა, აღმავალი კვანძის მდებარეობა ასევე მიანიშნებს იმას რომ ამ პიროვნებას მიეცემა საშუალება გავლენა მოახდინოს მასებზე, თუმცა მანამდე მან უნდა გადალახოს შინაგანი და ფიზიოლოგიური სისუსტეები, მოსცილდეს ოჯახურ კერას (დედ-მამას) და ისწავლოს მარტომ გაიკაფოს ცხოვრების გზა.

მესი, როგორც ტიპური კირჩხიბი, საუკეთესოა მამის ამპლუაში.

მესის კოსმოგრამაში არსებულ ერთი შეხედვით ნეგატიურ ასპექტებს, ძალიან კარგად კომპენსირებს წარმატების მომტანი პლანეტა იუპიტერის ძლიერი მდებარეობა ვერძში, რომლის გავლენითაც ეს ადამიანი დაჯილდოვებულია ლიდერის თვისებებითა და თავისუფალი ნების ურყეობით.

ამასთან ერთად, მას აქვს უნარი, წარსულის შეცდომები სწორად გაანალიზოს და მიღებული გამოცდილება მომავალში გამოიყენოს. იგივე იუპიტერის მდებარეობა არანაკლებ მომგებიან მეხუთე სახლში აყალიბებს ადამიანს, რომელიც მთელი თავისი არსით ასხივებს ოპტიმიზს, სიცოცხლის სიყვარულს, ზოგადად დადებით ენერგეტიკას.

იუპიტერი მეხუთე სახლში ნიშნავს პიროვნებას რომელიც დაბადებიდან გუნდური მოთამაშეა. ზოგადად, მას კარგად ესმის მეგობრობის, გუნდურობის პრინციპი და ფეხს ოსტატურად უწყობს თანამეინახეებს.

ამ თვისებებს მესის ხასიათში უფრო მეტად აძლიერებს მეშვიდე სახლის საკმაოდ ძლიერი გავლენა, რაც თავის მხრივ პარტნიორობის უნარზეა პასუხისმგებელი. ხოლო, მას ვისაც იუპიტერი ზოდიაქოს მეხუთე სახლში ჰყავს, დაუღალავად სჯერა გამარჯვების და მისი ეს რწმენა სხვებისთვისაც გადამდებია.

ასეთი ადამიანი ძალიან ქუდბედიანია ყველაფერთან ერთად, იუპიტერის წყალობით იგი ახერხებს იყოს საჭირო დროს, საჭირო ადგილას. თუმცა იუპიტერისა და მარსის კვადრატის გამო პირად რუკაში, მესისნაირ ადამიანს მუდმივად ექნება აფორიაქებულობის, დაძაბულობისა და მოუსვენრობის შეგრძნება.

ამასთან ერთად ადამიანი რომელსაც ამგავრი ასპექტი გააჩნია რუკაში, ხშირად შინაგანად აგროვებს აგრესიას, რაც მას ცხოვრების პირველ ეტაპზე დაუგროვდა, როცა სხვადასხვა სახის ბარიერს აწყდებოდა წინსვლისას. თუმცა მარსის (აქტივობა) მეშვეობით იგი ცდილობს იუპიტერის ფუნქციები (გაფართოვება) გამოიყენოს საიმისოდ, რომ საკუთარი ქმედებები ფართო საზოგადოების წინაშე წარმოაჩინოს.

თუკი საბოლოო შეჯამებას გავაკეთებთ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფეხბურთელის პირადი რუკის მიხედვით, ჩვენ დავინახავთ პიროვნებას, რომელიც ერთი შეხედვით წარუმატებლობისთვის განწირული, შესანიშნავად ახერხებს წინ წამოსწიოს საკუთარი პირადი რუკის დადებითი მონაცემები, საიმისოდ რომ ნეგატიური ასპექტები გაანეიტრალოს და მიუხედავად იმისა, რომ ლიონელ მესის რუკაში აშკარა მინიშნებაა იმ ფაქტზე, რომ ამ ადამიანს ხშირად მოუწევს მედიკოსებთან შეხვედრა საკუთარი ჯანმრთელობის გამო (მათ შორის არც ხანგრძლივი სამკურნალო რეაბილიტაციის პერიოდი გამოირიცხება) მის მაგალითზე, მაინც თამამად შეიძლება ითქვას, ის რომ ვარსკვლავები არ განსაზღვრავენ ჩვენ ბედს, ისინი მხოლოდ ალბათობას განაპირობებენ იმ მოვლენებისა რაც შესაძლოა მოხდეს ცხოვრებაში, ადამიანის ურყევი ნება კი განაპირობებს იმას, როგორი ცხოვრების გზას ვირჩევთ ჩვენ ვარსკვლავების დახმარებით და საკუთარ თავზე მუშაობით!



**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.**

საგამოცემო ჯგუფი




## ვინ ცდილობდა უგულავასა და მერაბიშვილის ცემას

მართალია, 19 აპრილის მიტინგზე **"ნაციონალური მოძრაობის"** ლიდერები მხარდამჭერებს უმტკიცებდნენ, ხელისუფლებაში მხოლოდ თქვენი უანგარო სამსახურისთვის ვიყავითო, თუმცა ჩვეულებას არც ამჯერად უღალატეს და ქუჩის აქციისა და **"ნაცმოძრაობის"** ცენტრალურ ოფისში გამართული თათბირის შემდეგ პრესტიჟულ კლუბურ რესტორანს მიაშურეს საგრიალოდ და **"ფიქრთ გასართველად"**.

არსებული ინფორმაციით, შარდენის ქუჩის ახლოს, ბამბის რიგში მდებარე რესტორან **"ელ ცენტროში"** ჯერ **"ნაციონალური მოძრაობის"** გენმდივნისა და თბილისის ვიცე-მერ ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია მივიდა მეგობრებთან ერთად, ის შარდენზე მდებარე კაფე-ბარების ხშირი სტუმარია. როგორც ერთ-ერთმა თვითმხილველმა გვითხრა, თაკო სალაყაიამ რესტორნის მენეჯერს რამდენჯერმე უთხრა, რომ მალე ვანო და გიგი უნდა მისულიყვნენ. ღამის თორმეტი საათისთვის რესტორანში მართლაც მივიდნენ ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა მეუღლესთან, ლელა კილაძესთან ერთად, რომელსაც მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო ახლახან ჩამოართვეს მართვის მოწმობა; მათთან ერთად რესტორანში იყვნენ ნაცმოძრაობის საპარლამენტო უმცირესობის ლიდერები: პეტრე ცისკარიშვილი, გიორგი გაბაშვილი, გიორგი კანდელაკი, ახალგაზრდა პარლამენტარი თინათინ ბოკუჩავა, ტელეწამყვანი თიკო სადუნიშვილი და სხვები. მათი მისვლიდან ცოტა ხანში რესტორანში გაწევგამოწევა, არეულობა დაიწყო. თვითმხილველების თქმით, **"ნაცმოძრაობის"** ელიტის მისვლა იქ მყოფებს არ ესიამოვნათ და მერაბიშვილზე და უგულავაზე გაიწიეს. სიტუაციის განმუხტვას დაცვის შეიარაღებული თანამშრომლები ცდილობდნენ, ვითარება დაიძაბა და იქ მყოფი ადამიანების დიდმა ნაწილმა დარბაზი სასწრაფოდ დატოვა. თვითმხილველთა თქმით რამდენიმე ადამიანი უშუალოდ მერაბიშვილსა და უგულავაზე იწევდა. დაცვის წევრებმა კი თბილისის მერი და მერაბიშვილი სასწრაფოდ გააცილეს იქაურობას. როცა ამ თემაზე სასაუბროდ ტელეწამყვან თიკო სადუნიშვილს დავუკავშირდით, მან გვიპასუხა: **"ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას ნამდვილად არ ვაპირებ"**! ხოლო რესტორან **"ელ ცენტროს"** მენეჯერმა, რომელმაც ვინაობის გამხელაზე კატეგორიული უარი თქვა, განგვიცხადა: **"ეს ჭორია, ასეთი რამ არ მომხდარა"**. **"ნაციონალური მოძრაობის"** წარმომადგენლებმა გიორგი გაბაშვილმა, პეტრე ცისკარიშვილმა და გიორგი კანდელაკმა ჩვენს ზარს არ უპასუხეს.

**ნ. კვიტაშვილი**

გამოვიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი გიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან.

თბილისში – ტაშკენტის ქ. №25, I სადარბაზო, ბინა, 1. ფასი 4 ლარი

## იუმორი

მოახლე პირველ დღეს დიასახლისს ურიგდება:

– 150 ლარი თვეში.

– მაწყობს, ქალბატონო.

– კატა მყავს, კატას როგორ ეწყობით?

– ეგ არაფერი, როცა მშიოდა, შემწვარი კურდღელიც მიჭამია.

* * *

ზურიკელა ვაშალომიძე პოლიციაში რეკავს:

– ილიკომ შუშის თვალი ამოიღო და ეზოში გადააგდო...

– მერე, აქ რას რეკავ?

"ლიმონკა" ხომ არაა, თვალია. ადექი და მოძებნე.

* * *

ცოლი ქმრის სანახავად მივიდა ციხეში და ეჩურჩულება:

– როგორაა იმ ქლიბის საქმე, სამი დღის წინ პურში ჩადებული რომ შემოგიგზავნე?

– ჯერ არ ვიცი, ხვალ სამ საათზე მიკეთებენ ოპერაციას.

* * *

– სიკვდილი როგორ წარმოგიდგენია? – ეკითხება ბუზი თაგვს.

– მავთულზე წამოგებული ყველი. შენ, ბუზო?

– მე? აი, მელოტი, დიპიანი, ფლოსტებიანი უსაქმური კაცი ოთხად გაკეცილი გაზეთით ხელში.

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge